

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ინგლისური ფილოლოგია

## ინოლა ავაქიძე

სტუმარ-მასპინძლობის ეტიკეტი და მისი  
ვერბალური გამონათქვამები ინგლისურსა და  
ქართულში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორის (Ph.D.)  
აკადემიური ხარისხის (ფილოლოგიის მიმართულებით)  
მოსაპოვებლად წარმოდგენილი

## დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

ძირითადი სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის  
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლილი გოქსაძე

თანახელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა  
კანდიდატი, ასისტენტ-პროფესორი ირინე დემეტრაძე

თბილისი

2008

1



თბილისის  
უნივერსიტეტის  
გამომცემლობა

## სარჩევნო

შესავალი ..... 3-12

### თავი I

სტუმარ-მასპინძლობის ეტიკეტის ვერბალური გამოხატულება  
თავაზიანობის და სამეტყველო აქტების თეორიების მიხედვით.

§ 1 „სახის“ ცნება და თავაზიანობის ფენომენი  
სტუმარ-მასპინძლობის ეტიკეტში ..... 13-31

§ 2 სამეტყველო აქტების თეორიის პრინციპების განხილვა  
სტუმარ-მასპინძლობის ეტიკეტთან მიმართებაში. .... 32-41

### თავი II

ინგლისური და ქართული საქორწილო მიპატიჟებების და მათზე  
მიღებული პასუხების ლინგვისტური და კულტურული  
თავისებურებების შესახებ.

§ 1 ინგლისური და ქართული საქორწილო მიპატიჟებების  
ლინგვისტური და კულტურული თავისებურებები ..... 42-85

§ 2 საქორწილო მიპატიჟებებზე მიღებული დადებითი და  
უარყოფითი პასუხების ლინგვისტური და კულტურული  
მახასიათებლების შესახებ..... 86-101

### თავი III

ინგლისური და ქართული საქორწილო სადღეგრძელოების  
სოციო-პრაგმატიკული ანალიზი..... 102-133

### თავი IV

კულტურული შოკის წარმოქმნა და მისი აცილების ხერხები  
ინგლისური და ქართული სტუმარ-მასპინძლობის

ეტიკეტის მაგალითზე ..... 134-150

ზოგადი დასკვნები..... 151-164

### ბიბლიოგრაფია

დანართი № 1: კითხვარების ნიმუშები

დანართი № 2: ლინგვისტური ინფორმანტების სია.

## შესავალი

როგორც ცნობილია, ყოველი ადამიანი მუდმივ კონტაქტში იმყოფება გარე სამყაროსთან და მიზნად ისახავს ახალი ურთიერთობების დამყარებას, არსებული კავშირის გამყარებასა და გაღრმავებას, რაც ძალზე ხშირად სტუმარ-მასპინძლობის რიტუალების მეშვეობით ხორციელდება. თითოეულ საზოგადოებას ზემოხსენებული მიზნების მისაღწევად თავისებური წესები აქვს და ეტიკეტის ნორმების ცოდნა და მათი დაცვა უდიდეს როლს თამაშობს ადამიანთა შორის წარმატებული კომუნიკაციის მისაღწევად.

სტუმარ-მასპინძლობის ეტიკეტზე საუბრისას, უნდა ითქვას, რომ ტერმინი „*ეტიკეტი*“ (etiquette- „იარლიყი“, „ეტიკეტი“) ფრანგულიდან წარმოიშვა. იგი 1750 წლით თარიღდება<sup>1</sup> და „მისაღებ საქციელს“ აღნიშნავს. საქმე ისაა, რომ საფრანგეთში გავრცელდა პატარა ბარათების გამოყენება, რომელზედაც ინსტრუქციები ეწერა სასახლეში (ლუდოვიკო XIV კარზე) ყოფნისას სათანადო ქცევასთან დაკავშირებით, და ასეთ ბარათებს იქ მყოფ ყველა ადამიანს ურიგებდნენ. დღეს ეტიკეტს, როგორც თავაზიანი და შესაფერისი ქცევის ნორმების ერთობლიობას, დიდი როლი აქვს. აღსანიშნავია ისიც, რომ ეტიკეტი უნივერსალური ცნებაა, მაგრამ ამავე დროს, მას ყველა ერისათვის განსაკუთრებული დამახასიათებელი ეროვნულ-კულტურული თავისებურებები აქვს და მისი ნორმები სხვადასხვა სახის კულტურაში განსხვავებულ გამოხატულებას პოულობს.

ეტიკეტს, რომელიც ვლინდება ადამიანების მეტყველებაში, სამეტყველო ეტიკეტი ჰქვია. ადამიანი ყოველდღიურად მრავალჯერ მიმართავს სამეტყველო ეტიკეტით მიღებულ გამონათქვამებს სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას, მაგ., მისაღმებისას, დამშვიდობებისას, მადლობის გადახდის, მობოდიშების დროს და სხვა. როგორც ვხედავთ, სამეტყველო ეტიკეტი თავაზიანობის ვერბალური ფორმების გამოყენებას ითვალისწინებს და საზოგადოების მიერ შემუშავებულ

<sup>1</sup> <http://www.etimonline.com/index.phh?term=etiquette>

იმ სამეტყველო ქცევით ნორმებს შეადგენს, რომელიც ამა თუ იმ საზოგადოებას ახასიათებს.

აშკარაა, რომ საუბრისას მოლაპარაკე ბევრ სამეტყველო ფორმას (მაგ.: „გამარჯობა“, „როგორ ხარ?“) თითქმის ავტომატურად იყენებს, რაც გულისხმობს იმას, რომ ასეთი სახის კონსტრუქციები მოცემულია სტერეოტიპული გამონათქვამების სახით, რომლის გამოყენება შესაფერისი უნდა იყოს განსაზღვრულ მომენტსა და სიტუაციაში. ამგვარი დიდად მრავალფეროვანი სამეტყველო სტერეოტიპული გამონათქვამები სამეტყველო ეტიკეტის შემადგენელი ნაწილებია და მათი გამოყენება დამოკიდებულია ბევრ სხვადასხვა ფაქტორზე, როგორცაა მოლაპარაკეთა ასაკი, სქესი, სიახლოვის დონე, ძალაუფლების დონე და სხვა. საგულისხმოა, რომ გოდარდი და ვეუბიცკა (გოდარდი და ვეუბიცკა 1997: 249-250) სტერეოტიპულ გამონათქვამებს „ლინგვისტურ რუტინებს“ (Linguistic Routines) უწოდებენ. მათი განმარტებით, „ლინგვისტური რუტინები“ უცვლელი გამონათქვამები ან გამონათქვამების თანმიმდევრობაა, რომლებიც სტანდარტიზირებულ კომუნიკაციურ სიტუაციებში გამოიყენება (მაგ., მისალმება, დამშვიდობება, მადლობის გადახდა და ა.შ.). „ლინგვისტური რუტინები“ განპირობებულია, როგორც ფორმით, ასევე სოციო-კულტურული კონტექსტით. უფრო მეტიც, „ლინგვისტური რუტინების“ სიმარტივე მოჩვენებითია. მათი სწორი გაგება არა მხოლოდ სიტყვების ცოდნას გულისხმობს, არამედ სოციო-კულტურული თავისებურებების ცოდნას მოითხოვს. სამეტყველო სტერეოტიპულ გამონათქვამებს აგრეთვე „კლიშე“ ან „შტამპი“ შეიძლება ეწოდოს, რომლებიც ასევე „სამეტყველო ფორმულის“ სახელით არის ცნობილი (სტუპინი 1980: 7).

როგორც უკვე აღინიშნა, ურთიერთობისას ადამიანების ეროვნულ-კულტურული ნორმების და მათთვის დამახასიათებელი ფორმების გამოვლინება სამეტყველო ეტიკეტის გამონათქვამების მეშვეობით ხორციელდება, და მათი დარღვევა ადამიანს მეტად არასახარბიელო სიტუაციაში აგდებს. მოლაპარაკებებმა ყოველთვის უნდა სცადონ დაიცვან მიღებული ქცევის ნორმები (მათ, შორის, უეჭველად, ვერბალურიც). რასაკვირველია, ეს ადვილი არ არის და დიდ ცოდნას და ძალისხმევას მოითხოვს, განსაკუთრებით იმათგან, ვისაც მათთვის უცხო კულტურის წარმომადგენლებთან უხდება ურთიერთობა, რადგან

ამ შემთხვევაში აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ ის ქცევითი ნორმები, რომლებიც მიღებულია ერთ კულტურაში და ვერბალურ გამოხატულებას მის სამეტყველო ეტიკეტში პოულობს, შესაძლებელია გაუგებარი, სრულიად მიუღებელი, და ზოგჯერ შეურაცხყოფელიც კი იყოს სხვა კულტურის წარმომადგენლისთვის. ბევრ შემთხვევაში შეუძლებელია სიტყვასიტყვით ითარგმნოს ერთ ენაში მიღებული სამეტყველო ეტიკეტის გამონათქვამები, მაგალითად, ისეთი სამეტყველო ფორმულის გამოყენება, როგორცაა *'Help yourself'* ინგლისელებში სამეტყველო ეტიკეტის გავრცელებულ სტერეოტიპულ გამონათქვამს წარმოადგენს, რომელსაც მასპინძელი წარმოთქვამს სტუმართან მიმართებაში, რათა მან მიირთვას გარკვეული კერძი, მაგრამ მისი პირდაპირი თარგმნა ქართულად, როგორც *„დაეხმარეთ თქვენს თავს“* გაუგებრობას გამოიწვევს. იგივენაირად, ქართველ ახლობელ ადამიანებს შორის გამომშვიდობებისას წარმოთქმული სამეტყველო ეტიკეტის გამონათქვამის *„არ დაიკარგო!“* პირდაპირ თარგმნა ინგლისურად როგორც *'Don't get lost!'* გაუგებრობის საგანი შეიძლება გახდეს ინგლისელი მსმენელისათვის. როგორც ვხედავთ, ყველა ერის სამეტყველო ეტიკეტში მისთვის დამახასიათებელი ეროვნული კოლორიტი არსებობს, რაც ამ სამეტყველო ეტიკეტის ნორმებს განსაკუთრებულს ხდის და ეს თავისებურებები ხშირად სტუმარ-მასპინძლობის რიტუალებშიც ვლინდება.

ცნობილია, რომ სამეტყველო ეტიკეტის ცოდნა დიდად ეხმარება ადამიანს ბევრი მიზნის მიღწევაში და დადებითი, მზრუნველი ადამიანის იმიჯის შექმნაში. ყურადღების გამოსატყვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანებს შორის სტაბილური ურთიერთობის ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებაში. ასეც რომ არ იყოს, რატომ არის, რომ მისაღმებებისა და დამშვიდობების გაცვლა ასეთი მნიშვნელოვანია? ერთის მხრივ, ასეთი გამონათქვამები იმდენად სტერეოტიპული გახდა, რომ ადამიანი ხშირად ავტომატურად წარმოთქვამს მათ, მაგრამ, საკმარისია ადამიანს გამორჩეს ან მიზანმიმართულად არ წარმოთქვას ისინი, რომ უცებ იქმნება არასასიამოვნო განცდა მეორე ადამიანში, რომელიც ასეთ საკციელს უპატივცემულობად აღიქვამს. ყურადღების გამოსატყვის ისეთ ნიშნებს, როგორცაა მაგ., მისაღმება, დამშვიდობება *„მოფერებას“* („გულის მოფონვას“) (stroking) უწოდებენ

(ფორმანოვსკაია 1989ბ: 52), ხოლო მალინოვსკი (მალინოვსკი 1923) ასეთი სახის საუბრებს „ფატიკური კომუნიკაციის“ (Phatic Communion) სახელწოდებით გვთავაზობს.

აღსანიშნავია, რომ ვერბალური თუ არავერბალური ეტიკეტის წესების დარღვევის შემთხვევების განხილვისას აუცილებელია განვასხვაოთ წარუმატებელი საქციელის მიზეზები, კერძოდ საქმე შეიძლება გვქონდეს „უნებურ დარღვევასთან“, რასაც ასევე „კაზუსს“ უწოდებენ (კამიჩევი 1981: 112). ასეთი დარღვევები განსაკუთრებით ხშირია სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებს შორის ურთიერთობისას, რაც აიხსნება მათ შორის „ზიარი ცოდნის“ არარსებობით. როგორც ფოქსი (ფოქსი 2004: 62) აცხადებს: „თქვენი ინგლისური შესაძლებელია უმწიკვლო იყოს, მაგრამ თქვენი ქცევითი „გრამატიკა“ (behavioural ‘grammar’) აღსავსე იყოს აშკარა შეცდომებით“. მეორე სახის დარღვევებს „აფრონტები“ ჰქვია (კამიჩევი 1981: 113) და საქმე გვაქვს სამეტყველო ეტიკეტის როგორც ვერბალური, ისევე არავერბალური ნორმების მიზანმიმართულ დარღვევასთან, რაც, ბუნებრივია, ადამიანებს შორის ურთიერთობების გამწვავების მიზეზი ხდება. საბედნიეროდ, ასეთი სახის დარღვევები საკმაოდ იშვიათია და ზოგადად ადამიანები კარგი ურთიერთობების დამყარებისაკენ მიისწრაფვიან.

სამეტყველო ეტიკეტს, რომელიც თავაზიანობის განუყრელ ნაწილს წარმოადგენს, სტუმარ-მასპინძლობის რიტუალებში დიდი როლი ენიჭება. ცნობილია, რომ სტუმრის მიღება ეტიკეტურ სიტუაციას წარმოადგენს, და ის ძალზე რიტუალიზირებულია. სტუმარ-მასპინძლობის რიტუალები აგებულია საზოგადოებაში მიღებულ ნორმებზე, რომლებიც ამ საზოგადოების ყოფისა და კულტურული ღირებულებების მაჩვენებელია.

როგორც ცნობილია, ყველა საზოგადოებაში სტუმარ-მასპინძლობის მრავალი რიტუალი არსებობს (ქორწილი, ნათლობა, დაბადების დღე და ა.შ.) და მათი ვერბალური და არავერბალური გამოხატულება შეუზღუდავია. ყველა მათგანის განხილვა შეუძლებელია ერთი დისერტაციის ფარგლებში, რადგან თითოეული მათგანი უაღრესად მდიდარია როგორც ლინგვისტური, ასევე კულტურული მახასიათებლებით. ამდენად, ზემოხსენებული ფაქტორების გათვალისწინებით, მოცემულ დისერტაციაში განხილული იქნება თანამედროვე

ინგლისური და ქართული საქორწილო რიტუალის ისეთი განუყრელი ნაწილები, როგორცაა საქორწილო მიპატიუბები და სადღეგრძელოები.

მოცემული **სადღესრულო თემის აქტუალურობა** განისაზღვრება იმით, რომ თავაზიანობის და სამეტყველო აქტების თეორიების საფუძველზე განხილულია ინგლისური და ქართული სტუმარ-მასპინძლობის ეტიკეტის საყოველთაოდ მიღებული ისეთი ფორმები, როგორცაა საქორწილო მიპატიუბები (ზეპირი/წერილობითი, ოფიციალური/არაოფიციალური), მათზე მიღებული პასუხები, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი, და ინგლისური და ქართული საქორწილო სადღეგრძელოები. ამასთან, სტუმარ-მასპინძლობის ეტიკეტის მაგალითზე განხილულია კულტურული შოკის პრობლემატიკა.

როგორც უკვე აღინიშნა, სამეტყველო ეტიკეტი, რომელიც სტუმარ-მასპინძლობის რიტუალების შესრულებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს, თავაზიანობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ამდენად, აუცილებლად მიმაჩნია განვიხილო თავაზიანობა, მისი გამოსატყულების ფორმები და მიმართულებები, რათა სტუმარ-მასპინძლობის გამოვლინების ისეთი ფორმები, როგორცაა ინგლისური და ქართული საქორწილო მიპატიუბები და სადღეგრძელოები, შესაფერისი თეორიული საფუძველით იყოს გამყარებული. ასევე მოცემულია საქორწილო მიპატიუბების და სადღეგრძელოების ანალიზი სამეტყველო აქტების თეორიის მიხედვით, ხოლო კულტურული შოკის პრობლემატიკა განხილულია სოციო-ლინგვისტური და პრაგმატიკული კუთხით.

**კვლევის მიზანი** შემდეგია: განისაზღვროს სამეტყველო ეტიკეტის მნიშვნელობა და მისი როლი სტუმარ-მასპინძლობის რიტუალების შესრულებაში; ნაჩვენებ იქნას, თუ როგორ გამოსატყულებას ჰპოვებს თავაზიანობის პრინციპები ინგლისურ და ქართულ საქორწილო მიპატიუბებსა და სადღეგრძელოებში; განხილულ იქნას, თუ როგორ მიესადაგება სამეტყველო აქტების თეორია ნაშრომში წარმოდგენილ საკვლევ საკითხებს; განისაზღვროს კულტურული შოკის გამომწვევი მიზეზები და მისი აცილების ხერხები ინგლისური და ქართული სტუმარ-მასპინძლობის ეტიკეტის მაგალითზე.

საქორწილო სადღეგრძელოებზე საუბრისას, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ინგლისში, საქართველოსაგან განსხვავებით, როგორც წესი, სამი ტრადიციული საქორწილო სადღეგრძელო წარმოითქმება პატარძლის მამის, ნეფის და ნეფის

მეჯვარის მიერ. საქართველოში კი ქორწილში უამრავი სადღეგრძელო ითქმის თამადის მიერ, და მათი წარმოქმნა სუფრაზე გარკვეული რიგით ხდება.

მიუხედავად ბევრი ლამაზი ქართული სადღეგრძელოს არსებობისა, მოცემულ ნაშრომში განხილულია მხოლოდ სამი ტიპის თანამედროვე ინგლისური და ქართული სადღეგრძელოს ნიმუში, კერძოდ ინგლისურ საქორწილო სუფრაზე პატარძლის მამის, ნეფის და ნეფის მეჯვარის მიერ წარმოთქმული, ხოლო ქართულ საქორწილო სუფრაზე თამადის მიერ წარმოთქმული ნეფე-დედოფლის, ნეფე-დედოფლის მშობლების და მეჯვარეების სადღეგრძელოები. ამრიგად, მოცემული სამი ტიპის სადღეგრძელოს განხილვა მიზნად ისახავს მათ თანაბარ სოციო-პრაგმატიკულ შეპირისპირებას.

**კვლევის მეცნიერული მეთოდები:** ნაშრომში გამოყენებულია ლინგვისტური ანალიზის შეპირისპირებითი და აღწერილობითი მეთოდები და ასევე მონაწილეებზე დაკვირვების (Participant Observation) მეთოდი.<sup>2</sup>

ყველა **ზემოსხენებული მიზნის** მისაღწევად:

1. განვახორციელებ ინგლისური და ქართული საქორწილო მიპატიუებების, მათზე მიღებული პასუხების და საქორწილო სადღეგრძელოების შერჩევა;
2. განვსაზღვრე ანალიზის ჩატარების მეთოდები და თეორიული მიდგომა (თავაზიანობის და სამეტყველო აქტების თეორიების საფუძველზე);
3. ჩავატარე საველე სამუშაო ინგლისსა და საქართველოში. ინგლისურ და ქართულ ენაზე შევადგინე კითხვარი, რომელიც დავურიგე ინგლისელ და ქართველ ლინგვისტურ ინფორმანტებს, ხოლო კულტურული შოკის პრობლემატიკის უფრო საფუძვლიანი გამოკვლევის მიზნით, კითხვარები ასევე დავურიგე სხვადასხვა ეროვნების ლინგვისტურ ინფორმანტებს. კითხვარი მიზნად ისახავდა ინფორმანტების აზრის გაგებას თავაზიანობის, კულტურული შოკის და სტუმარ-მასპინძლობის

<sup>2</sup> [http://www.en.wikipedia.org/wiki/Participant\\_observation](http://www.en.wikipedia.org/wiki/Participant_observation)

მონაწილეებზე დაკვირვების მეთოდი (Participant Observation Method) გამოიყენება სოციოლინგვისტური კვლევის ჩატარების დროს და მიზნად ისახავს შესასწავლი ინდივიდთა ჯგუფის და მათი ცხოვრების წესის უფრო ახლო გაცნობას მათ ბუნებრივ გარემოში ინტენსიური ჩართვის მეშვეობით. დაკვირვება რამდენიმე თვე ან წელი შეიძლება გაგრძელდეს. მონაწილეებზე დაკვირვების მეთოდი წარმოიშვა სოციალური ანთროპოლოგების, განსაკუთრებით ბ. მალინოვსკის საველე სამუშაოს საფუძველზე.



რიტუალების ლინგვისტურ გამოხატულებასთან დაკავშირებით. კითხვარი მოცემულია დანართის სახით.

**საკვლევ მასალად** გამოყენებულია ინგლისური საქორწილო ეტიკეტის სახელმძღვანელოების, ინტერნეტ წყაროების და ინგლისელი და ქართველი ინფორმანტების მიერ მოწოდებული საქორწილო მიპატიუებების ნიმუშები, რის შედეგადაც გამოკვლეულ იქნა 1000-ზე მეტი ინგლისური და ქართული საქორწილო მიპატიუება.

ინგლისური სადღეგრძელოების ნიმუშები მოპოვებულია ინტერნეტ საიტზე <http://www.youtube.com>, სადაც განთავსებულია ინგლისში ჩატარებული სხვადასხვა ქორწილის ვიდეო მასალა. მოვახდინე ამ ზეპირი მასალის შერჩევა და გაანალიზება. ასევე განვიხილე საქორწილო ეტიკეტის ინგლისურ ინტერნეტ საიტებსა და სახელმძღვანელოებში მოცემული საქორწილო სადღეგრძელოები. ინგლისში ჩატარებული ერთწლიანი კვლევის მანძილზე ვაწარმოე გამოკითხვა იმ ინგლისელი ინფორმანტებისა, რომლებსაც ჰქონდათ წარმოთქმული სადღეგრძელოები ინგლისურ ქორწილში.

ქართული სადღეგრძელოების მასალად გამოყენებულია ქართველი ლინგვისტური ინფორმანტების მიერ მოწოდებული სადღეგრძელოები და ასევე ქინქლაძის (ქინქლაძე 2000) წიგნი „ქართული სადღეგრძელოები“. შედეგად, განხილულ იქნა 200-ზე მეტი ინგლისური და ქართული საქორწილო სადღეგრძელო.

თავაზიანობასთან, სტუმარ-მასპინძლობასთან და კულტურული შოკის საკითხებთან დაკავშირებული პრაქტიკული მასალა მოპოვებულია 120-ზე მეტი ინგლისელი, ქართველი და სხვა ეროვნების ლინგვისტური ინფორმანტების გამოკითხვით.

**ნაშრომის სიახლე** მდგომარეობს შემდგომში:

1. პირველად ტარდება ინგლისური და ქართული საქორწილო მიპატიუებებისა და სადღეგრძელოების შეპირისპირებითი სოციო-პრაგმატიკული ანალიზი.
2. პირველად ხდება კულტურული შოკის განხილვა ინგლისური და ქართული სტუმარ-მასპინძლობის ეტიკეტის მაგალითზე.

**ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა** მდგომარეობს იმაში, რომ ხდება სტუმარ-მასპინძლობის ზემოხსენებული რიტუალების შეპირისპირება და მათი განხილვა თავაზიანობის და სამეტყველო აქტების თეორიების მიხედვით, რაც პრაგმატიკის და სოციოლინგვისტიკის საკითხების გადრმაგებას ემსახურება. ყურადღება ეთმობა კულტურული შოკის გამომწვევი მიზეზების და მისი აცილების შესაძლებელი ხერხების განხილვას.

**ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება** განისაზღვრება იმით, რომ მისი მონაცემების გამოყენება შესაძლებელი და სასარგებლო იქნება არა მხოლოდ ლინგვისტურ სამყაროში, არამედ ყველა იმ ადამიანისათვის, რომელსაც სურს უკეთ გაეცნოს ინგლისურ და ქართულ სტუმარ-მასპინძლობის ეტიკეტს და მის ვერბალურ გამოხატულებას ინგლისური და ქართული საქორწილო მიპატიუებების და სადღეგრძელოების მაგალითზე. უფრო მეტიც, მიმაჩნია რომ კულტურული შოკის პრობლემატიკის განხილვა მეტად საინტერესო იქნება ყველასათვის, ვინც დაინტერესებულია წარმატებული კომუნიკაციის დამყარებით სხვა კულტურის წარმომადგენელთან. მოცემული ნაშრომის მასალა შესაძლოა გამოყენებულ იქნას ინგლისური ენის სწავლების პრაქტიკაში და ასევე სოციოლინგვისტიკის, პრაგმატიკის და კულტურათაშორისი კომუნიკაციის ზოგად და სპეციალურ კურსებში.

**ნაშრომის სტრუქტურა** განსაზღვრა დასახულმა მიზნებმა და ამოცანებმა. ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავის, ზოგადი დასკვნების და ორი დანართისაგან. პირველ დანართში მოცემულია ინგლისურ და ქართულ ენაზე შედგენილი კითხვარების ნიმუშები, ხოლო მეორეში - ლინგვისტური ინფორმანტების სია. ნაშრომს ასევე დართული აქვს გამოყენებული ლიტერატურისა და საილუსტრაციო მასალის სია.

დისერტაციის **შესავალში** განხილულია სამეტყველო ეტიკეტი, რაც თავაზიანობის განუყრელ ნაწილს წარმოადგენს და რასაც სტუმარ-მასპინძლობის რიტუალებში დიდი როლი ენიჭება.

**დისერტაციის პირველი თავის პირველ ქვეთავში** - „სახის“ ცნება და თავაზიანობის ფენომენი სტუმარ-მასპინძლობის ეტიკეტში“ - განხილულია თავაზიანობის როლი და „სახე“ სტუმარ-მასპინძლობის ეტიკეტთან მიმართებაში. თავაზიანობის თეორიის განხილვისას მოცემულია გრაისის (გრაისი 1975)

კოოპერაციის პრინციპის და მაქსიმუმის ანალიზი, ისევე როგორც ამ პრინციპზე აგებული და შემდგომში განვითარებული ლაკოფის (ლაკოფი 1973) თავაზიანობის წესების და ლიჩის (ლიჩი 1983) თავაზიანობის პრინციპის ანალიზი. ლიჩის მაქსიმუმის საფუძველზე განხილულია მათი განსხვავებული მნიშვნელობა ინგლისური და ქართული კულტურების წარმომადგენელთათვის. ასევე დიდი ყურადღება ენიჭება „დადებით“ და „უარყოფით სახეს“ და ო'დრისკოლის (ო'დრისკოლი 1996) მიერ შემოთავაზებულ „კულტურულად-განპირობებული სახის“ ცნებას.

**პირველი თავის მეორე ქვეთავში** - „სამეტყველო აქტების თეორიის პრინციპების განხილვა სტუმარ-მასპინძლობის ეტიკეტთან მიმართებაში“ - მოცემულია სამეტყველო აქტების თეორიის ანალიზი საკვლევი საკითხებიდან გამომდინარე და ასევე განხილულია გაისის (გაისი 1995) მიერ შემოთავაზებული „საკომუნიკაციო აქტები“, რომელთა განხორციელება შესაძლებელია არა მხოლოდ გარკვეული სიტყვების წარმოთქმით, არამედ არავერბალურადაც. მოცემულ ქვეთავში ხდება ოსტინის (ოსტინი 1962) და სერლის (სერლი 1976) მიერ შემოთავაზებული პერფორმატივების ჯგუფების განხილვა საქორწილო სადღეგრძელოებთან მიმართებაში.

**დისერტაციის მეორე თავი ორი ქვეთავისაგან** შედგება - § 1 „ინგლისური და ქართული საქორწილო მიპატიუებების ლინგვისტური და კულტურული თავისებურებები“; და § 2 „საქორწილო მიპატიუებებზე მიღებული დადებითი და უარყოფითი პასუხების ლინგვისტური და კულტურული მახასიათებლების შესახებ“. ანალიზის დროს ყურადღება ექცევა მიმართვის და პატივისცემის გამომხატველი ფორმებს, რაც გასხვავდება სოციალური სტატუსისა და საოჯახო მდგომარეობის მიხედვით. მიპატიუებები განხილულია „სახის“ და აგრეთვე „დადებითი“ და „უარყოფითი თავაზიანობის“ სტრატეგიების მიხედვით.

საქორწილო მიპატიუებებზე პასუხებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მობოდიშების სტრატეგიას მასპინძლისათვის უარყოფითი პასუხის შეტყობინებისას, ხოლო მიპატიუებაზე თანხმობის განცხადება დაპირებად მიმაჩნია, და სტუმრის მიერ მასპინძლის ღონისძიებაზე დასწრების დაპირებას განვიხილავ სერლის (სერლი 1976) მიერ შემოთავაზებული „იბღლიანობის პირობების“ ოთხი ტიპის მიხედვით.

**დისერტაციის მესამე თავში** - „ინგლისური და ქართული საქორწილო სადღეგრძელოების სოციო-პრაგმატიკული ანალიზი“- მოცემულია სადღეგრძელოებში გამოყენებული პერფორმატიული გამონათქვამების ფუნქციის ანალიზი. სადღეგრძელო განხილულია არა როგორც გამომსვლელის მონოლოგი, არამედ როგორც დიალოგი გამომსვლელსა და მსმენელებს შორის, რომელთაც ადეკვატური რეაქცია აქვთ მოლაპარაკის სიტყვებზე.

**დისერტაციის მეოთხე თავში** „კულტურული შოკის წარმოქმნა და მისი აცილების ხერხები ინგლისური და ქართული სტუმარ-მასპინძლობის ეტიკეტის მაგალითზე“ - განხილულია კულტურული შოკის პრობლემატიკა ინგლისური და ქართული სტუმარ-მასპინძლობის რიტუალების საფუძველზე. მოცემულია კულტურული შოკის განცდის ხუთი დონე, რომლის გადალახვა ადამიანებს, როგორც წესი, უწევთ ახალ კულტურაში აღმოჩენისას.

**დასკვნებში** შეჯამებულია ჩატარებული კვლევის შედეგები.

სადისერტაციო ნაშრომში შესწავლილი საკითხები და კვლევის შედეგები სისტემატურად შექდებოდა ავტორის მიერ გამოქვეყნებულ სტატიებსა და მოხსენებებში სხვადასხვა სამეცნიერო სემინარებსა და კონფერენციებზე, კერძოდ საქართველოში (2004, 2007, 2008), დიდ ბრიტანეთში (2006), აშშ-ში (2006), ავსტრალიაში (2008).

## თაზო I

სტუმარ-მასპინძლობის ეტიკეტის ვერბალური გამოხატულება თავაზიანობის და სამეტყველო აქტების თეორიების მიხედვით.

### § 1 „სახის“ ცნება და თავაზიანობის ფენომენი სტუმარ-მასპინძლობის ეტიკეტში.

თავაზიანობას და თავაზიან საქციელს სხვადასხვა განმარტება აქვს, მაგალითად სხვა ადამიანის პატივისცემით მოპყრობა, კარგი მანერები, გულთბილობა, ზოგჯერ კი სნობური საქციელი და არაგულწრფელობაც კი. განსხვავებულია მეცნიერების აზრი თავაზიანობაზე და თითოეული მათგანი თავაზიანობის საკუთარ განმარტებას იძლევა.

თავდაპირველად, უნდა ითქვას, რომ, ინგლისური ტერმინი *'polite'* მე-15 საუკუნით თარიღდება და ეტიმოლოგიურად წარმოიქმნება გვიანი შუასაუკუნის ლათინური სიტყვიდან *'politus'*, რომელიც „კეთილს“, „კარგად აღზრდილს“ ნიშნავს. ამრიგად, *'polite'* (თავაზიანი) ჩვეულებრივად ასოცირდებოდა ისეთ ცნებებთან, როგორცაა „დახვეწილი“, „გაპრიალებული“ (მარკეზ-რაიტერი 2000: 1). ქართული ტერმინი „თავაზიანობა“ კი არაბული წარმომავლობისაა (თავაზუ) და „ყურადღებას“, „სტუმართმოყვარეობას“ ნიშნავს (შამელაშვილი-ზექალაშვილი 2005: 97).

ლაკოფის (ლაკოფი 1979: 64) თანახმად, „თავაზიანობა ვითარდება საზოგადოებებში იმისათვის, რომ შეამციროს უთანხმოება ადამიანებს შორის“. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ უცხოური ენის სრულყოფილი ცოდნაც კი ვერ უზრუნველყოფს იმას, რომ ადამიანმა ავტომატურად იცოდეს თავაზიანობის ის ნორმები და წესები, რაც ამ ენაზე მოლაპარაკებებს ახასიათებთ. უცხოელმა უნდა შეისწავლოს ის თავაზიანი ქცევის ნორმები და გამონათქვამები, რომლებიც მისაღებია მის მიერ შესასწავლ ენაზე მოლაპარაკე საზოგადოებაში. ამრიგად, ვინაიდან თავაზიანობა საკმაოდ რთული ფენომენია და მოიცავს გარკვეულ რიტუალებს, ის არ არის უბრალოდ „გთხოვთ“ (*please*) და

„გმადლობთ“ (*thank you*) სიტყვების წარმოთქმა, თუმცა ინგლისელები ამ სიტყვების წარმოთქმას ძალზე მნიშვნელოვან როლს ანიჭებენ და ჩემი კითხვარის ერთ-ერთ შეკითხვაზე, კერძოდ „რა არის თქვენთვის თავაზიანობა?“, ინგლისელი ინფორმანტების დიდმა ნაწილმა მიუთითა სიტყვების *'please'* და *'thank you'* გამოყენების აუცილებლობაზე. ლაკოფს ძალზე საინტერესო მიდგომა აქვს თავაზიანობის ფენომენის მიმართ თავის ნაშრომში *'The Logic of Politeness; or, Minding Your P's and Q's'* (ლაკოფი 1973). ლაკოფის ეს მიდგომა, თავაზიანობის სხვა მიდგომებთან ერთად განხილული იქნება დისერტაციის მოცემულ ნაწილში.

აღსანიშნავია, რომ ინტერესი თავაზიანობის მიმართ, განსაკუთრებით კი ლინგვისტური თავაზიანობის მიმართ, გაიზარდა არა მხოლოდ ლინგვისტებსა და ენის ფილოსოფოსებს შორის, არამედ იმ ადამიანების მხრიდანაც, რომლებსაც მეცნიერებასთან პროფესიული შეხება არა აქვთ. ამის მიზეზი ისაა, რომ კომუნიკაციური სისტემების და გლობალიზაციის პროცესების განვითარების შედეგად ადამიანებს ხშირად უხდებათ არა მხოლოდ პირდაპირი, უშუალო კავშირის დამყარება სხვა ადამიანებთან, არამედ დისტანციურ ურთიერთობაში შესვლა (ელექტრონული ფოსტით, ტელეფონით) ხშირად მათთვის სრულიად უცნობ ადამიანებთან, რომლებიც, ამავე დროს, შეიძლება, განსხვავებულ კულტურას მიეკუთვნებოდნენ. ამის შედეგად, თანამედროვე ყოფაში, ადამიანებს ხშირად უხდებათ ერთმანეთთან ურთიერთობა როგორც ინტრაკულტურულ, ასევე ინტერკულტურულ დონეზე სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებების მეშვეობით, რის გამოც ადამიანები უფრო დაინტერესებულნი ხდებიან კომუნიკაციის წარმატებით დამყარებასა და განვითარებაში, თავაზიანობის ნორმების დაცვას კი ამ პროცესში დიდი როლი მიუძღვის.

წარმატებული კომუნიკაციის პრინციპებსა და სტრატეგიებზე საუბრისას, აუცილებელია აღინიშნოს გრაისის (გრაისი 1975) მიერ შემოთავაზებული კოოპერაციის პრინციპი (Cooperative Principle-CP) და ოთხი მაქსიმა. კოოპერაციის პრინციპი მიუთითებს, რომ საუბარში მოლაპარაკემ სათანადო წვლილი უნდა შეიტანოს საუბრის გაცვლა-გამოცვლის პროცესში საყოველთაოდ მიღებული მიზნებისა და მიმართულებების დაცვით. ხოლო გრაისის მაქსიმები ასეთია:

1. რაოდენობის მაქსიმა (Quantity Maxim): შენი წვლილი იმდენად ინფორმაციული უნდა იყოს, რამდენადაც საჭიროა (საუბრის გაცვლა-გამოცვლის მოცემული მიზნისათვის).

ნუ აქცევ შენს წვლილს უფრო ინფორმაციულად, ვიდრე საჭიროა.

2. ხარისხის მაქსიმა (Quality Maxim): ნუ იტყვი იმას, რაც შენ ტყუილად მიგაჩნია.

ნუ იტყვი იმას, რისთვისაც სათანადო დასტური არ გაგაჩნია.

3. რელევანტურობის მაქსიმა (Maxim of Relation): იყავი რელევანტური (მართებული).

4. მანერის მაქსიმა (Maxim of Manner): თავი აარიდე გამონათქვამის ბუნდოვანებას

თავი აარიდე ორაზროვნებას.

ილაპარაკე მოკლედ.

ილაპარაკე თანმიმდევრულად.

ამავდროულად, ისიც უნდა აღვნიშნო, რომ საუბარი გრაისის ყველა მაქსიმის დაცვით წმინდად ინფორმაციული სახისაა და მოლაპარაკე-მსმენელს შორის არსებულ ურთიერთობებს არანაირად არ გამოხატავს. ზოგი მეცნიერი (იხ. ლაკოფი, 1973; ტომასი, 1995) ისეთ გამონათქვამებს, სადაც ყველა მაქსიმა დაცული ყველაზე არასაინტერესო მაგალითებად მიიჩნევენ. მაგალითი გრასის ყველა მაქსიმის დაცვით შეიძლება ასეთი იყოს:

ა: სად მიდიხარ?

ბ: სტუმრად.

უფრო მეტიც, ჩემი აზრით, ყოველდღიურ ურთიერთობაში თითქმის შეუძლებელია გრაისის ყველა მაქსიმის დაცვა, და, პირიქით, არის შემთხვევები, როდესაც მოკლე, პირდაპირი და მხოლოდ ინფორმაციული პასუხის გაცემა მოლაპარაკეებს შორის დაძაბულ ურთიერთობაზე მიუთითებს, ან ამ დაძაბვის საფუძველი ხდება. ამდენად, ყოველთვის არსებობს მიზეზი იმისა, რომ ურთიერთობისას ესა თუ ის მაქსიმა დაირღვეს, მაგალითად ადამიანმა შეიძლება ტყუილი თქვას, ან იმდენი ინფორმაცია არ მიაწოდოს მსმენელს, რამდენიც საჭიროა. იმ შემთხვევაში, თუ მსმენელი ამჩნევს, რომ მოლაპარაკე საუბარში გულახდილი არ არის, მან შესაძლოა (და ასეთი შემთხვევები

ხშირია) ამის მიზეზი თავაზიანობაში ეძებოს, რადგან მოლაპარაკე ამით ცდილობს თავიდან აიცილოს მსმენელის განაწყენება. ლაკოვის (ლაკოვი 1973: 297-298) მტკიცებით თითქმის არ არსებობს ისეთი სიტუაციები, რომლებიც გრაისის მაქსიმებით რეგულირდება, რადგან ნორმალური, საინტერესო საუბრის წარმართვისას მოლაპარაკეები ყოველ ნაბიჯზე არღვევენ გრაისის საუბრის წესებს, ხოლო როდესაც მოსაუბრე იძულებულია არჩევანი გააკეთოს ნათლად საუბარსა და თავაზიანობას შორის, უმეტეს შემთხვევებში თავაზიანობა პრიორიტეტული ხდება, რადგან უფრო მნიშვნელოვანია მოსაუბრის განაწყენების თავიდან აცილება, ვიდრე ნათლად და გასაგებად საუბარი. ლაკოვმა შექმნა სისტემა, რომელსაც თავაზიანობის წესები (Rules of Politeness) უწოდა. ამ სისტემაში მან გააერთიანა გრაისის სალაპარაკო მაქსიმები თავაზიანობის საკუთარ წესებთან და ეს წესები შემდეგია:

1. დისტანცია (Distance)- ნუ მოახდენ ზეგავლენას (Don't impose);
2. პატივისცემა (Deference)- მიეცი არჩევანის უფლება (Give options);
3. მეგობრობა (Camaraderie)- იყავი მეგობრული (Make A feel good- be friendly).

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც გრაისის კოოპრაციის პრინციპის მაქსიმები, ისევე ლაკოვის თავაზიანობის წესები სხვადასხვა კულტურაში განსხვავებულ გამოხატულებას პოულობს.

ლაკოვის სისტემაში *დისტანცია*, ჩვეულებისამებრ, გამოიყენება ოფიციალურ სუტუაციაში. ეს ის წესია, სადაც ადამიანი უპირატესობას ანიჭებს არაპირდაპირ გამონათქვამებს, რათა არ მოხდეს მსმენელისათვის საკუთარი სურვილის თავსმოხვევა, მაგალითად სტუმრისადმი შეკითხვა *'Would you like something to drink?'* და მასზე პასუხი *'Thank you, that would be nice'* ასეთი სტრატეგიის გამოყენებით ხასიათდება. *პატივისცემა* ლაკოვის წესებში ყოყმანით ხასიათდება, რადგან ის მეორე პრინციპს „მიეცი არჩევანი უფლება“ შეიცავს. ურთიერთობისას მოცემული პრინციპის გამოყენებისათვის დამახასიათებელია ისეთი შთაბეჭდილების შექმნა, თითქოს მოსაუბრეებმა არ იციან რა სურთ მათ, რადგან ისინი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას სხვას აკისრებენ, მაგ.:

- *ყავა სად გინდა დაგლიოთ?*
- *სადაც შენ იტყვი.*



ან

- რას დალევ?

- რაც გაქვს იმას.

მესამე წესი- მეგობრობა კი მიუთითებს თანასწორობაზე და მეგობრული დამოკიდებულების გამოხატვაზე. მაგალითად, როდესაც სახლში შემოდის ადამიანი და ამბობს: „მშოა. საჭმელი რა გაქვს?“, ის ზუსტად მეგობრობის სტრატეგიას მიმართავს.

უნდა ითქვას, რომ თავდაპირველად ლაკოფის ტაქსონომია ორი წესისგან შედგებოდა:

1. იყავი გასაგები, ნათელი (be clear); და

2. იყავი თავაზიანი (be polite), სადაც ის მეორე წესს ანიჭებდა უპირატესობას.

ლაკოფმა ჩართო გრაისის მაქსიმები თავის პირველ წესში (იყავი გასაგები), ხოლო მეორე წესი შედგებოდა ჩვენთვის უკვე ნაცნობი სამი ქვე-წესისაგან:

1. ნუ მოახდენ ზეგავლენას;

2. მიეცი არჩევანის უფლება; და

3. იყავი მეგობრული.

მოგვიანებით, ლაკოფი (ლაკოფი 1973: 303-304) აცხადებს, რომ ნათლად საუბარი (be clear) მისი თავაზიანობის პრინციპის პირველი წესის (ნუ მოახდენ ზეგავლენას–don't impose) ნაწილია. შედეგად, გრაისის კოოპერაციის პრინციპის მაქსიმები მისი პირველი წესის (ნუ მოახდენ ზეგავლენას) ქვე-წესებს წარმოადგენენ, რადგან მათი მიზანია ინფორმაციის უმოკლეს დროში გადმოცემა მსმენელზე ყოველგვარი ზეგავლენის მოხდენის გარეშე.

გრაისის კოოპერაციის პრინციპზე და ლაკოფის თავაზიანობის წესებზე საუბრისას, ვფიქრობ მიზანშეწონილია განვიხილო ლიჩის თავაზიანობის პრინციპები (ლიჩი 1983). ლაკოფის მსგავსად, ლიჩი გრაისის კოოპერაციის პრინციპს იღებს თავისი პრინციპის საფუძვლად და მას სურს გასაგები გახდეს ის, თუ რატომ მეტყველებენ ხშირად ადამიანები ირიბად და ყოველთვის არ იცავენ გრაისის მაქსიმებს. ამის მიზეზად მას თავაზიანობა მოჰყავს. ლიჩის თავაზიანობა სამი ჯგუფისაგან შედგება:

1. გრაისის კოოპერაციის პრინციპი (CP) თავისი ოთხი მაქსიმით;
2. ლიხის მიერ შემოთავაზებული თავაზიანობის პრინციპი (PP); და
3. აგრეთვე ლიხის მიერ შემოღებული ირონიის პრინციპი (IP).

ლიხის თანახმად, ირონიის პრინციპი შესაძლებლობას აძლევს ადამიანს იყოს არათავაზიანი იმ დროს, როდესაც ის თითქოსდა თავაზიანია. ირონიის პრინციპის გამოყენებისას მოლაპარაკე ირიბად აგებინებს მსმენელს თავისი გამონათქვამის აზრს.

ლიხის თავაზიანობის პრინციპი ექვსი მაქსიმისაგან შედგება:

1. ტაქტი (tact)- მსმენელის შეწუხების (cost) მინიმალიზაცია და მისი სარგებლობის (benefit) მაქსიმალიზაცია;
2. დიდსულოვნება (generosity)- საკუთარი თავისთვის სარგებლობის მინიმალიზაცია და საკუთარი თავის შეწუხების მაქსიმალიზაცია;
3. მოწონება (approbation)- მსმენელის უარყოფითად დახასიათების მინიმალიზაცია და მისი შექების მაქსიმალიზაცია;
4. თავმდაბლობის (modesty)- საკუთარი თავის შექების მინიმალიზაცია და გაკიცხვის მაქსიმალიზაცია;
5. თანხმობა (agreement)- უთანხმოების მინიმალიზაცია და თანხმობის მაქსიმალიზაცია საკუთარ თავსა და სხვა ადამიანებს შორის;
6. სიმპათია (sympathy)- ანტიპათიის მინიმალიზაცია და სიმპათიის მაქსიმალიზაცია საკუთარ თავსა და სხვა ადამიანებს შორის.

ლიხის მტკიცებით (ლიხი 1983: 82), კომუნიკაციის დროს გრაისის კოოპერაციის პრინციპი და მისი თავაზიანობის პრინციპი შესაძლოა არ იყვნენ თავსებადნი და საუბრისას მოლაპარაკეებს შეიძლება მოუხდეთ ამ ორი პრინციპიდან და მაქსიმებიდან მხოლოდ ერთის არჩევა, მაგრამ, იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკე უპირატესობას მიანიჭებს გრაისის კოოპერაციის პრინციპს, მან შესაძლოა საფრთხე შეუქმნას სტაბილურ და მეგობრულ ურთიერთობებს.

ამავდროულად ლიხი (ლიხი 1983: 133) აცხადებს, რომ ყველა მაქსიმას ერთნაირი ზეგავლენა არა აქვს. მისი მტკიცებით, ტაქტის მაქსიმა უფრო ძლიერია ვიდრე დიდსულოვნების მაქსიმა, ხოლო მოწონების მაქსიმა თავმდაბლობის მაქსიმაზე უფრო მნიშვნელოვანია. ამრიგად, თავაზიანობის ლიხისეული ცნება უფრო მსმენელზეა ორიენტირებული ვიდრე მოლაპარაკეზე,

რადგან ავტორი უპირატესობას ანიჭებს იმ მაქსიმებს, რომლებიც მსმენელზეა ორიენტირებული. თუმცა, ასეთ შემთხვევაში გაუგებარი ხდება, რატომ მიიჩნევა ლიჩი ტაქტისა და მოწონების მაქსიმებს უფრო ადრესატისკენ მიმართულად, ვიდრე დიდსულოვნების და თავმდაბლობის მაქსიმებს. ვფიქრობ, რომ მაქსიმები და მათი როლის განსაზღვრა სხვადასხვა საზოგადოების კულტურული თავისებურებებით უნდა აიხსნას. მაგალითად, ლიჩს (ლიჩი 1983: 107) მიაჩნია, რომ ინგლისურენოვან საზოგადოებებში ყველაზე მეტად ტაქტის მაქსიმა ფასდება და, ამრიგად, ქართველების მიერ სუფრაზე რამდენჯერმე მიპატიუება, კერძის ან სასმელის ბევრჯერ შეთავაზება (რაც ქართული სტუმარ-მასპინძლობის გამოხატულებაა), ინგლისელების მიერ ტაქტის მაქსიმის დარღვევად შეიძლება შეფასდეს, რადგან ისინი უფრო დისტანციას ანიჭებენ უპირატესობას და მათთვის მიუღებელია მათზე რაიმე ზეგავლენის მოხდენის მცდელობა. ქართველებისათვის კი ასეთი ქცევა დიდსულოვნების მაქსიმის დაცვას წარმოადგენს, რაც მოსალოდნელია სტუმართან მიმართებაში, ხოლო ამ მაქსიმის დარღვევა გულგრილობად და არასტუმართმოყვარეობად მიიჩნევა. ამრიგად, შეუძლებელი ხდება ერთი მაქსიმის, მაგალითად ტაქტის მაქსიმის დიდსულოვნების მაქსიმაზე უპირატესობაზე საუბარი ყველა კულტურასთან მიმართებაში.

ასევე აუცილებლად მიმაჩნია ყურადღება მიექცეს ლიჩის (ლიჩი 1983: 83) მიერ შემოთავაზებულ ბუნებით თავაზიან (მაგ., შეთავაზება) და ბუნებით არათავაზიან (მაგ., ბრძანება) სამეტყველო აქტებს. მე ვერ დავეთანხმები სამეტყველო აქტების ამგვარ დაყოფას, რადგან მიმაჩნია, რომ განსხვავებულ კულტურებში ერთსა და იმავე სამეტყველო აქტს სხვადასხვა სახის შეფასება ენიჭება კონტექსტიდან გამომდინარე და შეუძლებლად მიმაჩნია განისაზღვროს ბუნებით თავაზიანი და არათავაზიანი აქტები მათი ენობრივი და კულტურული თავისებურებების გათვალისწინების გარეშე.

უნდა აღინიშნოს, რომ თავაზიანობის, როგორც ლინგვისტური თეორიის განვითარებაში უდიდესი როლი ბრაუნს და ლევინსონს (ბრაუნი და ლევინსონი 1987) მიუძღვით და დღემდე მათი თავაზიანობის თეორია ყველაზე გავლენიან თეორიად მიიჩნევა. ბრაუნი და ლევინსონი თვლიან, რომ გრაისის მაქსიმების დარღვევის მთავარი მიზეზი თავაზიანობაა, რომელშიც დიდი ყურადღება

„სახეს“ (face) ექცევა. „სახე“ მათი თავაზიანობის თეორიის ცენტრალური ცნებაა, და როგორც ავტორები აცხადებენ (ბრაუნი და ლევენსონი 1987: 61), „სახის“ ცნება მათ თეორიაში მომდინარეობს გოფმანისაგან (გოფმანი 1967) და ინგლისური ფოლკლორული ტერმინისაგან, რომელიც აკავშირებს „სახეს“ ისეთ ცნებებთან როგორცაა „იყო შერცხვნილი“, „დამცირებული“ ან „სახის დაკარგვასთან“. ავტორების მტკიცებით, ურთიერთობისას შესაძლებელია მოხდეს „სახის დაკარგვა“ ან მისი „შენარჩუნება“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ურთიერთობისას, ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ ჩვენს მიერ წარმოთქმულ თითოეულ სიტყვას და ჩადენილ მოქმედებას, რომ ამით არ მოხდეს ჩვენი „სახის შელახვა“. უჭკველია, რომ გოფმანს დიდი წვლილი მიუძღვის „სახის“, როგორც ცნების და ადამიანთაშორისი ურთიერთობის განმსაზღვრელი ფაქტორის განხილვასა და დამუშავებაში. გოფმანი (გოფმანი 1967: 5) „სახეს“ განსაზღვრავს, როგორც „დადებით სოციალურ ფასეულობას, რომელსაც ადამიანი ითხოვს საკუთარი თავისადმი სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დროს“.

ტერმინი „სახე“ (face) „რეპუტაციის“, „კარგი სახელის“ მნიშვნელობით პირველად 1876 წელს (ტომასი 1995: 168) იყო გამოყენებული ინგლისურ ენაში, როგორც ჩინური ტერმინის *‘diū liǎn’* თარგმანი ფრაზაში „მზადებები, რომლის გამო ჩინეთმა სახე დაკარგა“. იმ დროიდან „სახე“ ფართოდ გამოიყენება ისეთ ფრაზებში, როგორცაა „სახის დაკარგვა“ (*losing face*) და „სახის შენარჩუნება“ (*saving face*). ამავე დროს, აღსანიშნავია სკოლონების (სკოლონები 1997: 34) მოსაზრება „სახის“ წარმოშობაზე, სადაც ისინი აცხადებენ, რომ პირველად „სახის“ ცნება შემოთავაზებული იყო ჩინელი ანთროპოლოგის ჰუს მიერ 1944 წელს, და ის აგებულია „ღირსების“ ცნებაზე, თუმცა, ავტორების მტკიცებით, „სახე“ როგორც ტერმინი მანამდე უკვე რამდენიმე საუკუნით ადრე გამოიყენებოდა ინგლისურ ენაში.

ბრაუნი და ლევენსონი „სახეზე“ ლაპარაკისას განიხილავენ „უარყოფით“ და „დადებით სახეს“, რომელსაც ჯენი და არნდტი (ჯენი და არნდტი 1992: 29) თავის მხრივ, „პერსონალურს“ (*personal*) და „ურთიერთობითს“ (*interpersonal*) უწოდებენ. ბრაუნისა და ლევენსონის „დადებითი სახის“ ცნება მეგობრობის და ჰარმონიის სტრატეგიას წარმოადგენს და გამოიხატება თითოეული ადამიანის

სურვილში იყოს დადებითად შეფასებული სხვათა მიერ. მეორეს მხრივ, ბრაუნისა და ლევინსონის „უარყოფითი სახე“ გამოიხატება ყოველი ადამიანის სურვილში მისი მოქმედება არ იყოს შეზღუდული სხვა ადამიანების მხრიდან. მაგრამ, როგორც „დადებით“, ისევე „უარყოფით სახეს“ შეიძლება საშიშროება შეექმნას, რის შედეგადაც საქმე გვაქვს „სახის შელახვის აქტებთან“ (FTA-სმა) (ბრაუნი და ლევინსონი, 1987: 60).

ასევე აღსანიშნავია, რომ თავის თეორიაში ბრაუნი და ლევინსონი განიხილავენ თავაზიანობას, როგორც „დადებითს“ და „უარყოფითს“. „დადებითი თავაზიანობის“ სტრატეგიები მიმართულია მსმენელის „დადებითი სახისადმი“ და გამოხატავენ სოლიდარობას, ახლო მეგობრულ ურთიერთობას და არაოფიციალურობას. „უარყოფითი თავაზიანობის“ სტრატეგიები კი მსმენელის „უარყოფითი სახისადმი“ მიმართული და გამოიხატება თავშეკავებულობით, ოფიციალურობითა და დისტანციით. მოცემული სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავში განხილული ინგლისური და ქართული საქორწილო მიპატიუებები და მათზე მიღებული პასუხები შეიცავენ როგორც „დადებითი“, ასევე „უარყოფითი თავაზიანობის“ სტრატეგიების ნიშნებს, რომლებსაც მათი ავტორები მიმართავენ.

საინტერესოა ისიც, რომ, ბრაუნისა და ლევინსონის მოსაზრებით, თხოვნა, შეთავაზება და რჩევა საფრთხეს უქმნის მსმენელის „უარყოფით სახეს“, რადგან მოლაპარაკე ზეგავლენას ახდენს მსმენელზე, რათა მან შეასრულოს გარკვეული მოქმედება ან თავი შეიკავოს მისი შესრულებისაგან (ბრაუნი და ლევინსონი 1987: 65-68). ამავე დროს, ავტორების მოსაზრებით, მადლობის გადახდა საფრთხეს უქმნის მოლაპარაკის „უარყოფით სახეს“, რადგან თავდაპირველად ის შეიძლება მიხნეულ იქნას, როგორც მოვალეობის აღიარება და ამით მოლაპარაკე საკუთარ თავს („სახეს“) იმცირებს; შეთავაზების მიღების შემთხვევაში კი მოლაპარაკე (ჩვენს შემთხვევაში სტუმარი) იძულებულია ვალი დააკისროს საკუთარ თავს, რის გამოც ხდება მისი „უარყოფითი სახის შელახვა“. მობოდიშებები და კომპლიმენტების მიღება განიხილება როგორც „სახის შელახვის აქტი“ მოლაპარაკის „დადებითი სახისადმი“, რადგან მობოდიშებისას მოლაპარაკე მიუთითებს, რომ ის წუხს წინათ ჩადენილი „სახის შელახვის აქტის“ გამო, და, შედეგად, ის გარკვეულწილად ზიანს აყენებს

საკუთარ „სახეს“. კომპლიმენტების მიღების შემთხვევაში მოლაპარაკემ შესაძლოა ვალდებულად იგრძნოს თავი ამ კომპლიმენტს უპასუხოს. ბრაუნისა და ლევინსონის მოსაზრებით, პრაქტიკულად ნებისმიერი ურთიერთობა ადამიანებს შორის შედგება ისეთი სამეტყველო აქტებისაგან, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ან მოლაპარაკის ან მსმენელის „სახეს“, რის შედეგადაც კასპერი (კასპერი 1990: 195) აღნიშნავს, რომ ბრაუნი და ლევინსონი განიხილავენ კომუნიკაციას, როგორც „ფუნდამენტალურად საშიშ ანტაგონისტურ საქციელს“. ისევე როგორც ლინის ბუნებით თავაზიანი და არათავაზიანი აქტების შემთხვევაში, ვერ დავეთანხმები ბრაუნისა და ლევინსონის მიერ შემოთავაზებულ სამეტყველო აქტების ასეთ დაყოფას, რადგან ვთვლი, რომ შეუძლებელია მივიჩნიოთ ისეთი სამეტყველო აქტების არსებობა, რომლებიც ბუნებით უქმნიან საფრთხეს მოლაპარაკისა თუ მსმენელის „სახეს“. მიმაჩნია რომ თითოეული სამეტყველო აქტი უნდა იყოს განხილული მისი კონტექსტისა და კულტურული თავისებურებებიდან გამომდინარე. უნდა აღინიშნოს, რომ ბრაუნისა და ლევინსონის თავაზიანობის თეორიაში მოლაპარაკის „სახე“ თანდათან ქრება და მსმენელი ცენტრალურ ფიგურად გადაიქცევა როგორც „სახის შელახვის აქტებისა“ და თავაზიანობის სტრატეგიების ობიექტი.

ასევე უნდა ითქვას, რომ ბრაუნისა და ლევინსონის მოსაზრებით, „სახის შელახვის აქტის“ სერიოზულობა სამი დამოუკიდებელი და კულტურულად მგრძობიარე ცვლადი სიდიდის მიხედვით უნდა განისაზღვროს. ესენია:

1. სოციალური დისტანცია (Social Distance - D ) ადრესატსა და ადრესანტს შორის, რომლებიც პორიზონტალური განსხვავებების შკალაზე არიან;
2. შედარებითი ძალაუფლება (Relative Power - P) - ხარისხი იმისა თუ რამდენად შეუძლია ადრესანტს ზეგავლენა მოახდინოს ადრესატზე, სადაც ისინი ვერტიკალური განსხვავებების შკალაზე არიან;
3. ზეგავლენის აბსოლუტური დონე განსაზღვრულ კულტურაში (Absolute ranking of imposition in the particular culture - R), რომელიც დამახასიათებელია განსაზღვრული აქტისათვის. ბრაუნი და ლევინსონი განიხილავენ ამ ცვლად სიდიდეს, როგორც კულტურულად განპირობებულს.

ამრიგად, ბრაუნისა და ლევენსონის თეორიის მიხედვით, თავაზიანობის ოდენობა და სახეობა, რომელიც გამოიყენება განსაზღვრულ სამეტყველო აქტში, განპირობებულია მისი წონით (Weightness), რომელიც სამი სიდიდისაგან გამომდინარეობს (სოციალური დისტანცია, შედარებითი ძალაუფლება და აბსოლუტური ზეგავლენის დონე).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბრაუნისა და ლევენსონის განსხვავება „უარყოფით“ და „დადებით თავაზიანობას“ შორის დაკავშირებულია გოფმანის (გოფმანი 1967) „აცილების“ (Avoidance) და „წარმოდგენითი (Presentational Rituals) რიტუალების“ ცნებასთან. გოფმანი კი ამ რიტუალებს გვთავაზობს დურქჰეიმის (დურქჰეიმი 1915) „უარყოფით“ და „დადებით“ რელიგიურ წეს-ჩვეულებებს შორის არსებული განსხვავებების საფუძველზე. გოფმანის „აცილების რიტუალები“ მოლაპარაკისადმი პატივისცემის გამოხატვას უკავშირდება ისეთი ფორმების მეშვეობით, როგორცაა მაგალითად, მიმართვის თავაზიანი ფორმები, რომლებიც დისტანციას ქმნიან ადრესატსა და ადრესანტს შორის. „წარმოდგენითი რიტუალები“ კი შეიცავენ მიპატიუებებს, კომპლიმენტებს და ა.შ., რომლის მეშვეობითაც მოლაპარაკეს მიუთითებენ მასთან ურთიერთობის სურვილზე.

აღსანიშნავია, რომ სკოლონები (სკოლონები 1997: 37) განიხილავენ „ჩართვის“ ასპექტს (Involvement), რომლისთვისაც დამახასიათებელია ისეთი სტრატეგიების გამოყენება, როგორცაა სხვა ადამიანისათვის საერთო ინტერესებზე და საერთო ჯგუფის წევრობაზე მითითება, საკუთარი სახელების გამოყენება. მათი განცხადებით, „ჩართვას“ აგრეთვე „დადებითი თავაზიანობა“ ეწოდება იმის ხაზგასასმელად, რომ მონაწილეებს საერთო ინტერესები ამოძრავებთ. „დამოუკიდებლობის“ (Independence) ასპექტი კი ხაზს უსვამს მონაწილეების ინდივიდუალობას და მათ თავისუფლებას ყოველგვარი ზეგავლენისაგან. „დამოუკიდებლობას“ კი „უარყოფითი თავაზიანობა“ ეწოდება, მაგრამ ავტორები უპირატესობას ანიჭებენ „ჩართვის“ და „დამოუკიდებლობის“ ტერმინების გამოყენებას „დადებითი“ და „უარყოფითი თავაზიანობის“ ნაცვლად, აცხადებენ რა, რომ „მკითხველმა ძალზედ ადვილად შეიძლება დაიწყოს ფიქრი იმაზე, რომ „დადებითი თავაზიანობა“ კარგია, ხოლო „უარყოფითი თავაზიანობა“ ცუდი“ (იქვე). ამავე დროს, სკოლონები ხაზს

უსვამენ იმას, რომ „სახე“ პარადოქსული რამაა, რადგან ის ითხოვს „ჩართვას“ და „დამოუკიდებლობას“, რომელიც ერთდროულად არის ასახული ნებისმიერ საკომუნიკაციო აქტში. მაგრამ ზედმეტ „ჩართვას“ შეუძლია გაფიქრებინოთ, რომ თქვენს „დამოუკიდებლობას“ საფრთხე ემუქრება და პირიქით. ისიც უნდა ითქვას, რომ თუ მაქსიმალურად ვეცდებით თავი ავარიდოთ „სახის შელახვის აქტს“ ბრაუნისა და ლევისონისა და ასევე ლაკოფის მიერ შემოთავაზებული მრავალი სტრატეგიის მეშვეობით, ამან შეიძლება „თავაზიანობის პრაგმატიკულ პარადოქსამდე“ (Pragmatic Paradox of Politeness- ლიჩი 1983: 111-112) მიგვიყვანოს. ლიჩი ამბობს, რომ იდეალურად თავაზიან სიტუაციაში, სადაც ორივე მონაწილე განიხილება, როგორც აბსოლუტურად თავაზიანი, ჩვენ გვექნება თავაზიანობის ფორმულების გაცვლა-გამოცვლის განუწყვეტელი სერია, რამაც შესაძლებელია უმოქმედება გამოიწვიოს, თუმცა როგორც სიფუანუ (სიფიანუ 1999: 30) აცხადებს, ამგვარი პარადოქსები იშვიათია, რადგან საზოგადოებას აქვს შემუშავებული წესები უმეტესი შემთხვევებისათვის.

თავაზიანობის სისტემებსა და სტრატეგიებზე ლაპარაკისას, ასევე აღსანიშნავია სკოლონების (სკოლონები 1997: 44-46) თავაზიანობის სისტემის სამი ძირითადი ტიპი, კერძოდ „პატივისცემის თავაზიანობის სისტემა“ (Deference Politeness System), „სოლიდარობის თავაზიანობის სისტემა“ (Solidarity Politeness System) და „იერარქიის თავაზიანობის სისტემა“ (Hierarchical Politeness System). ყველა მათგანი აგებულია მონაწილეებს შორის ძალაუფლებისა და დისტანციის განსხვავებაზე. სკოლონების თანახმად, „პატივისცემის თავაზიანობის სისტემაში“ მონაწილეები თანასწორნი ან თითქმის თანასწორნი არიან ძალაუფლებაში (-P), მაგრამ მათ შორის დისტანციაა შექმნილი (+D). ამისი მაგალითია ურთიერთობა თანამშრომლებს შორის, რომლებიც ერთმანეთს კარგად არ იცნობენ. „სოლიდარობის თავაზიანობის სისტემაში“ „ჩართვის“ ბევრი თავაზიანი სტრატეგიაა გამოყენებული. აქ არ არის განსხვავება მოსაუბრეებს შორის ძალაუფლებასა (-P) თუ დისტანციაში (-D), რაც ახლო მეგობრულ ურთიერთობას ახასიათებს. ხოლო იერარქიულ თავაზიანობის სისტემაში მოლაპარაკებებში არსებობს განსხვავება ძალაუფლებაში (+P) და ამგვარი სისტემა ასიმეტრიული ურთიერთობით ხასიათდება, სადაც უფრო მაღალ პოზიციაზე მდგომი ადამიანი „სახის ჩართვის“ სტრატეგიებს იყენებს



უფრო დაბალ პოზიციაზე მდგომ მოსაუბრესთან მიმართებაში (-D), უკანასკნელი კი, პირიქით, მასზე უფრო მაღალ სოციალურ საფეხურზე მდგომ ადამიანთან მიმართებაში „სახის დამოუკიდებლობის“ სტრატეგიებს მიმართავს (+D). მოსაუბრეთა შორის არსებული დისტანცია თუ სოლიდარობა ნათლად მუდავნდება მოცემული სადისერტაციო ნაშრომის მაგალითებში, რაც გამოხატულია მიმართვის ფორმებით, მრავლობითი რიცხვის პირველი და მესამე პირის გამოყენებით და სხვა ენობრივი საშუალებებით.

თავაზიანობაზე საუბრისას, აუცილებლად მიმანია განვიხილოთ ჯენისა და არნდტის (ჯენი და არნდტი 1992: 22-24) მიერ შემოთავაზებული თავაზიანობის ისეთი ორი სახეობა, როგორცაა „სოციალური თავაზიანობა“ (Social Politeness) და „ურთიერთობითი თავაზიანობა“ (Interpersonal Politeness) ანუ ტაქტი. „სოციალური თავაზიანობის“ ფუნქციაა სტანდარტიზირებული სტრატეგიების სტრუქტურის შექმნა იმისათვის, რომ ადამიანმა ღირსეულად მიიღოს მონაწილეობა ისეთ სოციალურ სიტუაციებში, როგორცაა, მაგ., საუბრის დაწყება (მაგ., მისალმება, ადამიანების ერთმანეთისათვის გაცნობა, მისალმებებზე და გაცნობაზე პასუხი), საუბრის შენარჩუნება (მაგ.: თემის შეცვლა, გამეორების ან განმარტების თხოვნა), საუბრის შეწყვეტა (მაგ.: თემების განხილვის დასრულება, საუბრის დამთავრება, დამშვიდობება და ა.შ.).

ტაქტი საფუძვლად უდევს ადამიანების სურვილს - „შეინარჩუნონ სახე“. ტაქტიანად მოქცევა უბრალოდ სოციალურად „სწორად“ მოქცევას კი არ ნიშნავს, არამედ ეს არის ერთმანეთის მხარდაჭერა, რაც ნიშნავს სხვა ადამიანების გრძნობების გაზიარებას ისეთი საქციელის ან სიტყვების წარმოთქმის არიდებით, რომლებმაც შეიძლება სხვა ადამიანების წყენა გამოიწვიონ. განსხვავება ტაქტსა და „სოციალური თავაზიანობას“ შორის იმაშია, რომ „სოციალური თავაზიანობა“ არსებითად გამოიყენება სოციალური ურთიერთობის კოორდინირებისათვის, როლებსა და მოქმედებების მექანიკური გაცვლა-გამოცვლის რეგულირებისათვის, ხოლო ტაქტის ფუნქცია განსხვავებულია: მას ევალება „სახის შენარჩუნება“ და ურთიერთობების დარეგულირება. ავტორები მეტაფორულად „სოციალური თავაზიანობას“ სოციალურ საგზაო წესების სისტემას ადარებენ, ხოლო ტაქტი ეხება მანქანის ტარების სტრატეგიებსა და სტილს.

თავაზიანობის ენობრივ და კულტურულ თავისებურებებზე ლაპარაკისას, ასევე საინტერესოა ბრაუნისა და ლევინსონის (ბრაუნი და ლევინსონი 1987: 245) მოსაზრება „დადებითი და უარყოფითი თავაზიანობის კულტურების“ არსებობის შესახებ (Positive and Negative Politeness Cultures), რომელთაც სიფიანუ (სიფიანუ 1992: 218-219) „დადებითი და უარყოფითი თავაზიანობის საზოგადოებებს“ (Positive and Negative Politeness Societies) უწოდებს. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ მოცემული დაყოფა არ გულისხმობს, რომ ერთი კულტურა (საზოგადოება) სხვაზე მეტად ან ნაკლებად თავაზიანია, რადგან თავაზიანობა ყველა მათგანს ახასიათებს, არამედ საქმე გვაქვს თავაზიანობის გამოხატვასთან, რომელიც ამა თუ იმ კულტურაში (საზოგადოებაში) თავისებურ გამოხატულებას პოულობს. „დადებითი თავაზიანობის კულტურებში“ (Positive Politeness Cultures- PPCs) იგულისხმება მსმენელსა და მოლაპარაკეს შორის უშუალო, მეგობრული ურთიერთობის ჩამოყალიბება და ურთიერთობისას მოლაპარაკეები იყენებენ იმ სტრატეგიებს, რომლებიც სოლიდარობას და სითბოს გამოხატავენ. მეტყველებისას „დადებითი თავაზიანობის კულტურების“ წარმომადგენლები მაქსიმალურად ცდილობენ შეამცირონ დისტანცია მოლაპარაკესა და მსმენელს შორის. „უარყოფითი თავაზიანობის კულტურების“ წარმომადგენელთა (Negative Politeness Cultures- NPCs) ურთიერთქმედება კი აგებულია თავშეკავებულობის და თავის არიდების სტრატეგიებზე, სადაც მოლაპარაკეები ცდილობენ ირიბად იმეტყველონ, რაც დისტანციას ქმნის მათ შორის. ბრაუნი და ლევინსონი ბრიტანულ კულტურას „უარყოფითი თავაზიანობის კულტურის“ ტიპურ მაგალითად ასახელებენ. ამგვარად, აქ მოსაუბრეების მეტყველებაში „უარყოფითი თავაზიანობის“ ანუ „დამოუკიდებლობის“ სტრატეგიები ჭარბობს. ავტორები აგრეთვე აცხადებენ, რომ ისეთ კულტურებში, სადაც დისტანცია მცირეა და ძალაუფლების დონე მინიმალურია, მოსალოდნელია პირდაპირობა, სოლიდარობა და უშუალოება, რაც „დადებითი თავაზიანობის კულტურების“ დამახასიათებელი ნიშანია. როგორც ფოქსი (ფოქსი 2004: 147) აცხადებს, რადგან ინგლისელები „უარყოფითი თავაზიანობის“ მატარებლები არიან, სავსებით შესაძლებელია, რომ „დადებითი თავაზიანობის“ მატარებელმა ადამიანებმა არასწორად გაუგონ მათ და ნაწყენი დარჩნენ ინგლისელების თავშეკავებულობასა და ოფიციალურობაზე.

სიფიანუს (სიფიანუ 1992: 96) განცხადებით, საბერძნეთი (ინგლისისაგან განსხვავებით) ისეთი საზოგადოებაა, სადაც შედარებით დაბალი როლი ენიჭება სოციალურ დისტანციას, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, აქ სიახლოვე და სოლიდარობა უფრო ფასდება ვიდრე დისტანცია და ოფიციალურობა. რასაკვირველია, ბერძნულ საზოგადოებაშიც არსებობს ასიმეტრიული ძალაუფლების შემთხვევები, ანუ შემთხვევები, სადაც შეხვედრის მონაწილეებს სხვადასხვა სტატუსი აქვთ. ასეთ დროს მოსალოდნელია, რომ დაბალი სტატუსის მქონე მოლაპარაკებები უფრო მაღალ სტრატეგიებს გამოიყენებენ თავიანთ მეტყველებაში, ხოლო მაღალი სტატუსის მქონე მოლაპარაკებები პირიქით. ჩემი აზრით, ქართველებიც უპირატესობას ანიჭებენ სოლიდარობის და მეგობრობის გამოხატვის სტრატეგიებს და მათ „დადებითი თავაზიანობის კულტურებისათვის“ დამახასიათებელი თვისებები აქვთ. სითბოს და სიახლოვის გამოხატვა განსაკუთრებით ვლინდება ქართულ სტუმარ-მასპინძლობაში, სადაც სტუმარი მასპინძლის მაქსიმალური ზრუნვის საგანია, ანუ „სტუმარი ღვთისაა“. უფრო მეტიც, ჩემი კითხვარის შეკითხვაზე „რა არის თქვენთვის თავაზიანობა?“ ბევრმა ქართველმა ლინგვისტურმა ინფორმანტმა მიუთითა ქართული ტრადიციების, მშობლების, უფროსების და ზოგადად სხვა ადამიანებისადმი ზრუნვასა და პატივისცემის გამოხატვაზე და ასევე გულწრფელობაზე. აღსანიშნავია, რომ იგივე შეკითხვაზე პასუხის გაცემისას, ბევრმა ინგლისელმა ლინგვისტურმა ინფორმანტმა მიუთითა სხვა ადამიანის და ასევე მისი პიროვნული სივრცისადმი პატივისცემის გამოხატვის აუცილებლობაზე, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ინგლისელებისათვის მათი „პირადი ავტონომიის“ (იხ. ვეუბიკა: 2006) დაცვა. აქვე მინდა მოვისხენიო ჩემი საუბარი ერთ-ერთ ინგლისელ ლინგვისტურ ინფორმანტთან, რომელთანაც ვმსჯელობდი ინგლისური და ქართული საქორწილო მიპატიუებების თავისებურებებზე. მისთვის, ისევე როგორც ზოგადად ჩემი ინგლისელი ინფორმანტებისათვის, გაუგებარი იყო ფრაზა „გეპატიუებით ჩვენი შვილების მარიამის და გიორგის ქორწილში“, რადგან მათ ფრაზა „ჩვენი შვილები“ ძალზე უცნაურად ეჩვენებოდათ. მას მერე, რაც განუუმარტე, რომ ეს ფრაზა ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ სიძე ან პატარძალი, რომლებიც ოჯახის ახალი წევრები არიან, მასპინძლების მიერ უკვე შვილებად

არიან მიჩნეული, ჩემმა ინგლისელმა ინფორმანტმა წარმოთქვა: „როგორი თბილი ხალხი ხართ, და ეს უკვე თქვენი მიპატიუებიდანაც იგრძნობა“. ის ინგლისელი ინფორმანტები კი, რომლებიც იცნობენ ქართულ ყოფას, აფასებდნენ მას, როგორც თბილ და მეგობრულ ურთიერთობაზე ორიენტირებულს. ქართული საქორწილო მიპატიუებები ასეთი ურთიერთობის ერთ-ერთი გამოვლინებაა.

აღსანიშნავია, რომ ბაქსტერს (ბაქსტერი 1984) და ჰოლმსს (ჰოლმსი 1990) დისტანცია თავაზიანობის განმსაზღვრელ ფაქტორად არ მიაჩნიათ. უფრო მეტიც, ბაქსტერი აცხადებს, რომ მოლაპარაკებებს შორის უფრო ახლო ურთიერთობა უფრო დიდი თავაზიანობით გამოიხატება. მე ვერ დავეთანხმები ამ მოსაზრებას და მიმაჩნია, რომ ადამიანებს შორის ახლო მეგობრული ურთიერთობა ნაკლებ დისტანციას იწვევს, რის შედეგადაც მოლაპარაკებები საუბრისას პირდაპირ სტრატეგიებს მიმართავენ. ამის მაგალითად შემიძლია მოვიყვანო იმპერატივების გამოყენება, რაც ხშირია ახლობელ ადამიანებს შორის, მაგ., „წყალი მომიტანე“. საქმე ისაა, რომ მაგ., ქართულში, ისევე როგორც ბევრ სხვა ენაში (იხ. ვეუბიცკა: 1985; 2006), იმპერატივების ასეთი ფორმა გამოიყენება ახლო მეგობრული ურთიერთობის მქონე ადამიანებს შორის, და ეს საწყენად ან არათავაზიანად კი არ აღიქმება, არამედ, პირიქით, სიახლოვის ანუ სოლიდარობის მაჩვენებელია. ამგვარად, არ შეიძლება ერთი ენა ან კულტურა განისაზღვროს როგორც სხვაზე უფრო ან ნაკლებად თავაზიანი, რადგან თითოეულ საზოგადოებას პატივისცემის და სიახლოვის თავისებური ნორმები აქვს. შეუძლებელია ერთი საზოგადოების თავაზიანობის შეფასება სხვა საზოგადოებაში მიღებულ თავაზიანობის წესებს ემყარებოდეს ან რომელიმე ერთი საზოგადოების თავაზიანობის ნორმები მიიჩნეოდეს თავაზიანობის ნიმუშად და მოდელად.

აქვე უნდა აღინიშნოს „სახისადმი“ ო’დრისკოლის (ო’დრისკოლი 1996: 4) მიდგომა. გარდა „დადებითი“ და „უარყოფითი სახისა“, ის გეთავაზობს „კულტურულად განპირობებულ სახეს“ (Culture-Specific Face), რაც გულისხმობს ადამიანის სურვილს ჰქონდეს „კარგი სახე“ და აღნიშნავს, რომ ამ „სახის“ შემადგენელი ნაწილები კულტურულადაა განსაზღვრული.

ამავე დროს, „სახის შეღახვის აქტების“ განხილვისას, აუცილებელია განვიხილოთ მაიერის (მაიერი 1995: 388) მიერ შემოთავაზებული „გამოსწორების“ (Repair Work) ცნება, რომლის დანიშნულებაცაა მოსაუბრემ გამოასწოროს ნებისმიერი ზიანი, რომელიც მან მიაყენა საკუთარ იმიჯს. მაიერი ხაზს უსვამს მოსაუბრის პასუხისმგებლობას იმ საქციელზე, რომელიც არ შეესაბამებოდა განსაზღვრული რეფერენტული ჯგუფის სტანდარტებს. ავტორი განიხილავს „გამოსწორებას“ როგორც მოლაპარაკის და არა მსმენელის „სახის შენარჩუნების სტრატეგიას“, და მოლაპარაკის იმიჯს ცენტრალურ ფიგურად აქცევს. მსმენელის „სახეზე“ ზრუნვა აქ მხოლოდ მეორეხარისხოვანი რამაა მოლაპარაკის „სახის შენარჩუნების“ მცდელობაში. „გამოსწორების“ მეშვეობით ადამიანი ცდილობს დაანახოს მსმენელს, რომ ის დადებითი და სანდო პიროვნებაა და რომ ის მომავალშიც ნდობის ღირსია. ის ცდილობს ამას მიაღწიოს ისეთი სტრატეგიების გამოყენებით, როგორცაა თავის მართლება და მობოდიშება.

თავაზიანობაზე საუბრისას ასევე საინტერესოა ბლუმ-კულკას (ბლუმ-კულკა 1997) მიდგომა თავაზიანობისადმი. „კულტურული ნორმები“ ცენტრალური მნიშვნელობისაა მის თეორიაში. „სახე“ მისთვის კულტურულად განპირობებულია და მისი ფორმები („დადებითი“ და „უარყოფითი სახე“) არ არის უნივერსალური. ბლუმ-კულკა თავაზიანობას განიხილავს როგორც შესაფერის სოციალურ საქციელს, რომელიც განისაზღვრება კულტურული ნორმებით.

როგორც ვხედავთ, თავაზიანობის, როგორც ცნების მრავალი განმარტება არსებობს და ყველა მათგანი დიდ როლს თამაშობს თავაზიანობის თეორიის განვითარებაში, განსაკუთრებით კი სხვადასხვა კულტურისა და ენის გამოკვლევის მეშვეობით. მე განვიხილავ თავაზიანობას, როგორც ვერბალური და არავერბალური გამოხატულების ერთობლიობას, რომელიც განსხვავებული სტრატეგიებით გამოიხატება სხვადასხვა კულტურაში და რომლის მიზანია დადებითი ზეგავლენა მოახდინოს ადამიანებს შორის ურთიერთობების დამყარებასა და შენარჩუნებაზე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

1. ლიჩის ირონიის პრინციპმა, რომელიც ადამიანს შესაძლებლობას აძლევს იყოს თავაზიანი მაშინ როდესაც არათავაზიანია, საინტერესო ელფერი შესძინა თავაზიანობის თეორიის განვითარებას. ამავდროულად სადაოა ლიჩის აზრი მაქსიმუმის ერთი-მეორეზე უპირატესობის შესახებ. შეუძლებელია ერთი მაქსიმუმის, მაგალითად ტაქტის მაქსიმუმის უპირატესობაზე საუბარი დიდსულოვნების მაქსიმუმთან შედარებით, რადგან თითოეული მაქსიმუმის როლი კულტურულადაა განპირობებული ამა თუ იმ საზოგადოებაში ამ უკანასკნელის წეს-ჩვეულებებიდან გამომდინარე, და ის, რაც შეიძლება მისაღები იყოს ერთი ყოფითი კოლექტივისათვის, შეიძლება მიუღებელი აღმოჩნდეს მეორესათვის.
2. თავაზიანობის, როგორც ლინგვისტური თეორიის განვითარებაში უდიდესი როლი ენიჭება ბრაუნისა და ლევინსონის თავაზიანობის თეორიას, რომელიც დღემდე ყველაზე გავლენიან თეორიად მიიჩნევა. ბრაუნისა და ლევინსონი თეორიის ბირთვი „სახის“ ცნებაა, რომელიც შესაძლოა „დადებითი“ ან „უარყოფითი“ იყოს. სხვა მეცნიერების მსგავსად, მათ განავითარეს გრაიზისა და მისი მიმდევრების თეორიები, მაგრემ ისინი მიიჩნევენ, რომ თავაზიანობა ის მიზეზია, რომელიც ხელს უშლის მოსაუბრეებს ილაპარაკონ მაქსიმუმის მკაცრი დაცვით.
3. შეუძლებლად მიმაჩნია სამეტყველო აქტების დაყოფა ბუნებით თავაზიან და არათავაზიან აქტებად და ასევე ისეთ აქტებად, რომლებიც თავისი ბუნებით უქმნიან საფრთხეს მოლაპარაკისა თუ მსმენელის „სახეს“. ვთვლი, რომ თითოეული სამეტყველო აქტი უნდა იყოს განხილული მისი კონტექსტისა და კულტურული თავისებურებებიდან გამომდინარე.
4. ვთვლი, რომ თავაზიანობის ფენომენის და მისი თეორიების ვრცელი განხილვა საჭიროა სტუმარ-მასპინძლობის ეტიკეტის, კერძოდ კი ინგლისური და ქართული საქორწილო მიპატიუებების და სადღეგრძელოების დეტალური განხილვისათვის, რადგან თავაზიანობას მნიშვნელოვანი როლი მიუძღვის სტუმარ-მასპინძლობის რიტუალების

შესრულებაში და ეხმარება ადრესანტსა და ადრესატს  
კეთილგანწყობილი ურთიერთობების დამყარებასა და შენარჩუნებაში.

## § 2 სამეტყველო აქტების თეორიის პრინციპების განხილვა სტუმარ-მასპინძლობის ეტიკეტთან მიმართებაში.

ყოველდღიურ ყოფაში ადამიანი სხვადასხვა გრძნობას გამოხატავს მის გარშემო მყოფი ადამიანების მიმართ: გამოთქვამს სურვილს, წუხილს, სიბრაზეს, იძლევა ბრძანებას და სხვა, ანუ ახორციელებს გარკვეულ სამეტყველო აქტებს. ოსტინმა (ოსტინი 1962) პირველმა აღმოაჩინა, რომ განსაზღვრული სამეტყველო აქტების წარმოთქმა (მაგ., *I ask, I propose, I wish*) არ შეიძლება იყოს განხილული როგორც ჭეშმარიტი ან ყალბი, რადგან ისინი მიზნად ისახავენ არა ჭეშმარიტი ან ყალბი განცხადებების გაკეთებას (ასეთ განცხადებებს ოსტინი „კონსტატივებს“ უწოდებს), არამედ გარკვეული გამონათქვამის წარმოთქმის მეშვეობით განსაზღვრული მოქმედების შესრულებას, რასაც მან „პერფორმატივი“ დაარქვა და განაცხადა, რომ ასეთი სახის გამონათქვამი განსხვავდება სხვა გამონათქვამებისაგან. ოსტინის განცხადებით, პერფორმატივებისათვის დამახასიათებელი თვისებები შემდეგია: ისინი მოცემულია აწმყო დროში, მოქმედებით გვარში, პირველ პირში, მხოლოდობით რიცხვში, და მათთან შესაძლებელია ზმნიზედის *'hereby'* გამოყენება. (მაგ.: *'I (hereby) promise to come tomorrow'* და არა *'He promised to come'*). პერფორმატივი ინგლისურ საქორწილო სადღეგრძელოში შემდეგი სახითაა წარმოდგენილი:

*'I hereby wish you a very happy future together'*<sup>3</sup>.

ამავე დროს არსებობს ისეთი პერფორმატიული გამონათქვამები, რომლებიც ვნებით გვარში და სხვა პირში გამოიყენება და ინგლისურ საქორწილო მიპატიუებაში გვხვდება ამისი ნათელი დადასტურება:

*'You are cordially invited to celebrate the wedding of Rachel Williams and Robert Thomas Evans.....'*<sup>4</sup>.

პერფორმატიული შეიძლება იყოს ისეთი გამონათქვამიც, რომელშიც შემასმენელი გამოკვეთილი არ არის, როგორც მაგალითად *'Guilty'* (ქვემდებარეც და შემასმენელიც გამოტოვებულია), რაც სასამართლოში წარმოითქმის. მიმანია,

<sup>3</sup> ჰიტონი და სტრეჩი, 2004: 280

<sup>4</sup> <http://www.englishfolly.co.uk/wedding/wedding-invitation-wording.htm>



რომ ინგლისურ და ქართულ სუფრებზეც წარმოთქვამენ ამგვარ პერფორმატივებს, მაგ., ინგლისურ სუფრაზე ხშირია გამონათქვამის 'Cheers' გამოყენება, რომლის პირდაპირი მნიშვნელობაა *I wish you all the best*, ხოლო ყოველ ქართულ სუფრაზე ამბობენ „გავიმარჯოს“ (გისურვებ გამარჯვებას), „იცოცხლე“ (გისურვებ ხანგრძლივ სიცოცხლეს). მოგვიანებით ოსტინი ასკვნის, რომ არ არსებობს ის ლინგვისტური მახასიათებლები, რომლებიც მკაფიოდ განასხვავებენ პერფორმატულ გამონათქვამებს არაპერფორმატულისაგან, რადგან პერფორმატული გამონათქვამიც შეიძლება ვნებით გვარში და მრავლობით რიცხვში იყოს მოცემული. მეორეს მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ პერფორმატული გამონათქვამები არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან ყალბი, ისინი შეიძლება იყოს წარმატებული ან წარუმატებელი, და იმისათვის, რომ პერფორმატული გამონათქვამი წარუმატებელი არ იყოს, აუცილებელია „იღბლიანობის პირობების“ (Felicity Conditions) დაცვა, რომელიც აგრეთვე ტერმინით „შესაბამისობის პირობები“ (Appropriateness Conditions) არის ცნობილი და მოიცავს შემდეგს:

(ა.1) უნდა არსებობდეს საყოველთაოდ მიღებული პირობითი პროცედურა, რომელსაც გარკვეული პირობითი ეფექტი აქვს. მოცემული პროცედურა უნდა მოიცავდეს გარკვეული სიტყვების წარმოთქმას გარკვეული ადამიანების მიერ განსაზღვრულ გარემოში.

(ა.2) გარკვეული ადამიანები და პირობები შესაფერისი უნდა იყოს განსაზღვრული პროცედურის განსახორციელებლად, რაც ნიშნავს იმას, რომ სწორი და შესაფერისი სიტყვების წარმოთქმა არ არის საკმარისი წარმატებული სამეტყველო აქტის განსახორციელებლად, რადგან ეს სიტყვები შესაბამისი ადამიანების მიერ უნდა იყოს წარმოთქმული. ამავე დროს, შესაბამისი ადამიანების მიერ წარმოთქმული შესაფერისი სიტყვები წარუმატებელი იქნება შეუფერებელ პირობებში.

(ბ.1) პროცედურა ყველა მონაწილის მიერ უნდა შესრულდეს სწორად და

(ბ.2) სრულად

(გ.1) პროცედურის შესრულების დროს მონაწილეებს შესაფერისი გრნობები და ფიქრები უნდა ამოძრავებდეთ და რეალურად უნდა სურდეთ განსაზღვრული მოქმედების განხორციელება.

(გ.2) მონაწილეები შემდგომშიც შესაფერისად უნდა მოიქცნენ (ოსტინი 1962: 35-36).

ამავე დროს, შეიძლება საქმე გვეკონდეს ისეთი სახის წარუმატებლობებთან, რომელთაც ადგილი აქვთ პირობითი პროცედურის, შესაფერისი მონაწილეების და პირობების არსებობის მიუხედავად. პრობლემები შესაძლებელია იყოს როგორც ვერბალური, ასევე არავერბალური, მაგ.: როგორც ინგლისური, ასევე ქართული საქორწილო ცერემონია შეიცავს „ღიას/არა“ შეკითხვას, მაგრამ „ღიას“ პასუხის განცხადება არ არის საკმარისი საქორწილო აქტის სრულად განხორციელებისათვის, და ცერემონიის შესრულების ზუსტი მომენტი არის თითზე საქორწილო ბეჭდის გაკეთება შესაფერისი სიტყვების წარმოთქმის შემდეგ. ამის შეუსრულებლობა ან თითზე ბეჭდის გაკეთება შეუფერებელ მომენტში საქორწილო პროცედურის ჩაშლას გამოიწვევს.

აუცილებელია აღინიშნოს ისიც, რომ ოსტინი საკმაოდ მნიშვნელოვნად ცვლის თავის აზრს სამეტყველო აქტებთან მიმართებაში. როგორც უკვე აღინიშნა, თავდაპირველად ის სამეტყველო აქტებს კონსტატივებად და პერფორმატივებად ყოფს, შემდგომში ის აცხადებს, რომ სინამდვილეში ყველა გამონათქვამი პერფორმატიულია და რომ რამის თქმა არის გარკვეული მოქმედების განხორციელება. ოსტინი ასევე ასკვნის, რომ გამონათქვამის წარმოთქმის დროს მოლაპარაკეს შეუძლია ერთდროულად სამი აქტის შესრულება, როგორცაა ლოკუციური, ილოკუციური და პერლოკუციური აქტები, მაგალითად ინგლისურ საქორწილო სუფრაზე *I thank my beautiful Taley for being my wife* სიტყვების წარმოთქმით, ნევე ლოკუციურ აქტს ახორციელებს. როდესაც ნევე ამბობს *I thank...*; ის მადლობის გადახდის ილოკუციურ აქტს ახორციელებს და სურს პატარძალში დადებითი შეგრძნებები გამოიწვიოს. ხოლო ნევის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს დადებითი შეფასება მოჰყვება არა მხოლოდ პატარძლის, არამედ დამსწრე საზოგადოების მხრიდანაც, რაც პერლოკუციურ ეფექტს ქმნის.

ოსტინს მიაჩნია, რომ საუბრისას მოლაპარაკე ასრულებს არა ერთ-ერთ მოცემული აქტებისაგან, არამედ სამივე აქტს ერთდროულად. ავტორი აგრეთვე თვლის, რომ ლოკუციური აქტის შესრულება არის ამავედროულად ილოკუციური აქტის განხორციელება. ლოკუციური აქტის ინტერპრეტაცია დაკავშირებულია

მნიშვნელობასთან, ილოკუციური აქტის კი გარკვეულ ძალასთან. ამავე დროს, სერლი (სერლი 1969) ამტკიცებს, რომ ლაპარაკია არა ორ სხვადასხვა აქტზე, არამედ ერთი აქტის ორ სხვადასხვა დასახელებაზე და არსებობს მხოლოდ ილოკუციური აქტები.

უნდა აღინიშნოს ოსტინის მიერ შემოღებული ექსპლიციტური და იმპლიციტური პერფორმატივის ცნება. ექსპლიციტური (აშკარა) პერფორმატივები შეიცავენ ისეთ არაორაზროვან პერფორმატულ გამონათქვამებს, როგორცაა, მაგალითად „გპირდები“ (*I promise*), ხოლო „დალიე!“ (*Drink!*) იმპლიციტური პერფორმატივის მაგალითია, რადგან ის შეიძლება იყოს შეთავაზება, ბრძანება, თხოვნა, ან მუდარა. ამრიგად, გაურკვეველია, თუ რომელი სამეტყველო აქტია მოცემული და მისი მნიშვნელობა, ექსპლიციტური პერფორმატივისაგან განსხვავებით, კონტექსტზეა დამოკიდებული.

ოსტინი აგრეთვე გამოყოფს პერფორმატივების ხუთ ჯგუფს, რომელთა მაგალითები საკმაოდ ხშირად გვხვდება, როგორც ინგლისურ და ქართულ საქორწილო მიპატიებებსა და მათზე გაცემულ პასუხებში, ასევე საქორწილო სადღეგრძელოებშიც. ოსტინის პერფორმატული ზმნების ჯგუფები ასეთია:

1. ვერდიქტივები- მოცემული აქტები გამოიყენება ვერდიქტის, შეფასების გამოსახატავად და ამ ჯგუფს შემდეგი ზმნები მიეკუთვნება: *assess, reckon, estimate, rate, describe*, მაგ.:

*'I describe Janet as a quiet person'.*<sup>5</sup>

მოცემულ პერფორმატულ გამონათქვამს წარმოთქვამს პატარძლის მამა ინგლისურ საქორწილო სუფრაზე და მიზნად ისახავს დადებითი შეფასება მისცეს თავისი ქალიშვილის პიროვნულ თვისებებს. ინგლისურ საქორწილო სადღეგრძელოებში შემხვდა ისეთი პერფორმატივები, როგორცაა: *describe, reckon*.

2. ექზერსიტივები გამოხატავენ გადაწყვეტილების მიღებას ან გარკვეული მოქმედების მიღებისადმი ან მის საწინააღმდეგოდ პროპაგანდას. ამ ჯგუფს მიეკუთვნება ისეთი ზმნები, როგორცაა *appoint, dismiss, pray, dedicate, advise, warn* და სხვა. ინგლისური საქორწილო სადღეგრძელოების შესწავლისას დადგინდა შემდეგი ექზერსიტივები: *warn, advise*, მაგ.:

<sup>5</sup> ჰიტონი და სტრეჩი, 2004:197

*'I warn John that in order to achieve a state of affairs as blissful as possible he should mend his bachelor ways'.*<sup>6</sup>

რაც ინგლისურ საქორწილო სუფრაზე ნეფის მეჯვარეს მიერ იქნა წარმოთქმული.

3. კომისივების დანიშნულება დაავალდებულონ მოლაპარაკე შეასრულოს განსაზღვრული მოქმედება. კომისივების მაგალითებია: promise, vow, intend, plan, engage, contract, bet, consent, agree, propose to. ინგლისური საქორწილო სადღეგრძელოების განხილვისას დადგინდა შემდეგი კომისივები: agree, propose to, promise, intend, მაგ.:

*'I'd like to propose a toast, the first toast, to Michelle and Aaron, Mr and Mrs. Duke'.*<sup>7</sup>

ეს სიტყვები პატარძლის მამის მხრიდან იყო წარმოთქმული ინგლისურ საქორწილო სუფრაზე.

4. ბიჰებიტივები გამოხატავენ ადამიანების რეაქციას სხვა ადამიანების ქცევაზე და ასევე წარმოადგენენ ადამიანის გრძობების, აზრების გამოხატულებას. მოცემულ ჯგუფში შედის ისეთი ზმნები, როგორიცაა thank, praise, console, congratulate, apologize, wish. ინგლისურ საქორწილო სადღეგრძელოებში შემხვდა შემგები ბიჰებიტივები: congratulate, apologize, thank, wish მაგ.:

*'I sincerely wish both of you all the good things in life that you both absolutely deserve'.*

<sup>8</sup>

მოცემული სიტყვები ნეფის მეჯვარემ წარმოთქვა ინგლისურ საქორწილო სუფრაზე.

5. ექსპოზიტივები გამოიყენება მოსაზრების, არგუმენტების, მსჯელობის გამოსახატავად. ამ ჯგუფში შედის ისეთი ზმნები, როგორიცაა affirm, deny, state, remark, answer, tell, ask, know. ინგლისური საქორწილო სადღეგრძელოების შესწავლისას აღმოჩნდა შემდეგი ექსპოზიტივები: remark, answer, tell, ask, know.

მაგ.: *'I know that you are very happy to welcome Taley into our family'.*<sup>9</sup>

<sup>6</sup> ჰიტონი და სტრეჩი, 2004:267

<sup>7</sup> <http://www.youtube.com/watch?v=qWauseEELQ&future=related>

<sup>8</sup> <http://www.youtube.com/watch?v=linhW66L6Ks&feature=related>

<sup>9</sup> [http://www.youtube.com/watch?v=mPi\\_4neJCOM&feature=related](http://www.youtube.com/watch?v=mPi_4neJCOM&feature=related)

ასეთი სიტყვებით ნეფემ მიმართა თავის მშობლებს.

როგორც ცნობილია, ოსტინის ტაქსონომია შემდგომ სერლმა განავითარა. სერლის (სერლი 1976) მტკიცებით, არ არსებობს ნათელი ან თანმიმდევრული პრინციპი (პრინციპების ჯგუფი), რომლის საფუძველზეც აგებულია მოცემული ტაქსონომია. შედეგად, ზმნების დიდი რიცხვი ორ ურთიერთსაწინააღმდეგო ჯგუფშია მოხვედრილი, მაგ.: ოსტინი განიხილავს ზმნას 'describe', როგორც ვერდიქტის და ასევე ექსპოზიციის. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ოსტინი აღიარებდა, რომ მისი ტაქსონომია საბოლოო არ იყო და საჭიროებდა დახვეწას.

სერლს (სერლი 1976) ილოკუციური აქტების შემდეგი ხუთი ჯგუფი აქვს გამოყოფილი:

1. რეპრეზენტაციები, რომლებიც აღწერენ საქმის ვითარებას დასკვნის გამოტანის ან განცხადების მეშვეობით. ამ ჯგუფს შემდეგი ზმნები მიეკუთვნება: boast, complain, conclude, deduce.
2. დირექტივები გამოიყენება იმისათვის, რომ მსმენელმა შეასრულოს მოქმედება. ამ ჯგუფს ისეთი ზმნები მიეკუთვნება, როგორცაა, მაგ.: command, order, beg, request, ask.
3. კომისიები ავალდებულებენ მოლაპარაკეს შეასრულოს გარკვეული მოქმედება და შეიცავენ ისეთ ზმნებს, როგორცაა, მაგ.: promise, vow.
4. ექსპრესიები ისეთი სამეტყველო აქტებია, რომლებიც გამოიყენება მოლაპარაკის ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამოსახატავად, მაგ.: thank, congratulate, apologize, condole, welcome.
5. დეკლარაციების გამოყენება კი ცვლილებებს იწვევს საქმის ვითარებაში, მაგ.: christen a baby, declare peace, fire an employee.

აღსანიშნავია, რომ ჩემს მიერ განხილული საქორწილო სადღეგრძელოების უმეტესობა მოიცავს იმ პერფორმატულ ზმნებს, რომლებიც გაერთიანებულია სერლის ექსპრესიების ჯგუფში.

ითვლება, რომ სერლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წვლილი სამეტყველო აქტების თეორიაში არის მის მიერ ოსტინისეული „იბღლიანობის პირობების“ ცნების განვითარება. სერლი აცხადებს, რომ სამეტყველო აქტების განხორციელება (მაგალითად დაპირების სამეტყველო აქტის განხორციელება)

დამოკიდებულია „ილბლიანობის პირობების“ ოთხ ტიპზე, კერძოდ, პროპოზიციული შინაარსის პირობაზე, მოსამზადებელ პირობაზე, გულწრფელობის პირობაზე და აუცილებელ პირობაზე. მოცემული პირობები და მათი როლი დაპირების სამეტყველო აქტის წარმოებაში განხილულია მოცემული ნაშრომის მეორე თავში ინგლისურ და ქართულ საქორწილო მიპატიჟებებზე მიღებული დადებითი პასუხის შემთხვევებთან დაკავშირებით, რადგან მიმანჩია რომ მიწვევაზე დადებითი პასუხის გაცემა წარმოადგენს პირობას სტუმრის მხრიდან შეასრულოს მომავალი ქმედება, ამ შემთხვევაში საქორწილო წვეულებაზე დასწრება.

საგულისხმოა, რომ სერლი (სერლი 1975: 61) განასხვავებს „პირველად“ (Primary) და „მეორად“ (Secondary) სამეტყველო აქტებს. მიპატიჟებებთან მიმართებაში „პირველადი“ და „მეორადი“ სამეტყველო აქტები შემდეგნაირად ვლინდება:<sup>10</sup>

- *მაიკო, ჩემთან გელოდები კვირას დაბადების დღეზე. აუცილებლად მოდი, იცოდე!*

- *ნინი, კვირას რომ დასავლეთში მივდვარ ნათესავის ქორწილში. მაგრამ საჩუქარი ჩემზეა!*

მოცემულ მაგალითში მეორე მოლაპარაკის გამონათქვამი ორ ილოკუციურ აქტს წარმოადგენს, სადაც „პირველადი“ აქტი არის ადრესატის მხრიდან უარის თქმა მასპინძლის შეთავაზებაზე, „მეორადი“ კი ადრესატის მტკიცება, რომ კვირას უნდა გაემგზავროს დასავლეთში.

სადღეგრძელოების სოციო-პრაგმატიკული ანალიზისას, მიზანშეწონილად მიმანჩია განვიხილო გაისის (გაისი 1995: 12-13) მიდგომა სამეტყველო აქტებთან მიმართებაში. გაისი სამეტყველო აქტებს (რომელთაც ის აგრეთვე „ლინგვისტურ აქტებს“ უწოდებს), „საკომუნიკაციო ქმედებებს“ (Communicative Actions) უპირისპირებს, ამტკიცებს რა, რომ ისინი სოციალურია და, სამეტყველო აქტებისგან განსხვავებით, ბევრი ასეთი აქტი შეიძლება არავერბალურად იყოს გამოხატული. საკომუნიკაციო ქმედებები აგრეთვე შეიცავენ მოლაპარაკებებს შორის ფსიქოლოგიური მდგომარეობის და დამოკიდებულების გამოხატვას არალინგვისტური საშუალებების მეშვეობით, ხოლო კონტექსტი უდიდეს როლს

<sup>10</sup> მაგალითი მოპოვებულია ქართველი ლინგვისტური ინფორმანტისაგან.

თამაშობს საოკომუნიკაციო ქმედების განსაზღვრაში. გაისი უპირისპირდება ოსტინს (ოსტინი 1962: 119), რომელიც აცხადებს, რომ ილოკუციური აქტების განხორციელება (მაგ., განცხადება, არგუმენტირება, განხილვა, მტკიცება) აუცილებლად ვერბალურ აქტებს უნდა წარმოადგენდეს და შეუძლებელია ამგვარი აქტები განხორციელდეს მათი წარმოთქმის გარეშე. გაისს აგრეთვე მოჰყავს მაგალითი, სადაც ჯარისკაცი კაპიტნის შეკითხვაზე, თუ ვის სურს მოხალისედ მიიღოს მონაწილეობა სამხედრო მისიაში წინ გადადმული ნაბიჯით პასუხობს დასმულ შეკითხვას, და ეს მოქმედება, ავტორის მტკიცებით, იგივე აქტს წარმოადგენს, რასაც 'I'll do it' ან 'I volunteer' სიტყვიერად წარმოთქმა. გაისი აცხადებს, რომ, თუ მოქმედება აუცილებლად უნდა იყოს განხორციელებული გარკვეული ვერბალური აქტის მეშვეობით, მაშინ ჯარისკაცის მიერ წინ გადადგმულ ნაბიჯს მოხალისეობის სურვილის გამოხატვის ნიშნად, ილოკუციურ ანუ სამეტყველო აქტს ვერ ვუწოდებთ. ამავე დროს, კაპიტნის პერსპექტივიდან ჯარისკაცი, რომელიც წინ გადადგამს ნაბიჯს რათა გამოხატოს სურვილი მონაწილეობა მიიღოს მისიაში და ჯარისკაცი, რომელიც წარმოთქვამს 'I will' კაპიტნის მოწოდებაზე, ერთსა და იმავე აქტს ახორციელებს. შედეგად, გაისი თვლის, რომ სამეტყველო აქტების თეორეტიკოსებმა სამეტყველო აქტების განხილვისას აუცილებლად უნდა მიიღონ მხედველობაში საოკომუნიკაციო ქმედების ფაქტორი. ვეთანხმები გაისის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ არსებობს ისეთი აქტები, რომლებიც არა მხოლოდ ვერბალურად, არამედ არავერბალურადაც შეიძლება იყოს გამოხატული. მაგალითად, დღეგრძელობისას სუფრის წვერი შეიძლება უბრალოდ წამოიწიოს, გაუღიმოს ადრესატს, ასწიოს ჭიქა და შესვას ღვინო, რაც იმას ნიშნავს რომ მან აღდგურძელა ადრესატი.

უნდა ითქვას, რომ ოსტინის და სერლის კრიტიკა (იხ. გაისი 1995; ტომასი 1995; მეი 2001) ძალზე ხშირად მდგომარეობს იმაში, რომ მათ თავიანთი ნაშრომების საფუძვლად კონტექსტიდან იზოლირებული წინადადებები განიხილეს. მე მხარს ვუჭერ იმ პოზიციას, რომ კონტექსტი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს გამონათქვამების ინტერპრეტაციაში და, შესაბამისად, სამეტყველო აქტების განხილვა არ უნდა იყოს განხორციელებული იზოლირებული გამონათქვამების გამოყენებით, რადგან ერთსა და იმავე

სამეტყველო აქტს სხვადასხვა კონტექსტში განსხვავებული მნიშვნელობა ენიჭება.

ამგვარად, ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ:

1. ოსტინის მიერ შემოთავაზებული პერფორმატივებისათვის დამახასიათებელი პირობები ნამდვილად არ აღმოჩნდა მყარი, რაც იქედან გამომდინარეობს, რომ პერფორმატივი შეიძლება არა მხოლოდ მოქმედებით გვარში, პირველ პირში, მხოლოდობით რიცხვში, არამედ ვნებით გვარში, სხვა პირში და მრავლობით რიცხვშიც იყოს მოცემული, ან სულაც ერთი სიტყვით იყოს გამოხატული. ამის ნათელი დასტურია ის მაგალითები, რომლებიც ინგლისურ და ქართულ საქორწილო სადღეგრძელოებში და ინგლისურ საქორწილო მიპატივებებში იყო მოპოვებული.
2. ინგლისურ და ქართულ საქორწილო მიპატივებებსა და სადღეგრძელოებში ხშირია ისეთი პერფორმატიული ზმნების გამოყენება, როგორცაა thank, wish, congratulate, give, propose, invite, tell.
3. ქართულ საქორწილო მიწვევაზე უარყოფითი პასუხის მაგალითზე განხილულ იქნა სერლის მიერ შემოთავაზებული განსხვავება „პირველად“ და „მეორად“ სამეტყველო აქტებს შორის. მოცემული სახის მაგალითები საკმაოდ ხშირია ქართულ ყოფაში, რადგან ქართველები, უმეტესწილად, თავს არიდებენ მიწვევაზე პირდაპირი უარყოფითი პასუხის გაცემას და ახსნა-განმარტების ტაქტიკას მიმართავენ, რომელიც მომიზეზების, და, ამავდროულად, მობოდიშების ფორმას ატარებს.
4. არსებობს ისეთი აქტები, რომელთა განხორციელება შესაძლებელია არა მხოლოდ გარკვეული სიტყვების წარმოთქმით, არამედ არავერბალურადაც. ამდენად, გაისი სამეტყველო აქტების ნაცვლად გვთავაზობს საკომუნიკაციო ქმედებებს. ამგვარი საკომუნიკაციო ქმედებების ნიმუშად მიმაჩნია სადღეგრძელოს უსიტყვოდ წარმოთქმა, ანუ ისეთი შემთხვევები,



როდესაც სუფრის წვერი ადგილიდან წამოიწევა, გაუღიმებს ადრესატს, ჭიქას ასწევს და შესვამს ღვინოს.

## თაზო II

**ინგლისური და ქართული საქორწილო მიპატიუებების და მათზე მიღებული პასუხების ლინგვისტური და კულტურული თავისებურებების შესახებ.**

### **§1 ინგლისური და ქართული საქორწილო მიპატიუებების ლინგვისტური და კულტურული თავისებურებები.**

ინგლისური და ქართული საქორწილო მიპატიუებები მთლიანი საქორწილო რიტუალის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. მათ ძალიან მნიშვნელოვანი როლი აქვთ, რადგან სტუმრებს ინფორმაციას აწვდიან იმაზე, თუ როგორი სახის ქორწილი გაიმართება. სადისერტაციო ნაშრომის მოცემულ თავში განვიხილავ თანამედროვე ინგლისური და ქართული საქორწილო მიპატიუებების ლინგვისტურ და კულტურულ თავისებურებებს და იმ როლს, რომელსაც მიპატიუებები ასრულებენ სტუმარსა და მასპინძელს შორის ურთიერთობებში.

ქორწილი, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა სახის სოციალური მოვლენა, ეტიკეტის ნორმების დაცვით არის ორგანიზებული და ეს პროცესი იწყება საქორწილო მიპატიუებით, რაც მომავალი ღონისძიების პირველი მაჩვენებელია. ინგლისური საქორწილო ეტიკეტის თანახმად<sup>11</sup>, საქორწილო მიპატიუებები, როგორც წესი, ქორწილამდე რვა კვირით ადრე უნდა გაეგზავნოს ადრესატს და არავითარ შემთხვევაში ექვს კვირაზე ნაკლებ დარჩენილ დროში. დროის ეს პერიოდი აძლევს სტუმარს შესაძლებლობას, დაგეგმოს თავისი დრო და მგზავრობა. უფრო მეტიც, ინგლისური საქორწილო ეტიკეტის მიხედვით, საქორწილო მიპატიუება ფოსტით უნდა გაიგზავნოს და არ უნდა იყოს პირადად მიწოდებული ან ტელეფონით შეტყობინებული. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ჩემი ინგლისელი ლინგვისტური ინფორმანტების ცნობით, შესაძლებელია მასპინძელმა ახლო ნათესავი ან მეგობარი ქორწილში ზეპირი მიპატიუებით

<sup>11</sup> იხ. მაგ. <http://www.weddings.co.uk>; <http://www.classic-weddings.co.uk/weddinginvitations.asp>; <http://www.wedding-invitations-4u.co.uk/Wedding-Invitations-Wording.htm>;

დაპატიჟოს, თუმცა ასეთ ზეპირ მიპატიუებას, როგორც წესი, წერილობითი მიწვევაც მოჰყვება. ამავე დროს, სტუმარმა შესაძლოა მიწვევას ზეპირად უპასუხოს ან ელექტრონული ფოსტით შეატყობინოს თავისი პასუხი მასპინძელს, თუ ამ უკანასკნელს მოსაწვევ ბარათზე ტელეფონის ნომერი ან ელექტრონული ფოსტის მისამართი აქვს მითითებული.

ტრადიციულად, ინგლისურ ქორწილს პატარძლის მშობლები იხდიან, მიპატიუებებს კი პატარძლის დედა აგზავნის. ამჟამად კი, ახალდაქორწინებული წყვილები ხშირად საკუთარი დაფინანსებით აწყობენ ქორწილს, და ეს ფაქტი ნათლად არის აღბეჭდილი გაგზავნილ საქორწილო მიპატიუებაში. დღეს ქართული მიპატიუებების ფორმა უმეტესად ზეპირ ხასიათს ატარებს, ისევე როგორც დეტალები ქორწილის შესახებ, რომლებსაც სტუმრებს პირადად ან ტელეფონით ატყობინებენ.

სანამ დავიწყებდეთ ინგლისური და ქართული საქორწილო მიპატიუებების განხილვას, აუცილებელად მიმაჩნია ყურადღება შევანერო მიპატიუების ორ სახეობაზე. როგორც ცნობილია, მიპატიუება შეიცავს ინფორმაციას მოვლენის დროისა და ადგილის შესახებ, და მოითხოვს მასზე მკაფიო პასუხის გაცემას. ასეთი მიპატიუებები „ნამდვილი“ (genuine) მიპატიუებების სახელითაა ცნობილი (სალმანი-ნოდოუშანი 2006: 905). მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ყველა მიპატიუება ერთნაირი ფორმის არ არის. არის შემთხვევები, როდესაც მიპატიუება წარმოთქმულია, მაგრამ მას არ მოჰყვება შედეგი მსმენელის მკაფიო პასუხის სახით. ასეთ მიპატიუებებს „მოჩვენებით“ (ostensible) მიპატიუებებს უწოდებენ. მათ აქვთ განსხვავებული სტრუქტურა, რომლის მეშვეობითაც მსმენელი ხვდება, რომ წარმოთქმული მიპატიუება არ არის „ნამდვილი“. „მოჩვენებით“ მიპატიუების ნიშნები შემდეგია:

1. მასში დრო ყოველთვის უცნობია, მაგ.: *'Come over to my place sometime'*;
2. ასეთ მიპატიუებას პასუხი არ მოეთხოვება;
3. მასში თითქმის ყოველთვის გამოიყენება ისეთი მოდალური ზმნები, როგორიცაა 'must' ან 'should', მაგ.: *'You must drop in sometime'*.

უნდა ითქვას, რომ ტერმინების „ნამდვილი“ და „მოჩვენებით“ მიპატიუებების ავტორების კლარკისა და აიზეკის (კლარკი და აიზეკი 1990, სალმანი-ნოდოუშანი 2006: 905) აზრით, ადამიანები ხანდახან წარმოთქვამენ

მიპატიუბებს, რომლებიც სერიოზულად არ უნდა იყოს აღქმული მსმენელის მიერ. ისეთი სახის გაცვლა-გამოცვლა, როგორცაა, მაგ.,

-*გამომიარე, როცა გეცლება.*

-*აუცილებლად.*

ნამდვილი მიპატიუბა კი არ არის, არამედ თავაზიანობის და კეთილგანწყობის გამოხატვაა. „მოჩვენებითი“ მიპატიუბა, როგორც ფატიკური კომუნიკაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი „სახის შენარჩუნების“ სტრატეგიად მიიჩნევა. „ნამდვილი“ მიპატიუბა კი გამოიყენება მაშინ, როდესაც მოლაპარაკეს ნამდვილად სურს მსმენელმა მიიღოს მისი მიწვევა დაგეგმილ ღონისძიებაში მონაწილეობაზე, და შესაბამისად ის აუცილებლად ატყობინებს მსმენელს ღონისძიების გამართვის დღეს და ადგილს, და, თავის მხრივ, მოელის სტუმრისაგან ნათელ პასუხს იმაზე, შეძლებს თუ არა ის მოსვლას. აღსანიშნავია, რომ გოქსაძე და დემეტრაძე (გოქსაძე და დემეტრაძე 1996) „მოჩვენებით“ მიპატიუბებს „ფატიკურს“, ხოლო „ნამდვილს“ – „ინფორმაციულს“ უწოდებენ. ამავე დროს, უოლფსონი, დ’ამიკო-რაისნერი და ჰუბერი (უოლფსონი, დ’ამიკო-რაისნერი და ჰუბერი 1983, სიფიანუში 1992: 53) პირველი სახის მიპატიუბებს „ორაზროვან“ (ambiguous), ხოლო მეორე სახის მიპატიუბებს „არაორაზროვან“ (unambiguous) მიპატიუბად მიიჩნევენ. „არაორაზროვანი“ მიპატიუბა, როგორც წესი, არ უქმნის პრობლემას მსმენელს მისი გულწრფელობის თვალსაზრისით „ორაზროვანი“ მიწვევისაგან განხვავებით. ისეთი ორაზროვანი გამონათქვამი, როგორცაა, მაგ.: *‘You should come and see me some day’*, შესაძლოა არამშობლიურ ენაზე მოლაპარაკე ადამიანის მხრიდან „ნამდვილ“ მიწვევად იყოს აღქმული მოლაპარაკის განზრახვის არასწორად შეფასების შედეგად, რამაც შემდგომში მსმენელის განაწყენებაც კი შეიძლება გამოიწვიოს და მოლაპარაკის გულწრფელობაში ეჭვის შეტანის მიზეზი გახდეს.

მიწვევების სახეობების განხილვის შემდგომ, მინდა ხაზი გავუსვა იმ ფაქტს, რომ მოცემულ სადისერტაციო ნაშრომში განხილული იქნება „ნამდვილი“ მიპატიუბები და მათი განსხვავებული ფორმები ინგლისური და ქართული საქორწილო მიპატიუბების მაგალითზე.

აღსანიშნავია, რომ მოცემული საქორწილო მიპატიუბების მაგალითები მოპოვებულია ინგლისელი ლინგვისტური ინფორმანტებისაგან, ინგლისური

საქორწილო ეტიკეტის წიგნებისა და ინგლისური საქორწილო მიპატიუებების ინტერნეტ წყაროებიდან. უნდა ითქვას ისიც, რომ ბევრი ჩემს მიერ გამოკითხული ინგლისელი ლინგვისტური ინფორმანტი მიუთითებს საქორწილო ეტიკეტის ინტერნეტ რესურსების და ასევე საქორწილო ეტიკეტის წიგნების საკმაოდ მნიშვნელოვან როლზე მათ მიერ საქორწილო მიპატიუებების სტილის შერჩევასა და დაწერაში. ინგლისელი ლინგვისტური ინფორმანტების მიერ მოწოდებული საქორწილო მიპატიუებების ნიმუშებიც ამის დასტურია. აღსანიშნავია მადლიერი მომხმარებლების გამოხმაურებებიც, რომლებიც ხშირად განთავსებულია ინგლისური საქორწილო მიპატიუებების ინტერნეტ საიტებზე<sup>12</sup>. ეს ფაქტი აგრეთვე მიუთითებს მოცემული ინტერნეტ წყაროების როლზე საქორწილო მიპატიუებების შერჩევაში. ამგვარად, ჩემს მიერ გამოყენებული ის ინგლისური საქორწილო მიპატიუებები, რომლებიც მოპოვებულია ინგლისური საქორწილო ეტიკეტის ინტერნეტ წყაროებიდან და წიგნებიდან, გამოყენებულია როგორც „სოციალურად მიღებული ნორმების“ ნიმუშები, რომლებიც ეხმარება მასპინძლებს მათთვის სასურველი მიპატიუების შერჩევაში საქორწილო ღონისძიების ხასიათიდან გამომდინარე. გარდა ამისა, ინგლისელი ინფორმანტების ცნობით, საქორწილო მიპატიუების სტილის შერჩევა მშობლების და/ან მეგობრების დახმარებითაც რომ მოხდეს, მიპატიუება მაინც იწერება ეტიკეტის წესების დაცვით, განსაკუთრებით ოფიციალურ საქორწილო ღონისძიებაზე მიწვევისას. იმის გათვალისწინებით, რომ ქორწილი რიტუალიზირებული მოვლენაა, რაც ეტიკეტის ნორმების დაცვას მოითხოვს, გასაკვირი არ არის, რომ ინგლისელი ინფორმანტები ხშირად მიუთითებენ საქორწილო ეტიკეტის წიგნების და ინტერნეტ საიტების მასალის სარგებლობაზე, რაც ეხმარება მათ სოციალურად მიღებული მიპატიუებების დაწერაში, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ინგლისურ საქორწილო ეტიკეტში დიდი ყურადღება ენიჭება მიმართვის და პატივისცემის გამომხატველი ფორმების სწორ გამოყენებას სტუმრისა და მასპინძლის სოციალური და საოჯახო სტატუსის შესაბამისად. რაც შეეხება ქართულ

<sup>12</sup> იხ. მაგ.: <http://www.wedding-invitations.4u.co.uk>; <http://www.piccolopress.co.uk>; <http://www.specialdayinvitations.co.uk>; <http://www.somethingspecial-handmadecards.co.uk>; <http://www.bubblycreations.co.uk>; <http://www.thehandcraftedcardcompany.co.uk/feedback.asp>

საქორწილო მიპატიუებებს, მოცემულ დისერტაციაში განხილული ყველა ქართული მიპატიუება ქართველი ლინგვისტური ინფორმანტების დახმარებით იყო მოპოვებული, რომლებმაც მომაწოდეს ზეპირი და წერილობითი საქორწილო მიპატიუებების ნიმუშები.

როგორც ინგლისური, ასევე ქართული საქორწილო მიპატიუებები შეიძლება ოფიციალური და არაოფიციალური (Formal and Informal), ზეპირი და წერილობითი (Oral and Written) ფორმის იყოს. თითოეული მათგანი ამცნობს სტუმარს ქორწილის თარიღს, დღეს და ადგილს. რაც უფრო ოფიციალურია ქორწილი, მით უფრო მკაცრად არის ეტიკეტის წესები დაცული მიპატიუებაში. ოფიციალური ინგლისური მიწვევა შეიცავს დაბეჭდილ ინფორმაციას მოვლენის შესახებ, მაგრამ სტუმრების სახელები ხშირად ხელით არის ჩაწერილი, რათა თითოეული სტუმრის მიმართ პირადი სითბოს შთაბეჭდილება შეიქმნას. ინგლისური მიწვევის პირველი წინადადება განსხვავდება მასპინძლების სოციალური და საოჯახო სტატუსის მიხედვით, მაგრამ ტრადიციული ფორმა შემდეგია<sup>13</sup>:

*Mr and Mrs John Alters  
request the pleasure  
of your company at the marriage  
of their daughter  
Karyn  
to  
Mr Brian Johnson  
at St Peters's Church  
Shaldon  
on Saturday 16 September 2006  
at 1 pm  
and afterwards at  
The Grand Hotel  
Teignmouth*

*R.S.V.P.  
The Parade  
Exmouth  
EX11RS*

როგორც ვხედავთ, მოცემული საქორწილო მიპატიუების პირველი სტრიქონი მიუთითებს იმაზე, რომ მასპინძლები 'Mr and Mrs John Alters' არიან.

<sup>13</sup> <http://www.weddingstationaryetc.co.uk/wedding18.html>

აგრეთვე აღნიშნული მიპატიჟება დაწერილია მრავლობითი რიცხვის მესამე პირში, რაც ზოგადად ინგლისური საქორწილო მიპატიჟებებისთვის არის დამახასიათებელი. 'Mr' და 'Mrs' წოდება, რომელიც გამოყენებულია მასპინძელთან მიმართებაში, ამცნობს ადრესატს იმის შესახებ, რომ მიპატიჟება ოფიციალური ხასიათისაა ისევე, როგორც ნეფისადმი რეფერენტული ფორმა 'Mr Brian Johnson', რომელიც პატივისცემისა და დისტანციის გამომხატველია. ამავე დროს, გარკვეული პროფესიის ადამიანების (მაგ., მოსამართლეების, ოფიცერების და ა.შ.) მიწვევისას, 'Mr'. და 'Mrs'. ნაცვლად მათი პროფესიული წოდებები გამოიყენება. ამ შემთხვევაში აბრევიატურები მიუღებელია და იწერება წოდებების სრული ფორმა, მაგ., *General, Judge, Colonel* და *Commander*. ინგლისური საქორწილო მიპატიჟებები, ქართულისაგან განსხვავებით, ყოველთვის გამოხატავენ სტუმრებისა და მასპინძლების სოციალურ სტატუსს ისეთი მიმართვის და პატივისცემის გამომხატველი ფორმების გამოყენებით, როგორიცაა *Mr., Mrs., Professor, Doctor, Commander, Sir, Lady* და სხვა, მაგ.,<sup>14</sup>

*Mr & Mrs Simon Radcliff  
request the pleasure of the company of  
.....  
at the marriage of their daughter  
Sally Katherine  
to  
Mr Brian Graham Briggs  
at Birtsmorton Parish Church,  
on Saturday 16<sup>th</sup> August  
at 2.00 o'clock  
and afterwards at Birtsmorton Court*

*R.S.V.P  
Address  
Phone Number  
Email Address*

აბ<sup>15</sup>

<sup>14</sup> მაგალითი მოპოვებულია ინგლისელი ლინგვისტური ინფორმანტისაგან

<sup>15</sup> <http://www.weddingcardprinters.co.uk>

*Doctor and Mrs. M.F.Nicholson  
request the pleasure of the company of  
.....  
on the occasion of the marriage  
of their daughter  
Sophie Marie  
with  
Mr. Thomas George Metcaffé  
At St. Aiden's Church, Waterperry  
on Saturday 10<sup>th</sup> April, at 12.00 noon  
and afterwards in  
The Gardens Suite Willow's Gountry Club Hotel, Oxford*

*The Gables  
Waterperry  
Oxford*

*R.S.V.P*

აღსანიშნავია, რომ საქორწილო მიპატიუებაში მასპინძელმა შეიძლება არ მიუთითოს ქორწილის გამართვის წელი, რასაც ადასტურებს ინგლისური საქორწილო საიტები და ინგლისელი ინფორმანტებისაგან მოპოვებული საქორწილო მიპატიუებების ნიმუშები. მოცემული საქორწილო მიპატიუება საინტერესოა იმითაც, რომ მასში გამოყენებულია ფრაზა ‘... *on the occasion of the marriage of...*’ რაც შესაძლოა ინგლისურ საქორწილო მიპატიუებებში იყოს მოცემული, თუმცა კვლევისას ასეთი ფრაზა საკმაოდ იშვიათად შემხვდა.

საგულისხმოა ისიც, რომ ფრაზის ‘*marriage with*’ ან ‘*marriage to*’ გამოყენება ინგლისურ საქორწილო მიპატიუებაში არ არის განსაზღვრული წესებით განპირობებული და მათი გამოყენება მასპინძლის სურვილზეა დამოკიდებული. მოცემული ფრაზის გამოყენება ზემომოყვანილ მიპატიუებაშია ასახული და ასევე შემდეგ მაგალითებშიც ვლინდება: <sup>16</sup>

<sup>16</sup> [http://www.daisyfoster.com/wedding/wedding\\_invitation\\_wording.htm](http://www.daisyfoster.com/wedding/wedding_invitation_wording.htm)



*Mr and Mrs John Edwards  
request the pleasure of your company  
at the marriage of their daughter  
Laura Jane  
with  
Mr James Andrew Dixon  
at  
St. Andrew's Church, Corton Denham  
on Saturday 30<sup>th</sup> July 2005 at 1 pm  
and afterwards at  
The Orangery, Sherborne Castle*

*RSVP.....*

ა6<sup>17</sup>

*Mr and Mrs Charles Yates  
request the honour of  
.....  
presence at the marriage of their daughter  
Helen Marie  
with  
Mr. Samuel Peters  
at Bradford New Church  
on Saturday 26<sup>th</sup> July 2008  
and afterwards at  
The Great Victoria Hotel, Yorkshire*

*RSVP  
(address)*

თუ პატარძლის მშობლები განქორწინებულები არიან და ერთად მასპინძლობენ ქორწილს, ეს ნათლადაა ასახული მიპატიუების პირველ ნაწილში, რადგან მშობლების გვარები ცალ-ცალკე არის ნახსენები, მაგ.:<sup>18</sup>

<sup>17</sup> მაგალითი მოპოვებულია ინგლისელი ლინგვისტური ინფორმანტისაგან

<sup>18</sup> მაგალითი მოპოვებულია ინგლისელი ლინგვისტური ინფორმანტისაგან

*Mr. Harold Scott and Mrs. Sylvia Scott  
request the pleasure of the company of*

*.....  
at the marriage of their daughter*

*Joan*

*to*

*Mr. Derek Williams*

*at*

*Christ Church, Coventry*

*on Saturday, 7<sup>th</sup> September, 2006*

*at 2.00 p.m.*

*and afterwards at*

*The Aston Court Hotel, Coventry.*

*RSVP  
(address)*

იმ შემთხვევაში, თუ დაქვრივებული მშობელი მარტო მასპინძლობს შვილის ქორწილს, მიპატიუების ფორმა ასეთი შეიძლება იყოს:<sup>19</sup>

*Mrs Jason Foster  
requests the pleasure of*

*.....  
at the marriage of her daughter*

*Helen*

*to*

*Mr Francis Baker*

*at St Michael's Church, Sandhurst, Berkshire*

*on Saturday 11<sup>th</sup> August 1998*

*at 3:00 pm*

*and afterwards at*

*The Hilton Hotel, Bracknell, Berkshire*

*RSVP*

სადაც ფრაზა *'their daughter'* შეიცვლება ფრაზით *'her daughter'*. განსხვავება განქორწინებულ და დაქვრივებულ მასპინძელს შორის ნათლად მჟღავნდება იმით, თუ რომელი საკუთარი სახელია გამოყენებული მიპატიუებაში (*Mrs Sylvia*

<sup>19</sup> <http://www.hitched.co.uk/stationery/examplewording.asp>

Scott და Mrs Jason Foster). მიპატიუება დაქვრივებული მშობლისაგან შეიძლება ასეთიც იყოს, მაგ.:<sup>20</sup>

*The pleasure of your company  
is requested at the marriage of  
Ann  
daughter of Colonel Leslie R White and  
the late Mrs Joan White...*

თუ პატარძლის მშობლები განქორწინებულები არიან, მაგრამ დედა არ დაქორწინდა ხელახლა, შემდეგი სახის მიპატიუება შეიძლება იყოს გამოყენებული, მაგ.:<sup>21</sup>

*Colonel Leslie R White and Joan White  
request the pleasure...*

იმ შემთხვევაში, თუ ქორწილს პატარძლის ხელახლა დაქორწინებული დედა და მამინაცვალი მასპინძლობენ, მიპატიუება ასეთი ფორმის შეიძლება იყოს: <sup>22</sup>

*Mr and Mrs Harry Anderson  
request the pleasure of your company  
at the marriage of her daughter  
Jane  
to  
Mr Alan Robinson  
at St. Bride's Church, Liverpool  
on Thursday 15 June, 2006  
at 1.30 p.m.  
and afterwards at  
The Suites Hotel,  
Ribblers Lane, Knowsley, L34 9HA*

*RSVP (address)*

აქ ძირითადი დატვირთვა მოდის ნაცვალსახელზე 'her', რომელიც იმაზე მიუთითებს, რომ პატარძალი მხოლოდ ქალბატონი პარი ანდერსონის შვილია.

<sup>20</sup> ჰიტონი და სტრეჩი 2004: 59

<sup>21</sup> იქვე

<sup>22</sup> მაგალითი მოპოვებულია ინგლისელი ლინგვისტური ინფორმანტისაგან

ხანდახან ინგლისური საქორწილო მიპატიჟება შეიძლება ვნებით გვარშიც იყოს დაწერილი, მაგ.:<sup>23</sup>

*You are cordially invited to celebrate  
the wedding of Rachel Williams  
and  
Robert Thomas Evans  
at St. Mary's Church, Exeter  
on Saturday, the 20<sup>th</sup> June  
at 1 o'clock  
and afterwards at  
the Imperial Hotel*

თუ ქორწილს ნეფე-დედოფლის ორივე მშობელი მასპინძლობს და აფინანსებს, ოფიციალური მიპატიჟება ასეთი სახით იქნება მოცემული, მაგ.:<sup>24</sup>

*Mr. and Mrs. Neil Morton  
and  
Mr. and Mrs. Jonathan Adams  
request the honour of your presence  
at the marriage of their children  
Stephanie  
and  
Theodore  
at All Saints' Church, Hertford  
on Saturday 17 November 2007  
at 3 p.m. and afterwards  
at Hanbury Manor Hotel, Ware*

*RSVP  
(address)*

ა6<sup>25</sup>

<sup>23</sup> <http://www.englishfolly.co.uk/wedding/wedding-invitation-wording.htm>

<sup>24</sup> მაგალითი მოპოვებულია ინგლისელი ლინგვისტური ინფორმანტისაგან

<sup>25</sup> <http://www.piccolopress.co.uk/uk-wedding-invitations/Desktop-Pages/Image6.html>

*The Reehill and Baron families  
request the pleasure of your company  
to celebrate the marriage of  
Ingrid  
to  
Neil  
at Newick Park County Estate,  
Newick, East Sussex,  
England.....*

ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ინგლისურ საქორწილო მიპატიუებაში მასპინძელმა შეიძლება მიუთითოს დამატებითი ინფორმაცია ინტერნეტ საიტის მისამართის სახით, სადაც სტუმარს შეეძლება გაეცნოს იმას, თუ სად შეიძლება გაჩერდეს ქორწილამდე ან/და ქორწილის დამთავრების შემდეგ, თუ იგი სხვა ქალაქიდან ჩამოდის, ისევე როგორც იმას, თუ როგორ უნდა მივიდეს ქორწილის გამართვის ადგილას. როგორც ჩემი ინგლისელი ლინგვისტური ინფორმანტებისაგან შევიტყვე, ამგვარი ინფორმაციის მოთავსება საქორწილო მიპატიუებაში სულ უფრო და უფრო გავრცელებული ხდება, რადგან ნეფე-დედოფლის ნათესავეები და მეგობრები ხშირად ქვეყნის ან მსოფლიოს ბევრ სხვადასხვა ქალაქში ცხოვრობენ და ქორწილში ჩასვლისას მათ სჭირდებათ გასაჩერებელი ადგილის მოძებნა და ინსტრუქციები იმის შესახებ, თუ როგორ მივიდნენ ქორწინების ცერემონიის გამართვის ადგილას. ინტერნეტ საიტის მისამართის გარდა, ამგვარი ინფორმაცია შეიძლება მოცემული იყოს ცალკე ფურცელზე, რომელსაც მიწვევას დაურთავენ. ასევე ინგლისურ საქორწილო მიპატიუებაში ზემოხსენებული ინფორმაციის გარდა, სტუმარი შესაძლოა გაეცნოს ნეფე-დედოფლის მიერ გამოქვეყნებულ საჩუქრების ნუსხას, რომელიც ამავე ინტერნეტ საიტის მისამართზე იქნება მოცემული ან ასევე ცალკე ფურცლის სახით ინქება დართული მიწვევაზე. ამ საჩუქრების ნუსხიდან სტუმარს შეუძლია აარჩიოს ახალდაქორწინებულთათვის საჭირო ნივთი. ამგვარი ინფორმაციის შემცველი საქორწილო მიპატიუების მაგალითი შემდეგია:<sup>26</sup>

<sup>26</sup> მაგალითი მოპოვებულია ინგლისელი ლინგვისტური ინფორმანტისაგან

*Together,  
Mr and Mrs Ford and  
Mr. and Mrs Lewis  
request the pleasure of your company  
at the marriage of their children  
Nicole Laura Ford  
with  
James David King  
at  
All Saints Church, Botley  
On Friday 29<sup>th</sup> February 2008  
at 1:00 pm*

*And afterwards at the  
Winchester Royal Hotel,  
St Peter Street, Winchester*

*For accommodation details, directions and  
if you wish to purchase a gift,  
please visit: [www.e-weddinglist.co.uk/weddingguests.php](http://www.e-weddinglist.co.uk/weddingguests.php)  
Reference: King290208*

*RSVP  
Mr and Mrs Ford  
(Address)*

საგულისხმოა, რომ მოცემული მიპატიუება იწყება სიტყვით 'together', რითაც მასპინძლებს სურთ უფრო გაუსვან ხაზი მათ მიერ ერთობლივი ქორწილის მოწეობას. მაგრამ ამავედროულად, საყურადღებოა ისიც, რომ სტუმრის პასუხის გაგზავნა (RSVP) უნდა მოხდეს პატარძლის მშობლების მისამართზე, რითაც, ჩემი აზრით, ვლინდება ტრადიციულად მიღებული წესებისადმი პატივისცემა, რადგან ტრადიციის მიხედვით პატარძლის მშობლები იყვნენ პასუხისგებელი ახალდაქორწინებულთათვის ქორწილის გამართვაზე, და შედეგად, ყველა სახის მიმოწერა სტუმრებთან პატარძლის მშობლების მხრიდან (კერძოდ კი პატარძლის დედის მხრიდან) ხდებოდა.

ზოგადად, ინგლისური საქორწილო ეტიკეტის მიხედვით<sup>27</sup> ითვლება, რომ თუ საქორწილო ცერემონია იმართება ეკლესიაში და სტუმრებს მხოლოდ

<sup>27</sup>(იხ. [www.beautifulweddinginvitations.com/etiquette.php](http://www.beautifulweddinginvitations.com/etiquette.php);  
[www.weddingstressrelief.com/invitations](http://www.weddingstressrelief.com/invitations); [www.blurtit.com/q156499.html](http://www.blurtit.com/q156499.html))

ეკლესიაში იწვევენ, მაშინ საქორწილო მიწვევა უნდა შეიცავდეს ფრაზას 'request the honour', მაგ.<sup>28</sup>:

*Mr and Mrs Robert Woods  
request the honour of your presence  
at the marriage of their daughter  
Maria  
to  
Mr Ralph Maningt  
at Whaddon Way Church, Milton Keynes  
on Saturday 15<sup>th</sup> March 2008  
at ten o'clock  
and afterwards at the Moore Place Hotel.*

*RSVP  
(address)*

თუ დაქორწინების ცერემონია იმართება არა ეკლესიაში, არამედ სხვა ადგილას, მაშინ სიტყვა 'honour' იცვლება სიტყვით 'pleasure', მაგ.:<sup>29</sup>

*Mr and Mrs Jason Foster  
request the pleasure of  
.....  
at the marriage of their daughter  
Helen  
to  
Mr Francis Baker  
at Manchester United Football Club,  
Old Trafford, Manchester  
on Saturday 11<sup>th</sup> August 1998  
at 3 pm*

*RSVP.....*

ეკლესიას ასევე აღმოჩნდა, რომ ინგლისურ ყოფაში შესაძლებელია ზოგადად გავრცელებული ერთი მიწვევის ნაცვლად ორი დაიწეროს, სადაც მითითებულია, რომ სტუმარი ან მხოლოდ საქორწილო ცერემონიაზეა

<sup>28</sup> მაგალითი მოპოვებულია ინგლისელი ლინგვისტური ინფორმანტისაგან

<sup>29</sup> <http://www.hitched.co.uk/stationery/examplewording.asp>

დაპატივებული, რაც ზემოსენებულ მაგალითებშია მოცემული, ან მხოლოდ საქორწილო მიღებაზე, მაგ.:<sup>30</sup>

*Mr & Mrs Vincent Johnson  
request the pleasure of the company of  
.....  
to celebrate the marriage of their daughter  
Victoria Leslie  
with  
Mr David Foster  
at  
an evening reception to be held on  
Saturday 20<sup>th</sup> August 2005  
at 7.30 pm  
at The Pine Ridge Hotel, Oxford*

*R.S.V.P by 20th June 2005  
22 College Way  
Oxford 7RD*

ნეფე-დედოფლის მშობლების მიერ მოწყობილ საქორწილო საღამოს მიღებაზე მოსაწვევი შეიძლება ასეთიც იყოს:<sup>31</sup>

*Mr and Mrs Perkins  
and  
Mr and Mrs Lawson  
request the pleasure of the company of  
.....  
at an evening reception to be held at  
Grand Hotel  
Merton Street, Reading  
on Saturday 23February 2008 at 7.30 pm*

*To celebrate the marriage of  
Helen with Joseph Lawson*

*If you wish to purchase a gift,  
please visit their online gift list at  
[www.e-weddinglist.co.uk/weddingguests.php](http://www.e-weddinglist.co.uk/weddingguests.php)*

*Reference: lawson 321726*

*RSVP  
(Address)*

<sup>30</sup> <http://www.daisychaininvitations.co.uk>

<sup>31</sup> მაგალითი მოპოვებულია ინგლისელი ლინგვისტური ინფორმანტისაგან



არსებობს სხვადასხვა მიზეზი იმისა, თუ რატომ იგზავნება ზოგიერთი საქორწილო მიპატიუება ცალ-ცალკე. შესაძლებელია, წყვილს ურჩევნია მოკრძალებული ქორწილის გადახდა, მხოლოდ ოჯახის წევრებისა და ახლობლების წრეში, ან ეკლესიაში შეიძლება მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობის ადამიანი ესწრებოდეს ცერემონიას ადგილის სიმცირის გამო. ნებისმიერ შემთხვევაში მიპატიუებაში გარკვევით უნდა იყოს მითითებული სად, როდის და რომელ საათზეა დაპატიუებული სტუმარი. იმ შემთხვევაში, თუ მასპინძელი სტუმარს კონკრეტულ საქორწილო ღონისძიებაზე (საქორწილო ცერემონიაზე, საღამოს მიღებაზე) პატიუებს, ის ხშირად მიმართავს ახსნა-განმარტებებს მიწვევაშივე, ცდილობს რა დამაჯერებელი მიზეზები მოიყვანოს იმისა, თუ რატომ ვერ შეძლებს სტუმარი მთლიან მოვლენაზე დასწრებას, მაგ.:<sup>32</sup>

*Mr and Mrs Victor Toop  
request the pleasure of the company of  
.....  
at the reception to celebrate the marriage  
of their daughter  
Susan Francis Emily  
to  
Mr Andrew John Stephens  
to be held at  
The Llandaft Hotel  
on the 12<sup>th</sup> of March 2000  
at 2.00 pm*

*Owing to the small size of the Church only immediate family  
can be invited to the ceremony. We hope you will understand.*

*RSVP (address)*

საგულისხმოა, რომ ინგლისური საქორწილო ეტიკეტის მიხედვით,<sup>33</sup> მიპატიუებაში საქორწილო ცერემონიის მისამართი, დრო და თარიღი სიტყვიერად უნდა იყოს დაწერილი, რაც ნათლად აისახება შემდეგ მაგალითში:

34

<sup>32</sup> <http://www.classic-wedding.co.uk/wedding.invitations.asp>

<sup>33</sup> (იხ. Affordable Wedding Invitations

[http://www.affordableweddinginvitations.net/wedding\\_invitations/html](http://www.affordableweddinginvitations.net/wedding_invitations/html))

<sup>34</sup> <http://www.blissfuldesigns.co.uk/articles/wedding-invitation-wording.html>

*Mr and Mrs Paul James Spencer  
request the honour of your presence  
at the marriage of their daughter  
Julia Louise  
to  
Mr James Anthony Taylor  
Saturday, the twenty-eighth of July  
two thousand and one  
at two o'clock  
St Mary's Church  
Lime Walk  
Cublington, Warwickshire  
and afterwards at  
The Welcombe Hotel,  
Stratford upon Avon*

*R.S.V.P  
The Lodge, Pine Hill  
Wotton on the Worrel,  
Cambs CB2 3XE*

მაგრამ, მიუხედავად ეტიკეტის ასეთი მოთხოვნისა, თანამედროვე ინგლისურ საქორწილო მიპატიუებებში ეს წესი ნამდვილად არ არის მკაცრად დაცული და ეს ფაქტი ნათლად დასტურდება ზემომოყვანილ მაგალითებში.

აღსანიშნავია, რომ საქორწილო ეტიკეტის ერთ-ერთი ცნობილი ინგლისური ინტერნეტ საიტის ცნობით, ოფიციალური ინგლისური საქორწილო მიპატიუებები სამ ტიპად შეიძლება დაიყოს, კერძოდ:<sup>35</sup>

ა. „ღია ოფიციალური მიპატიუება“ (*Open Invite Formal*), სადაც მასპინძლები სტუმრების სახელებს ხელით წერენ, მაგ.:<sup>36</sup>

<sup>35</sup> <http://www.find-me-a-gift.co.uk/wedding/folded-manuscript-Quebec-invitation-instructions.asp>

<sup>36</sup> <http://www.howtobooks.co.uk/family/weddings/information/asp>

*Mr and Mrs Joe Bloggs  
request the pleasure of the company of  
.....  
at the marriage of their daughter  
Josephine Maria  
to  
Mr David Smith  
at St Mary's Church,  
Park Street  
on Saturday 1<sup>st</sup> March at 3 pm  
and afterwards at a reception at  
The George Hotel,  
Park Street*

*R.S.V.P  
20 River Street  
Hamilton  
HL11 2NZ  
7900 43 7901*

ბ. „გულთადი ოფიციალური მიპატიებთ“ (*Cordial Invite Formal*), სადაც სტუმრების სახელების ნაცვლად მოცემულია ნაცვალსახელი *'your'* ფრაზაში *'the pleasure of your company'*, მაგ.<sup>37</sup>

*Mr and Mrs Mark Hill  
request the pleasure of your company  
at the marriage of their daughter  
Patricia  
to  
Mr Nigel Ruth  
at St. Simon's Church, Portsmouth  
on Saturday 12<sup>th</sup> August, 2007  
and afterwards at the Holiday Inn Hotel,  
Posmouth, Hampshire*

*RSVP  
(address)*

<sup>37</sup> მაგალითი მოპოვებულია ინგლისელი ლინგვისტური ინფორმანტისაგან

გ. „პერსონალიზირებული ოფიციალური მიპატიჟება“ (*Personalized Invite Formal*). ასეთი სახის მიპატიჟებებში სტუმრების სახელები დაბეჭდილი ფორმითაა მოცემული, მაგ.:<sup>38</sup>

*Mr and Mrs Thomas Boyd  
request the pleasure of the company of  
Mr and Mrs. Kevin Wilkinson  
at the marriage of their daughter  
Eleonor  
to  
Mr. Benjamin Kenworth  
at All Saints Church, Blackheath  
on Saturday 19<sup>th</sup> April 2008  
at 1.30 pm  
followed by a reception at  
The Kincaid House Hotel*

*RSVP  
(address)*

ინგლისური საქორწილო მიპატიჟებების ზემოხსენებული დაყოფა მეტად საინტერესოდ მეჩვენება, თუმცა მიზანშეწონილად მიმაჩნია ყურადღება გავამახვილო ტერმინზე „გულთადი ოფიციალური მიპატიჟება“. როგორც ვხედავთ, ოფიციალურ ინგლისურ საქორწილო მიპატიჟებებში ძალიან ხშირად გამოიყენება ისეთი ფრაზები, როგორცაა ‘...request the pleasure of the company of Mr. and Mrs. ....’ და ‘....request the pleasure of your company...’. პირველ მაგალითში, რომელიც „პერსონალიზირებული ოფიციალური მიპატიჟებისთვისაა“ დამახასიათებელი, ხაზგასმულია დისტანცია მასპინძელსა და სტუმარს შორის მოწვევაში გამოყენებული ირიბი მიმართვის მეშვეობით. ამავედროულად, „გულთადი ოფიციალური მიპატიჟების“ ტიპის საქორწილო მიპატიჟებებში, სტუმრისადმი მიმართვა ხდება ნაცვალსახელით ‘your’, რომლის მეშვეობით ხდება ადრესანტსა და ადრესატს შორის დისტანციის გარკვეულწილად შემცირება.

აღსანიშნავია, რომ ინგლისურ საქორწილო მიპატიჟებებში ისეთი ფორმაც გვხვდება, როგორცაა, ‘invite you’ მაგ.:<sup>39</sup>

<sup>38</sup> მაგალითი მოპოვებულია ინგლისელი ლინგვისტური ინფორმანტისაგან

*Sir Mervyn & Lady Dunnington-Jefferson  
and  
Mr and Mrs Charles Polito  
invite you to a Buffet Lunch  
to celebrate the marriage of  
Anabelle and Tom  
on Sunday 14<sup>th</sup> September 2003  
at the Bowling Green, Brancaster Staithe*

*R.S.V.P.  
7 Bolingbroke Grove  
London SW11 6ES  
020 86753395*

*12.30 p.m.*

ახ 'have great pleasure in inviting', მაგ.<sup>40</sup>

*Mr and Mrs Phillip Johnson  
have great pleasure in inviting  
.....  
to celebrate the marriage of their daughter  
Silvia Rachel  
to  
Anthony James Fenton  
at The Grand Hotel, Swanage, Dorset at 2.30pm  
on Saturday 31st May 2008*

*and afterwards at Corfe Castle Village Hall*

*Please RSVP to (address)*

*Should you wish to purchase a gift,  
or for direction and details of accommodation in the area,  
please visit [www.blatos.com/silanm](http://www.blatos.com/silanm)*

ამგვარი ფორმების გამოყენება განსაკუთრებით დამახასიათებელია ინგლისური არაოფიციალური საქორწილო მიპატიუბებისათვის.

<sup>39</sup> <http://www.piccolopress.co.uk/uk-wedding-invitations/Desktop-Pages/Image21.html>

<sup>40</sup> მაგალითი მოპოვებულია ინგლისელი ლინგვისტური ინფორმანტისაგან.

თუ კი პატარძლის მშობლები გარდაცვლილები არიან ან არ იღებენ მონაწილეობას ქორწილში გარკვეული მიზეზების გამო, მაშინ ნეფის მშობლები მასპინძლობენ ქორწილს და თავისი სახელით აგზავნიან მოსაწვევებს, მაგ.<sup>41</sup>

*Mr and Mrs David Bennett  
request the pleasure of your company  
at the marriage of their son  
Harvey James  
to  
Holly Jane Gilmont  
at St. Mary's Church, Alsager,  
on Saturday 11<sup>th</sup> September  
at 2.30 o'clock  
and afterwards at  
Rockery Hall*

*R.S.V.P.....*

იმ შემთხვევაში, თუ ქორწილს არა პატარძლის მშობელი, არამედ მისი სხვა ნათესავი მასპინძლობს, მოცემული ფაქტი ნათლად იქნება ასახული მიწვევაში, მაგ.<sup>42</sup>

*Mr & Mrs Edward Wilson  
request the pleasure of the company of  
.....  
at the marriage of their niece  
Jane  
to  
Mr David Brown.....*

საერთოდ, თუ პატარძლის მშობლები ქორწილს მასპინძლობენ და მათი სახელები უკვე ნახსენებია მოსაწვევი ბარათის პირველ სტრიქონში, მაშინ არ არის აუცილებელი პატარძლის გვარის დართვა, რადგან მხოლოდ სახელი საკმარისია, მაგ., *Elizabeth Sarah*. იმ შემთხვევაში, თუ პატარძლის გვარი არ არის

<sup>41</sup> <http://www.thehandcraftedcardcompany.co.uk/text-suggestions.asp>

<sup>42</sup> <http://www.wedding.co.uk/info/invitat.htm>

იგივე რაც მისი მშობლების, მაშინ პატარძლის გვარიც უნდა იყოს მითითებული მის სახელთან ერთად, მაგ.:<sup>43</sup>

*Mr. and Mrs. John R. Smith  
request the honour of your presence  
at the marriage of their daughter  
Barbara Ann Smith Jacobson.....*

მოცემულ მიპატიუებაში პატარძალი მოხსენიებულია, როგორც *'Barbara Ann Smith Jacobson'* რაც მიუთითებს იმაზე, რომ ის უკვე იმყოფებოდა ქორწინებაში, რადგან მის ქალიშვილობის გვარს *'Smith'* მოჰყვება მისი ყოფილი მეუღლის გვარი *'Jacobson'*.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, ტრადიციულად ინგლისში ქორწილს პატარძლის მშობლები აწყობენ, და ამ შემთხვევაში სიძის სახელი ჩნდება მიპატიუებაში ისეთი სახით, როგორც მაგ.: *Mr. William Steven Smith*.

რადგან დღეს ხშირად თავად წყვილები მასპინძლობენ ქორწილს, მათ ოფიციალურ მიწვევას შესაძლოა ასეთი სახე ჰქონდეს.<sup>44</sup>

*Miss Karyn Alters  
and  
Mr Brian Johnson  
request the pleasure of your company  
at their marriage  
at the Cathedral Church of St. Peter's  
Exeter  
on Saturday 16<sup>th</sup> September 2006  
at 12 noon  
and afterwards at  
The Clarence Hotel  
Exeter*

*RSVP 20 June  
The Parade  
Exmouth  
EX8 1RS*

<sup>43</sup> <http://www.blissweddings.com/library/invetiq.asp>

<sup>44</sup> <http://www.weddingstationaryetc.co.uk/wedding18.html>

როგორც ვხედავთ, ოფიციალურ ინგლისურ საქორწილო მიპატიუებებში გვხდება ზმნა 'request', მაგ.: 'Mr. and Mrs. David Bennett request the pleasure...', ხოლო არაოფიციალურ საქორწილო მიპატიუებებში ხშირია ისეთი ზმნის გამოყენება როგორცაა 'invite', მაგ.: 'Mr. and Mrs. J S White invite you...'. თუ მოცემულ საქორწილო მიპატიუებებს სამეტყველო აქტების თეორიის მიხედვით განვიხილავთ, დავინახავთ, რომ სერლი (სერლი 1976) ზმნას 'invite' განსაზღვრავს როგორც დირექტივების კლასის ერთ-ერთ მაგალითს, რომლის ილოკუციური დანიშნულებაა შეასრულებინოს მსმენელს გარკვეული მოქმედება. ფრეიზერი (ფრეიზერი 1975) მოცემულ ზმნას „თხოვნის“ (requesting) კატეგორიას მიაკუთვნებს და მიიჩნევს, რომ ამ ზმნის წარმოთქმით მოლაპარაკეს სურს გააცნოს მსმენელს საქმის ვითარება. ბრაუნი და ლევინსონი (ბრაუნი და ლევინსონი 1987) კი განიხილავენ რექვესტივებს, როგორც ნიშანდობლივად „სახის შელახვის აქტებს“ და ამას შემდგენაირად განმარტავენ: რექვესტივები (ისევე როგორც დირექტივები) ვარაუდობენ ან:

- ა. ადრესატის მომავალ ქმედებას, რითაც განსაზღვრულ ზეგავლენას ახდენენ მასზე გარკვეული ქმედების შესასრულებლად ან ამ ქმედებისაგან თავის შესაკავებლად, და ამით ამ ადრესატს თავისუფლებას უზღუდავენ.
- ბ. ან ვარაუდობენ მოლაპარაკის მომავალ ქმედებას და ამით გარკვეულ ზეგავლენას ახდენენ ადრესატზე, რათა მან მიიღოს ან უარყოს ის, რაც იწვევს პასუხისმგებლობას შესრულებული ქმედების მიმართ.

ამავდროულად გაისი (გაისი 1995: 103-104) განიხილავს მიპატიუებებს როგორც პატივისცემის გამოხატვის საშუალებებს რესპონდენტების „დადებითი სახისადმი“. ის, რომ მომავალი სტუმრები მადლობას უხდიან მასპინძლებს მოწვევისათვის, ამტკიცებს, რომ მიპატიუების ინიციატორები არა მხოლოდ რესპონდენტის „უარყოფითი სახის შელახვას“ არ იწვევენ, არამედ მისი „დადებითი სახისადმი“ პატივისცემას გამოხატავენ და, შედეგად, არანაირი „უარყოფითი სახის შელახვის“ აქტი არ ხორციელდება. ეს ფაქტი ადასტურებს „სახის პატივისცემის აქტების“ არსებობას (FRAs- face-respecting acts) (იქვე). ვფიქრობ, მიპატიუება მიზნად ისახავს ადრესატსა და ადრესანტს შორის უფრო



ახლო და თბილი ურთიერთობების დამყარებას და მიწვეულ ადამიანთან ურთიერთობის გაღრმავებას, რაც მათ „დადებითი სახის“ შენარჩუნებაში ეხმარება. ამდენად, მიპატიუბები არ შეიძლება მივიჩნიოთ „სახის შელახვის აქტად“.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელსაც უნდა მიექცეს ყურადღება ოფიციალურ ინგლისურ მიპატიუბებში, არის ბავშვების საკითხი. როგორც ცნობილია, მიწვევის სწორი ფორმა და შინაარსი ძალზე მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ თავიდანვე იყოს აცილებული გაუგებრობა და უსიამოვნო სიტუაცია მასპინძელსა და სტუმარს შორის. ინგლისურ მიპატიუბაში, ქართულისაგან განსხვავებით, არ იწერება ფრაზა ‘with family’, როდესაც ლაპარაკია ოჯახის ყველა წევრის დაპატიუბაზე. ინგლისში, თუ ბავშვებს იწვევენ ქორწილში, მათი სახელები აუცილებლად იქნება ჩამოთვლილი მიწვევაში ასაკის მიხედვით - უფროსიდან უმცროსამდე. მათ კი, რომლებიც 18 წლის ან მეტის არიან, ცალკე მოსაწვევს უგზავნიან, მაშინაც კი, თუ ისინი ჯერ კიდევ მშობლებთან ცხოვრობენ ან შესაძლოა მათი სახელები ცალკე იყვნენ ნახსენები მშობლების მიპატიუბაში, მაგ.:<sup>45</sup>

*Mr and Mrs John Smith  
Ms. Melissa Smith*

თუ მიწვეულებს 18 წელი არ შესრულებიათ, მათი სახელები მოცემულია მათი მშობლების სახელების შემდეგ მოსაწვევის შიდა კონვერტზე, მაგ.:<sup>46</sup>

*Mr and Mrs Smith  
Sue, Bret and Mike*

უნდა ითქვას, რომ ყველა საქორწილო მიპატიუბას ახლავს გარეგანი კონვერტი (outer envelope), სადაც მითითებულია ადრესატის მისამართი, ხოლო თვით საქორწილო მიპატიუბა მოთავსებულია მეორე კონვერტში, რომელსაც შიდა კონვერტი ეწოდება (inner envelope) და რომელიც თავის მხრივ გარეგან კონვერტშია ჩადებული. თუ ადრესატის მიწვევაში ან შიდა კონვერტზე ბავშვის ან ბავშვების სახელები არაა მოხსენიებული, სტუმარმა უნდა დაასკვნას, რომ შეიძლება დღესასწაულზე არ ეპატიუბიან. მიუხედავად ამისა, ყოველგვარი

<sup>45</sup> <http://www.weddingdetails.com/planning/invitations.cfm>

<sup>46</sup> იქვე

მოულოდნელი უხერხულობის თავიდან ასაცილებლად, ინგლისელმა მასპინძელმა შეიძლება მაინც საჭიროდ ჩათვალოს სტუმრის მიწვევაში გაამახვილოს ყურადღება ბავშვების საკითხზე. ამ შემთხვევაში, მიზანშეწონილი არ არის ფრაზის *'No children, please'* გამოყენება, რადგან შესაძლებელია ბევრმა სტუმარმა ის უარყოფითად შეაფასოს. უმჯობესია მასპინძელმა შემდგენიარად მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია ადრესატს:

*'We regret that we are unable to provide facilities for children'* <sup>47</sup>,

ან

*'Much as we would like to invite all the children of our friends, it is only possible to accommodate the children of close family'* <sup>48</sup>.

ამგვარად, მასპინძელი არა უხეშად მიუთითებს სტუმარს იმაზე, რომ მათ შვილს (შველებს) არ მოელოან საქორწილო ღონისძიებაზე, არამედ წუხილს გამოთქვამენ იმის გამო, რომ ვერ უწევენ მასპინძლობას მოცემული ოჯახის ყველა წევრს, რითაც მასპინძელი მიმართავს „სახის შენარჩუნების“ სტრატეგიას სტუმრის წინაშე.

იმ შემთხვევაში, თუ ინგლისურ ქორწილში მარტოხელა ადამიანია დაპატიუებული, მას ზოგჯერ სთხოვენ სტუმართან ერთად მობრძანდეს წვეულებაზე, და ეს აგრეთვე მოსაწვევის შიდა კონვერტშია ჩაწერილი, მაგ.<sup>49</sup>

*Mr Jurgen and Guest*

ყველა ინგლისური ოფიციალური მიწვევა შეიცავს *R.S.V.P. (répondez s'il vous plaît)* აბრევიატურას, რომელიც ითხოვს პასუხს სტუმრისაგან, როგორც დადებითი, ისევე უარყოფითი პასუხის შემთხვევაში. ინგლისური ეტიკეტის წესების თანახმად, სტუმარმა მიწვევაზე პასუხი მაქსიმალურად ადრე უნდა შეატყობინოს მასპინძელს, სასურველია მიპატიუების მიღებიდან სამი დღის განმავლობაში. პასუხის გაცემა აუცილებელია, რათა მასპინძელმა იცოდეს წინასწარ, თუ რამდენ სტუმარს უნდა ელოდოს, განსაკუთრებით საქორწილო წვეულებაზე. როგორც უკვე აღინიშნა, ზოგი თანამედროვე საქორწილო მიპატიუება შეიცავს ტელეფონის ნომერს ან ელექტრონული ფოსტის მისამართს ღონისძიების გამართვის მისამართის ქვეშ, რაც ემსახურება მიწვევაზე პასუხის

<sup>47</sup> მაგალითი მოპოვებულია ინგლისელი ლინგვისტური ინფორმანტისაგან

<sup>48</sup> <http://www.weddings.co.uk>

<sup>49</sup> <http://www.weddingdetails.com/planning/invitations.cfm>

მიღების დაჩქარებას. გარდა ამისა, R.S.V.P აბრევიატურის შემდგომ არის მოცემული თარიღი (მაგ.: *R.S.V.P. 20 June*), რომლისთვისაც სტუმარმა უნდა მიაწოდოს თავისი პასუხი მასპინძელს. მაგრამ, ინგლისში ეს აბრევიატურა ყოველთვის არ არის გამოსადეგი მასპინძლისათვის. მოსლის თანახმად (მოსლი 1994: 85), „სამწუხაროდ, მასზე იშვიათად პასუხობენ, უმეტესად იმის გამო, რომ ის იმდენად ხშირად არის დართული, რომ ბევრმა უსაქმურმა მიმღებმა ჩათვალა, რომ ის ისეთივე უაზროა, როგორც წყლის წვეთი საწერ ქაღალდზე (უფრო მეტიც, ძველი ხუმრობის მიხედვით ის განიხილება როგორც ‘*Remember Send Wedding Presents*’)“. მოსლი ამტკიცებს, რომ ზოგი მასპინძელი კმაყოფილდება მხოლოდ იმ პასუხით, რომელიც წვეულების დასწრების შეუძლებლობას აცობინებს, და მიპატიუებას დაურთავენ ‘*regrets only*’, რაც სტუმრისაგან პასუხის გაგზავნას ითხოვს მხოლოდ უარყოფითი პასუხის შემთხვევაში. უფრო მეტიც, ავტორი ურჩევს მასპინძლებს დაურთონ მიწვევას წინასწარ გადახდილი და მათი მისამართით აღჭურვილი კონვერტი სპეციალური ბარათით, სადაც შემდეგი სიტყვები იქნება დაბეჭდილი, მაგ.:<sup>50</sup>

*(Name of the invitee)*

*will/will not be able to attend the marriage of  
Elizabeth Jane and James Mark Woods*

ინგლისურისაგან განსხვავებით, ქართული საქორწილო მიპატიუებები არ შეიცავენ ასეთ აბრევიატურას ან რაიმე მსგავს ფრაზას. ბევრი ქართული ოფიციალური მიპატიუება პირადად ან ტელეფონით ითქმის, მაგრამ ქორწილში ზეპირ მიპატიუებას შესაძლოა ასევე წერილობითი მიწვევაც მოჰყვეს. ქართული ოფიციალური ზეპირი მიწვევა, მაგალითად, ასეთია:<sup>51</sup>

*ბატონო გიორგი, გეპატიუებით თქვენ და ქალბატონ თამარს ჩვენი მარიამის ქორწილში 16 ივნისს 4 საათზე რესტორან „ბერიკონში“.*

*ძალიან გავგიხარდება, თუ მობრძანდებით.*

<sup>50</sup> [http://www.libra-designs.co.uk/weddingstationery/wedding\\_invitations/wedding\\_invitation\\_wording.html](http://www.libra-designs.co.uk/weddingstationery/wedding_invitations/wedding_invitation_wording.html)

<sup>51</sup> ქვემოთმოყვანილი ყველა ქართული მიპატიუება მოპოვებულია ლინგვისტური ინფორმანტებისაგან.

*ბატონო თამაზ,*

*კვირას ჩვენი ნიკას ქორწილია. გთხოვთ გვეწვიოთ რესტორან „იმერეთში“ 5 საათზე. ძალიან მოხარული ვიქნებით, თუ მობრძანდებით.*

ქართული ოფიციალური წერილობითი მიპატიჟება კი ზოგადად შემდეგი სახისაა:

*ბატონ ირაკლი თავართქილაძეს*

*გთხოვთ, მობრძანდეთ ჩვენი შეიღების  
ნათიას და ზურაბის ქორწილში,  
რომელიც შედგება ა/წ 14 სექტემბერს, 16 საათზე  
რესტორან „თეთრ სახლში“.*

*პატივისცემით,  
ნუნუ და გივი ჯანაშიები*

საგულისხმოა, რომ, თუ მიპატიჟების ადრესატს აკადემიური თანამდებობა აქვს, ეს ფაქტი არ არის აღნიშნული ქართულ საქორწილო მიწვევაში, რადგან არა მხოლოდ მიპატიჟებებში, არამედ ზოგადად ოფიციალური მიმართვისას, თანამედროვე ქართულში ძირითადად გამოიყენება მხოლოდ „ბატონო“ და „ქალბატონო“ პატივისცემის გამომხატველი ფორმები და არა ამ ადამიანის პროფესიული წოდება, რაც ძალზე განსხვავდება ინგლისური მიმართვის ფორმებისაგან. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართულ საქორწილო მიპატიჟებებში შესაძლოა იყოს მოყვანილი სტუმრის ან სახელი და გვარი (მაგ., ბატონ გიორგი კახიძეს, ქალბატონ ლალი ნოზაძეს) ან მხოლოდ სახელი, მაგ.:

<sup>52</sup> იქვე

ბატონო ვახტანგ,

გთხოვთ გვეწვიოთ ჩვენი შვილების  
თინათინისა და პეტრეს ქორწილში,  
რომელიც შედგება 2004 წლის 4 ოქტომბერს 17.00 საათზე  
რესტორან „არავეში“.

პატივისცემით, ნათია და ვაჟა ფერაძეები

აგრეთვე ქართული საქორწილო მიპატიუებები, ინგლისური საქორწილო მიპატიუებების საპირისპიროდ, არ განსხვავდება მასპინძლებისა და სტუმრების სოციალური სტატუსის და ოჯახური მდგომარეობის მიხედვით. ამავე დროს, ჩემს მიერ განხილული ქართული მიპატიუებების უმეტესობაში სიძე-პატარძალი მასპინძლების მიერ „შვილებად“ მოიხსენება, რაც „დადებითი თავაზიანობის“ აშკარა მაგალითია. უნდა ითქვას, რომ ინგლისელი ინფორმანტებისათვის ასეთი სახის მიმართვა ნეფე-დედოფლისადმი უცნაური და გაუგებარი იყო, ისევე როგორც ქართველი ინფორმანტებისათვის ინგლისური მიწვევა, რომელიც მრავლობითი რიცხვის მესამე პირში არის დაწერილი და დისტანციის და დიდი ოფიციალურობის შეგრძნებას ტოვებს. ამავედროულად, ზოგიერთმა ინგლისელმა ინფორმანტმა გამოხატა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ინგლისური მიპატიუებების წერის წესებისადმი, განსაკუთრებით მისი პირველი სტრიქონისადმი, ამტკიცებდა რა, რომ ასეთი მიმართვა საკმაოდ უცნაურად უდერს განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც სტუმარი და მასპინძელი კარგი მეგობრები არიან. ამავედროულად, მოცემულ თავში განხილული ინგლისური საქორწილო მიპატიუების მაგალითი, სადაც სიძე-პატარძალი მოხსენიებულია როგორც *'their children'* (იხ. მაგალითი 24) რადიკალურად განხვავებულია ქართულ საქორწილო მიწვევაში მოცემული ფრაზისგან „ჩვენი შვილები“. ქართულ მიწვევაში მოცემული ფრაზა შემომატებული ოჯახის წევრისადმი სიბოლს გამოხატვას უსვამს ხაზს, ინგლისურ საქორწილო მიწვევაში კი ხაზგასმულია რომ ქორწილს სიძისა და პატარძლის მშობლები ერთად მასპინძლობენ. ქართული ოფიციალური საქორწილო მიპატიუებები, ინგლისური საქორწილო მიპატიუებებისაგან განსხვავებით, იწერება მრავლობითი რიცხვის პირველ პირში ((ჩვენ) გთხოვთ მობრძანდეთ/გვეწვიოთ ჩვენი შვილების

ქორწილში), რაც ამცირებს სოციალურ დისტანციას სტუმარსა და მასპინძელს შორის, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ შემხვდა ასეთი სახის მიპატიუბაც:

*ბატონ თემურს და ქალბატონ ეთერს*  
*7 მაისს 5 საათზე*  
*ანა და ვახო*  
*გეპატიუებიან საქორწილო დღესასწაულზე.*  
*გთხოვთ გვეწვიოთ*  
*რესტორან „ნადევებში“.*

როგორც ვხედავთ, მოცემული მოსაწვევი საინტერესოა იმით, რომ მასში შერწყმულია, როგორც მრავლობითი რიცხვის მესამე პირი (*ანა და ვახო გეპატიუებიან საქორწილო დღესასწაულზე*), რაც დამახასიათებელია ინგლისური საქორწილო მიწვევებისათვის და დისტანციაზე მიუთითებს ადრესანტსა და ადრესატს შორის, და ასევე მიწვევაში მოცემულია მრავლობითი რიცხვის პირველი პირი (*გთხოვთ გვეწვიოთ რესტორან „ნადევებში“*), რომელიც ქართული საქორწილო მიწვევებისათვისაა დამახასიათებელი. ასე რომ, ეს მიწვევა ერთგვარად გამორჩეულია.

როგორც უკვე აღინიშნა, ქართულ საქორწილო მიპატიუებაში სტუმრების სახელების გარდა, შესაძლოა მათი გვარებიც იყოს მოცემული, მაგ.:

*ბატონ კობა ბერიკაშვილს*  
*და ქალბატონ ნანა მაისურაძეს*  
*გთხოვთ მობრძანდეთ*  
*ლიკას და ვიორჯის*  
*ქორწილში, 2005 წლის 18 იანვარს 16.00 საათზე*  
*რესტორან „იმერეთში“*  
  
*მაგიდა № 7*  
  
*პატივისცემით,*  
*მეგი ლებანიძე და ანზორ მოდებაძე*

როგორც მოცემული მიწვევიდან ჩანს, ნეფე-დედოფალი არ არის ნახსენები, როგორც „ჩვენი შვილები“, არამედ აღნიშნულია მხოლოდ მათი სახელები, რაც

ქართული მიპატიუების მეორეს, თუმცა ნაკლებად გავრცელებულ, წერილობით ვარიანტს წარმოადგენს. ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოში, ინგლისისაგან განსხვავებით, გათხოვილ ქალბატონს შეუძლია თავისი ქალიშვილობის გვარის შენარჩუნება, რაც მოცემულია ზემოხსენებულ მიპატიუებაში სტუმართან მიმართებაში (ბატონ კობა ბერიკაშვილს და ქალბატონ ნანა მაისურაძეს).

იმ შემთხვევაში, თუ მიწვეული ქალბატონი მეუღლის გვარს ატარებს, საქორწილო მიპატიუება შეიძლება ასეთი იყოს:

*პატივცემულ თამაზ და ლამარა ცინცაძეებს,  
გთხოვთ გვეწვიოთ ჩვენი შვილების  
ლანა და თენგიზის  
ქორწილის აღსანიშნავ საღამოზე  
16 ივნისს 16.00 საათზე რესტორან „აფხაზეთში“.*

*პატივისცემით,  
ლიანა კალატოზიშვილი და ბაკურ გვენეტაძე*

ამავე დროს აღმოჩნდა, რომ სტუმართან მიმართებაში „ბატონო“ ან „ქალბატონო“ მიმართვის ფორმების გარდა, მასპინძელმა შეიძლება სტუმრების სახელსა და გვარს სიტყვა „პატივცემულო“ დაურთოს, რაც ზემომოყვანილ მაგალითში ვლინდება.

გარდა ამისა, ქართულ ოფიციალურ საქორწილო მიპატიუებაში სიძე-პატარძლის სახელების მოფერებითი ან შემოკლებითი ფორმებიც შეიძლება იყოს გამოყენებული, მაგ:

*ბატონ ავთანდილ ვეფხვაძეს  
და ქალბატონ ნატო ბერიშვილს,  
გთხოვთ გვეწვიოთ ჩვენი შვილების  
ტატას და ივიკოს  
ქორწილში  
8 სექტემბერს 17.00 საათზე  
რესტორან „სარაჯიშვილში“.*

*პატივისცემით,  
მეფარიძეებისა და გვაზავების ოჯახები*

სახელების შემოკლებითი ან მოფერებითი ფორმების გამოყენება არ არის ძალიან იშვიათი მოვლენა ქართული წერილობითი საქორწილო მიპატიუებებისათვის და ძალიან გავრცელებულია ქართულ არაოფიციალურ მიპატიუებებში. ამით ისინი რადიკალურად განსხვავდებიან ინგლისური ოფიციალური თუ არაოფიციალური საქორწილო მიპატიუებებისაგან. მოცემული ქართული საქორწილო მიპატიუებით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ქართული ოფიციალური საქორწილო მიპატიუებები ძირითადად „დადებითი თავაზიანობის“ გარკვეულ ნიშნებს ატარებენ, რაც ძალიან განასხვავებს მათ ინგლისური ოფიციალური საქორწილო მიპატიუებებისაგან, რომლებიც „უარყოფითი თავაზიანობის“ სტრატეგიებზეა აგებული.

საქართველოში ცოლ-ქმრის დაპატიუების ერთ-ერთი გავრცელებული ფორმა ასეთია: „ბატონ დავით კეკელიძეს (მეუღლითურთ)“. ამგვარი ფორმა ხშირად გამოიყენება ქართულ მოსაწვევებში საქორწილო სუფრაზე ორივე მეუღლის დაპატიუების შემთხვევაში, ისევე როგორც მათი სახელებისა და გვარების დაწერა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ინგლისელი ინფორმანტების ცნობით, ინგლისში შეუძლებელია ქორწილში მხოლოდ ერთი მეუღლის დაპატიუება, მაშინ როდესაც ეს დასაშვებია საქართველოში, მაგ.:

*ქალბატონ მაია გივინეიშვილს,  
გთხოვთ მობრძანდეთ ჩვენს ქორწილში,  
რომელიც გაიმართება 2002 წლის 28 აპრილს 16 საათზე  
რესტორან „იმერეთში“.*

*პატივისცემით, დათო და სოფიკო*

როგორც მოცემული მიპატიუებიდან ჩანს, მასპინძლები მხოლოდ ერთ ადამიანს, ანუ ცოლს იწვევენ ქორწილში, რაც ხშირია თანამშრომლების დაპატიუების შემთხვევაში. მაგრამ ის ფაქტი, რომ ეს ადამიანი დაქორწინებულია, და საქმე გვაქვს მხოლოდ ერთი მეუღლის მიწვევასთან დგინდება მხოლოდ ჩემი ნაცნობობით ამ ადამიანთან. ამ მიპატიუებაში ისიც ჩანს, რომ ქორწილს თვით სიძე-პატარძალი მასპინძლობენ.



თუ წვეულებაზე მთელი ოჯახია დაპატიჟებული, ეს ფაქტი სიტყვით „ოჯახით“ იქნება ნახევენები, მაგ.:

*პატივცემულ ვანო დგებუაძეს,*  
*გთხოვთ მობრძანდეთ ოჯახით*  
*გვანცა და ლადოს ქორწილში*  
*რომელიც შედგება რესტორან „არაგვი“*  
*17 ნოემბერს 17 საათზე*  
  
*თქვენი მაგიდის N 2*  
  
*პატივისცემით,*  
*ირინა დეკანოსიძე და ემზარ ჩიქობავა*

აგრეთვე საოჯახო მიწვევა შეიძლება ასეთი სახის იყოს:

*პატივცემული ჯემალ ნებიერიძის ოჯახს,*  
*გთხოვთ მობრძანდეთ*  
*ქრისტინას და ზაზას ქორწილში,*  
*რომელიც შედგება რესტორან „ბერიკონში“, ერეკლეს მოედანი 2*  
*7 სექტემბერს საღამოს 7 საათზე.*  
  
*პატივისცემით,*  
*ინგა ლომთაძე და კოტე ქართველიშვილი*

თუ ქორწილში სტუმარს არც წყვილი და არც მათი მშობლები არ ეპატიჟებიან, ეს ფაქტი გარკვევითაა გამოხატული მიწვევაში, მაგ.:

*ბატონო ოთარ,*  
*გთხოვთ გვეწვიოთ ჩვენი შვილიშვილების*  
*ქეთევანისა და ალექსანდრეს*  
*ქორწილში*  
*ა.წ. 23 ივნისს 17 სთ-ზე*  
*რესტორან „თეთრ სახლში“.*  
  
*პატივისცემით,*  
*ინგა და თამაზ ჩაჩუები*

ქართული საქორწილო მოსაწვევების ოფიციალური სტილი ნაჩვენებია ისეთი სიტყვების გამოყენებაში, როგორცაა „გთხოვთ მობრძანდეთ“, „გთხოვთ გვეწვიოთ“, თუმცა მიპატიუების ოფიციალურ სტილს შეიძლება უფრო მეტად გაესვას საზი:

*ბატონ არჩილ გოცირიძეს,*

*გთხოვთ დაგვდოთ პატივი და გვეწვიოთ ჩვენი შვილების  
თამუნა და ვოვას ქორწილში  
2003 წლის 22 სექტემბერს 15 საათზე  
რესტორან „თბილისში“:  
თქვენი მავიდის № 9*

*პატივისცემით,  
სადარაძეებისა და ზარქუების ოჯახები*

აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისურ ოფიციალურ და არაოფიციალურ მიპატიუებებში, ქართული მიპატიუებებისაგან განსხვავებით, ჯერ მასპინძლის სახელება მოცემული, შემდგომ კი სტუმრის. ამავდროულად, ქართულ საქორწილო მიწვევებში, მასპინძლები საქორწილო სუფრას ძირითადად „ქორწილის“ სახით მოიხსენიებენ, თუმცა კვლევისას ისეთი მაგალითებიც შემხვდა, მაგ.:

*ბატონო ტარიელ,*

*გთხოვთ გვეწვიოთ საზეიმო ვახშამზე  
ირმა ვარდოსანიძისა და კობა ავალიანის  
ქორწინებასთან დაკავშირებით  
2003 წლის 20 ივნისს 17 საათზე.*

*მისამართი: ქ.თბილისი. სანაპიროს 1.  
რესტორანი „არაგვი“*

*პატივისცემით,  
ელენონრა და ავთანდილ ფალავანდიშვილები*

*ბატონ შოთა აბაშიძეს,  
გთხოვთ გვეწვიოთ ზეიმზე ჩვენი შვილების  
მირანდა და ბესიკის დაქორწინებასთან დაკავშირებით.....*

ქართულ მიპატიუებაში საქორწილო სუფრა შეიძლება ასეთი სახითაც იყოს ნახსენები:

*ბატონ ლევან ქარდავას და ქალბატონ ელენე მიქაძეს,  
გთხოვთ გვეწვიოთ ჩვენი შვილების  
თამილა და ზაურის ქორწინების აღსანიშნავ საღამოზე....*

ინგლისური არაოფიციალური საქორწილო მიპატიუებების განხილვისას, აღმოჩნდა, რომ ისინი განსხვავდებიან ოფიციალური მიწვევებისაგან იმით, რომ მათში არ გამოიყენება წოდებები: <sup>53</sup>

*Rupert and Mary Wilkinson  
invite you to the marriage of their daughter  
Camilla  
to  
Richard Walters  
at Southwark Cathedral, London JE1  
on Saturday 2<sup>nd</sup> August 2003  
and afterwards at Chelsea Physic Garden, London JW3*

*RSVP  
44 Guldford Road  
London  
LW8 2BU*

აგრეთვე უნდა ითქვას, რომ ისევე როგორც ოფიციალური ინგლისური საქორწილო მიპატიუებები, არაოფიციალური მიპატიუებებიც სამ ტიპად შეიძლება იყოს დაყოფილი: <sup>54</sup>

<sup>53</sup> <http://www.piccolopress.co.uk/uk-wedding-invitations/Desktop-Pages/Image5.html>

<sup>54</sup> <http://www.find-me-a-gift.co.uk/wedding/folded-manuscript-Quebec-invitation-instructions.asp>

- ა. „ღია არაოფიციალური მიპატიუება“ (*Open Invite Informal*);
- ბ. „გულთადი არაოფიციალური მიპატიუება“ (*Cordial Invite Informal*);
- გ. „პერსონალიზირებული არაოფიციალური მიპატიუება“ (*Personalized Invite Informal*).

ზემოხსენებული მიპატიუება არის „გულთადი არაოფიციალური მიპატიუების“ მაგალითი, რადგან ის შეიცავს ‘invite you’ და არა მაგ.: ‘invite John and Mary’. ხოლო „ღია არაოფიციალურ მიპატიუებაში“ სტუმრების სახელები ხელით არის ჩაწერილი, მაგ.:<sup>55</sup>

*Barry and Ann Russell  
are delighted to invite*  
.....  
*to celebrate the marriage of their daughter  
Sarah  
to  
Martin  
at St. Peter's Church, Hook  
on Saturday 7<sup>th</sup> July 2007  
at 1.30 pm  
and afterwards at Tylney Hall, Hook.*

*RSVP by 1<sup>st</sup> June 2007  
6 Gainborough Rd. Hook  
GU52 3 YX*

ამავე დროს, „ღია არაოფიციალური მიპატიუება“ შესაძლოა ნეგე-დედოფლის და მათი მშობლების სახელით იყოს გაგზავნილი, მაგ.:

<sup>55</sup> [http://www.flutterby-design.co.uk/page\\_1185112277962.html](http://www.flutterby-design.co.uk/page_1185112277962.html)

*Dorothy Cohen  
and  
Keith Baker*

*Together with their parents would like to invite*  
.....  
*to share in the joy of their marriage*  
*at*  
*Orchardleigh House*  
*Orchardleigh Park*  
*Frome, Somerset*  
*BA11 2PH*  
*on*  
*Friday 16 March 2007*  
*at 3.00pm*

*They would be delighted*  
*if you would join them at the reception thereafter*

*R.S.V.P*

„პერსონალიზირებულ არაოფიციალურ მიპატიებებაში“ კი სტუმრის სახელი დაბეჭდილი სახითაა მოცემული, მაგ.:<sup>56</sup>

*Paul and Jane Spenser  
would like Peter and Shirley  
to join them at the marriage of their daughter  
Julia Louise.....*

ინგლისურ არაოფიციალურ საქორწილო მიპატიებებებში შესაძლებელია არ იყოს მოცემული RSVP აბრევიატურა.

სანდახან ინგლისში იმართება „მოკრძალებული“ ქორწილი (‘Quiet’ Wedding)<sup>57</sup>, რომელიც გამოწვეულია მასპინძლის ოჯახში ახლო ნათესავის გარდაცვალებით, ან მასპინძლის სურვილით ჩაატაროს ქორწილი ვიწრო წრეში. ასეთ შემთხვევებში, ქორწილში მხოლოდ უახლოეს ნათესავებსა და მეგობრებს იწვევენ. ამ დონისძიებაზე დასასწრებად იგზავნება არაოფიციალური

<sup>56</sup> <http://www.blissfuldesigns.co.uk/articles/wedding-invitation-wording.html>

<sup>57</sup> <http://www.2020site.org/wedding/informal/html>

საქორწილო მიპატიუებები, რომლებიც მრავლობითი რიცხვის პირველ პირშია დაწერილი, რაც სიახლოვის მაჩვენებელია ადრესანტსა და ადრესატს შორის: <sup>58</sup>

*Dear Janet:*

*Two weeks from Monday, on the ninth of September, Mr. Brill and I are to be married. We are asking only a few of our most intimate friends to be present, and would be very glad to have you among them.*

*The ceremony will take place at four o'clock.*

*With kindest regards,*

*Sincerely yours,  
Harriet B. Howe*

როგორც მაგალითიდან ნათლად ჩანს, მიპატიუებაში ხაზგასმულია რომ ქორწილი ვიწრო წრეში იმართება.

ამავე დროს, როგორც უკვე იყო აღნიშნული, ინგლისურ ეოფაში მასპინძელმა შესაძლოა ზეპირად დაპატიუოს სტუმარი, რომელიც მისი ახლო ნათესავი ან მეგობარია. მაგრამ ასეთი სახის მიპატიუებას (რომელსაც ჩემმა ერთ-ერთმა ინგლისელმა ლინგვისტურმა ინფორმანტმა 'word of mouth' invitation უწოდა) შემდგომში, როგორც წესი, წერილობითი მიწვევაც მოჰყვება. ზეპირი საქორწილო მიპატიუება შეიძლება ასეთი იყოს:<sup>59</sup>

*Linda, I have a day for your diary-please make sure you are free on 12<sup>th</sup> of July for my wedding!*

ან<sup>60</sup>

*Doris, I would love you to come to my wedding. We haven't sent the invitations yet, but we would love you to save the date.*

<sup>58</sup> იქვე

<sup>59</sup> მაგალითი მოპოვებულია ინგლისელი ლინგვისტური ინფორმანტისაგან

<sup>60</sup> მაგალითი მოპოვებულია ინგლისელი ლინგვისტური ინფორმანტისაგან

ქართული არაოფიციალური მიპატიუებები ზეპირ ხასიათს ატარებს და ასეთი სახის შეიძლება იყოს:

*ნინო, გელოდები ჩემს ქორწილში 22 სექტემბერს 5 საათზე რესტორან „აჭარაში“. აუცილებლად მოდი.*

ზოგჯერ ქორწილის გაუქმება ხდება. ამ შემთხვევაში, სტუმრებს (მიუხედავად იმისა, უპასუხეს მათ მიპატიუებას თუ არა) ატყობინებენ ამის შესახებ უახლოეს დროში, რათა თავიდან აიცილონ გაუგებრობა და უსიამოვნება.

ინგლისში ქორწილის გაუქმების მიზეზები შემდეგი შეიძლება იყოს:<sup>61</sup>

1. ოჯახის წევრის უეცარი გარდაცვალება (Family Bereavement), მაგ.<sup>62</sup>

*Owing to the recent death of Mr. Robert Baker, Mr and Mrs. Jason Foster regret that they are obliged to cancel the invitations to the marriage of their daughter Helen to Mr. Francis Baker.*

თუმცა, როგორც ვნახეთ, ზოგჯერ ქორწილის გაუქმებას მასპინძელმა შეიძლება ამჯობინოს „მოკრძალებული“ ქორწილის გადახდა მხოლოდ ახლო ნათესავებსა და მეგობრების წრეში.

2. ნიშნობის გაუქმება (Broken Engagement), რაც ხდება ახალგაზრდების მოულოდნელად დაშორების შემთხვევაში. ასეთ დროს მასპინძელი არ ატყობინებს სტუმარს დღესასწაულის გაუქმების მიზეზს, რადგან ეს უფრო მეტ უხერხულობაში ჩააყენებს ადრესანტს ადრესატის წინაშე. ამგვარად, შეტყობინება გაუქმებული ქორწილის შესახებ მოკლეა ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, მაგ.<sup>63</sup>

<sup>61</sup> <http://www.hitched.co.uk/stationery/examplewording.asp>

<sup>62</sup> იქვე

<sup>63</sup> ჰიტონი და სტრეჩი 2004: 64

*Mr and Mrs A B Cox announce that the  
marriage of their daughter  
Jane  
to  
Mr James Brown  
will not take place.*

3. თუ ქორწილი გადაიდო (Wedding Postponement), ამის მიზეზი, როგორც წესი მითითებულია, მაგ.:<sup>64</sup>

*Owing to the recent illness of Mrs. Gilmont's mother,  
the wedding of her daughter Holly Jane to Mr. Harvey Bennet  
at Soughton Hall, Flintshire, 3 pm on 10<sup>th</sup> August 2005  
has been postponed to 3 pm on Saturday 29<sup>th</sup> September 2005.*

საქართველოში ქორწილის გაუქმება იშვიათია და ამის მიზეზი, როგორც წესი, სიძისა ან პატარძლის ახლო ნათესავის გარდაცვალებაა. ამ სამწუხარო ამბავს მიწვეულ სტუმრებს უცებ ატყობინებენ და ოფიციალური წერილობითი განცხადება ქორწილის გაუქმების გამო საქართველოში არ ხდება. ქართველი მასპინძლის ოჯახის წევრის უეცარი ავადმყოფობის შემთხვევაში შეიძლება მოხდეს ქორწილის გადადება, რასაც მასპინძლები უცებ ატყობინებენ სტუმარს ასევე ზეპირი ფორმით. ახალგაზრდა წყვილის დაშორება ქორწილამდე ხანმოკლე პერიოდით ადრე საკმაოდ იშვიათია საქართველოში, და ასეთ შემთხვევაში სტუმრები უცებ იგებენ ამ ამბავს საერთო მეგობრებისა და ნაცნობებისაგან.

ინგლისური ქორწილის მეორე დღეს, მასპინძლებმა შესაძლებელია გამოაქვეყნონ საქორწილო განცხადება პრესაში, რომელიც ცნობილია როგორც 'Wedding Announcement', და ამგვარი საქორწილო განცხადების ერთ-ერთი გავრცელებული ვარიანტი ასეთია:<sup>65</sup>

<sup>64</sup> <http://www.thehandcraftedcardcompany.co.uk/text-suggestions.asp>

<sup>65</sup> ჰიტონი და სტრეჩი 2004: 55



*Mr P J Green and Miss A White.*

*The marriage took place on 20<sup>th</sup> April at the Church of St. George, Greenville, of Mr. Peter J Green, only son of Mr and Mrs. A F Green of Greenville, and Miss Ann White, eldest daughter of Mr and Mrs. F J White of Anytown, Midshire.*

ამგვარი საქორწილო განცხადებები ქართულ პრესაში არ გვხვდება, თუმცა ხშირია მილოცვები, როგორც ქორწილის, ისევე შეილის გაჩენისა და დაბადების დღის აღსანიშნავად.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ:

1. ინგლისური და ქართული საქორწილო მიპატიუბები საქორწილო რიტუალის ერთ-ერთი მთავარი ნაწილია. მათ ინგლისური და ქართული კულტურებისათვის დამახასიათებელი თვისებები აქვთ და ატყობინებენ სტუმრებს ქორწილის დეტალებს.
2. ნებისმიერი საქორწილო მიპატიუბა „სახესთან“ არის დაკავშირებული. როდესაც ადრესანტსა და ადრესატს შორის თბილი და მეგობრული ურთიერთობაა, ისინი მიპატიუბაში არაოფიციალურ ლინგვისტურ ფორმებს მიმართავენ, რითაც ვლინდება მათი „დადებითი სახე“ და ხდება „დადებითი თავაზიანობის“ (სკოლონების მიხედვით „ჩართვის“) სტრატეგიების გამოყენება. ოფიციალური საქორწილო მიპატიუბები ხაზს უსვამენ მასპინძელსა და სტუმარს შორის არსებულ დისტანციას, და ისინი „უარყოფითი თავაზიანობის“ (სკოლონების ტერმინებში- „დამოუკიდებლობის“) სტრატეგიას მიმართავენ.
3. მიპატიუბების ორი სახეობა არსებობს: „ნამდვილი“ (genuine) და „მოჩვენებითი“ (ostensible), რომლებიც აგრეთვე ცნობილია როგორც „ინფორმაციული“ და „ფატიკური“. საქორწილო მიპატიუბები პირველ ჯგუფს განეკუთვნება, რადგან ისინი რეალურ ინფორმაციას აწვდიან

მსმენელს მოვლენის შესახებ და პასუხს მოელიან მისგან ამ ღონისძიებაზე დასწრების შესაძლებლობა/შეუძლებლობაზე.

4. მასალის ანალიზმა გვაჩვენა, რომ ინგლისურ საქორწილო მიპატიუებებში დიდი როლი ენიჭება მიმართვის ფორმებისა და პატივისცემის გამომხატველი ფორმების გამოყენებას. ინგლისური ოფიციალური საქორწილო მიპატიუებების განხილვისას აღმოჩნდა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საკუთარი სახელის, მიმართვის ფორმების და პატივისცემის გამომხატველი ფორმების სწორი გამოყენება, რადგან ისინი ატყობინებენ სტუმარს მასპინძლის სოციალური სტატუსის და ოჯახური მდგომარეობის შესახებ. ოფიციალურ ქართულ საქორწილო მიპატიუებებში გამოყენებულია მხოლოდ ისეთი მიმართვის ფორმები, როგორცაა „ბატონო“ და „ქალბატონო“. ისინი არსებული დისტანციის გამოსახატავად გამოიყენება, მაგრამ არც მათ და არც საკუთარ სახელებს არა აქვთ ადრესატისა და ადრესანტის სოციალური სტატუსის და ოჯახური მდგომარეობის განსაზღვრის ფუნქცია.
  
5. როგორც ოფიციალური, ისე არაოფიციალური ინგლისური საქორწილო მიპატიუება შეიძლება იყოს „ღია“, „გულებილი“ და „პერსონალიზირებული“. ოფიციალურ ინგლისურ საქორწილო მიპატიუებებში ძალიან ხშირად გამოიყენება ისეთი ფრაზები, როგორცაა ‘...request the pleasure of the company of Mr. and Mrs. ....’ და ‘....request the pleasure of your company...’. პირველ მაგალითში, რომელიც შემოთავაზებულია „პერსონალიზირებული ოფიციალური მიპატიუების“ სახით, ხაზგასმულია დისტანცია მასპინძელსა და სტუმარს შორის გამოყენებული ირიბი მიმართვის მეშვეობით. ამავედროულად, „გულებილი ოფიციალური მიპატიუების“ ტიპის საქორწილო მიპატიუებებში, სტუმრისადმი მიმართვა ხდება ნაცვალსახელით ‘your’, რომლის მეშვეობით ხდება ადრესანტსა და ადრესატს შორის დისტანციის გარკვეულწილად შემცირება.

6. ტრადიციულად ინგლისურ საქორწილო მიპატიუებას პატარძლის დედა უგზავნის სტუმარს მეუღლისა და თავისი სახელით, მაგრამ დღეს მისაღები გახდა მიწვევების სიძე-პატარძლის სახელით გაგზავნაც, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ქორწილის ორგანიზატორი თვით ახალდაქორწინებული წყვილია.
7. ინგლისური ოფიციალური თუ არაოფიციალური საქორწილო მიპატიუებები იწერება მრავლობითი რიცხვის მესამე პირში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქმე ეხება „მოკრძალებულ“ ქორწილს, სადაც მასპინძელი ქორწილს ვიწრო წრეში იხდის. ამ შემთხვევაში, არაოფიციალური საქორწილო მიწვევა იწერება მრავლობითი რიცხვის პირველ პირში, და ასევე მითითებულია, რომ ამ ქორწილში მხოლოდ უახლოესი ნათესაეები და მეგობრებია დაპატიუებული. ინგლისელმა მასპინძელმა ასევე შესაძლოა ზეპირად მოიწვიოს ახლო ნათესავი ან მეგობარი ქორწილში, მაგრამ ამ ზეპირ მიპატიუებას აუცილებლად უნდა მოჰყვეს წერილობითი მიწვევაც, რადგან წერილობითი მიწვევა კიდევ ერთხელ ადასტურებს სტუმრის მიპატიუებას ქორწილში. ქართულ ყოფაში ოფიციალური მიპატიუებები უმეტესად ზეპირი ხასიათისაა, არაოფიციალური საქორწილო მიპატიუებები კი მხოლოდ ზეპირი.
8. ქართული ოფიციალური საქორწილო მიპატიუება ტრადიციულად იწერება მრავლობითი რიცხვის პირველ პირში, რაც ადრესანტსა და ადრესატს შორის უფრო მეტი სიახლოვის მაჩვენებელია.
9. ოფიციალურ ინგლისურ საქორწილო მიპატიუებაში, პატარძლის მშობლები, როგორც წესი, სიძეს რეფერენტული ფორმით 'Mr' + სახელი, გვარი მიმართავენ. და აგრეთვე წერენ მის სრულ სახელსა და გვარს. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ამ საქორწილო მიპატიუებაში „უარყოფითი თავაზიანობის“ („დამოუკიდებლობის“) სტრატეგიის გამოყენებას. ქართულ ოფიციალურ საქორწილო

მიპატიუებაში კი, სიძისა თუ პატარძლის მშობლები ოჯახის ახალ წევრს ხშირად „შვილს“ უწოდებენ, რაც ამ ადამიანებს შორის არსებულ სიახლოვეზე მიუთითებს და აქ „დადებითი თავაზიანობის“ („ჩართვის“) სტრატეგია გამოიყენება.

10. „სახის შეღახვის“ საშიშროების თავიდან ასაცილებლად სტუმარიც და მასპინძელიც პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ ბავშვების საკითხს. ქორწილში ბავშვების მიწვევის შემთხვევაში, ინგლისურ საქორწილო მიპატიუებაში ყოველთვის მოცემულია მიწვეული ბავშვების სახელები. ქართულ საქორწილო მიპატიუებებშიც მკაფიოდ არის მითითებული, თუ ვინ არის დაპატიუებული საქორწილო სუფრაზე. თუ მიწვევაში სიტყვა „ოჯახით“ არის მოცემული, ეს ნიშნავს იმას, რომ სუფრაზე ოჯახის ყველა წევრია დაპატიუებული. ამავე დროს, ინგლისური ყოფისაგან განსხვავებით, ქართულ ყოფაში მისაღებია ქორწილში მხოლოდ ერთი მეუღლის მიწვევა, რაც ხშირია თანამშრომლების მიწვევის შემთხვევაში. ასეთ დროს საქორწილო მიწვევა მხოლოდ იმ ადამიანის სახელზე იქნება გაგზავნილი, რომელიც მიწვეულია საქორწილო ღონისძიებაზე.

11. ოფიციალური ინგლისური საქორწილო მიპატიუებისათვის დამახასიათებელია RSVP აბრევიატურის გამოყენება, რომელიც პასუხს ითხოვს სტუმრისაგან შეძლებს თუ არა იგი ქორწილზე დასწრებას. ტრადიციულად პასუხი უნდა გაიგზავნოს, როგორც დადებითი ისევე უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, მაგრამ დღეს ბევრი მასპინძელი მხოლოდ უარყოფით პასუხსაც სჯერდება. ქართულ ყოფაში საქორწილო მიპატიუებაზე პასუხი ყოველთვის ზეპირი ხასიათისაა.

12. როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ყოფაში ხდება ქორწილის სხვადასხვა მიზეზით გაუქმება. მაგალითად, მასპინძლის ოჯახში ახლო ნათესავის უეცარი გარდაცვალების შემთხვევაში, სტუმარს ატყობინებენ ქორწილის გაუქმების შესახებ. ნიშნობის ჩაშლის გამო

საქორწილო ღონისძიების გაუქმების შემთხვევაში, მიზეზი არ სახელდება, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს ადრესანტის „სახის შელახვა“.

13. ინგლისში ქორწილის გამართვის მეორე დღეს, მასპინძლებმა შესაძლოა „საქორწილო განცხადება“ (Wedding Announcement) გამოაქვეყნონ პრესაში, სადაც ატყობინებენ მკითხველს მათი შვილის გაბედნიერების შესახებ. ამგვარი საქორწილო განცხადებები ქართულ პრესაში არ გვხდება, თუმცა ხშირია მილოცვები, როგორც ქორწილის, ასევე შვილის გაჩენისა და დაბადების დღის აღსანიშნავად.

## § 2 საქორწილო მიპატიუებებზე მიღებული დადებითი და უარყოფითი პასუხების ლინგვისტური და კულტურული მახასიათებლების შესახებ

როგორც ცნობილია, თავაზიანობა უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ადამიანებს შორის წარმატებული ურთიერთობის დამყარებასა და განვითარებაში და მისი გამოვლინება დიდად შესამჩნევია სტუმარ-მასპინძლობის ეტიკეტსა და მის ლინგვისტურ ფორმებში. სადისერტაციო ნაშრომის ეს ნაწილი ინგლისური და ქართული საქორწილო მიპატიუებების ლინგვისტური და კულტურული ანალიზის გაგრძელებაა და მიზნად ისახავს განსაზღვროს თავაზიანობის ის ნორმები და სტრატეგიები, რომლებიც გამოიყენება მიპატიუებებზე დადებითი თუ უარყოფითი პასუხის გაცემისას.

როგორც ვიცით, ყოველ ერს მისთვის დამახასიათებელი თავაზიანობის ნორმები და ქცევა ახასიათებს. თავაზიანობის სტრატეგიების სწორი გაგება და მათი გამოყენება დამოკიდებულია საზოგადოების წევრებს შორის არსებულ „ზიარ ცოდნაზე“, რომელიც წარმატებული სამეტყველო აქტის განხორციელების წინაპირობაა, მაშინ როდესაც განსაზღვრული საზოგადოებისათვის არასტანდარტული და უჩვეულო ლინგვისტური ფორმების გამოყენება მაშინვე შესამჩნევი ხდება საზოგადოების წევრებისათვის. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ ყოველი ქმედებისას ამა თუ იმ ენობრივი კოდექსის წევრები თავაზიან საუბარს მოელიან ერთმანეთისაგან, რადგან სოციალურად მისაღები საქციელი ეხმარება ადამიანებს ფსიქოლოგიური ბალანსის შენარჩუნებაში.

როგორც დისერტაციის პირველ თავში იყო განხილული, ბრაუნი და ლევენსონი მობოდიშებასა და ქათინაურებს „სახის შეღახვის აქტებად“ მიიჩნევენ (FTA). მათი განმარტებით, არსებობს ისეთი აქტები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მოლაპარაკის „უარყოფით სახეს“, მაგ.: შეთავაზების მიღება, მადლიერების გამოხატვა, ხოლო, მეორეს მხრივ, ადგილი აქვს ისეთ აქტებს, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მოლაპარაკის „დადებით სახეს“, მაგ.: მობოდიშება, ქათინაურის მიღება, აღიარება. აღსანიშნავია ისიც, რომ მიპატიუებებზე დადებითი ან უარყოფითი პასუხის გაცემა „მეზობლური

წყვილის“ (adjacency pair - შეგლოფი და საქსი 1973, ტომასში 1995: 138) მაგალითს წარმოადგენს. ავტორები აღნიშნავენ, რომ მოცემული მოდელი შედგება ორი მეზობლური გამონათქვამისაგან, წარმოითქმება ორი მოლაპარაკის მიერ და ქმნის წყვილს. ამდენად, მიწვევაზე მისვლის დაპირება ან უარის თქმა მიღებული მიპატიუების პასუხებია, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისინი მიპატიუების მოქმედებაზე რეაქციას წარმოადგენენ. როგორც კულმასი (კულმასი 1981: 81) აცხადებს: „მოზოდიშება და მადლიერების გამოხატვა არის სტრატეგიული საშუალებები, რომელთა ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია მოლაპარაკებებს შორის თავაზიანი ურთიერთობის დაბალანსებაა“. მოლაპარაკე ხვდება, რომ მიპატიუებაზე უარყოფითი პასუხის გაცემას არასათანადო ფორმით დისბალანსის გამოწვევა შეუძლია მასსა და მასპინძელს შორის, და ამიტომ ის იშველიებს თავაზიანობის იმ ნორმებს, რომლებიც მიღებულია მის საზოგადოებასა და კულტურაში.

აღსანიშნავია, რომ ოფიციალურ თუ არაოფიციალურ ინგლისურ საქორწილო მიპატიუებაზე პასუხის გაგზავნისას, აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება მოცემული მიპატიუების სტილს, რადგან შეუფერებელი სტილის გამოყენება აგრეთვე თავაზიანობის ნორმების უხეშ დარღვევად მიიჩნევა.

ინგლისურ საქორწილო მიპატიუებაზე ოფიციალური პასუხი-თანხმობა შეიძლება ასეთი იყოს<sup>66</sup>:

*Mr and Mrs Mark Jones  
accept with pleasure  
the kind invitation of  
Mr and Mrs Smith  
to the wedding reception of their daughter  
Helen  
and  
Mr John Matthew Smith  
on Saturday, 23<sup>rd</sup> March  
at 3.00 pm*

<sup>66</sup> [http://www.hitched.co.uk/stationery/response\\_wording.asp](http://www.hitched.co.uk/stationery/response_wording.asp)

ამავე დროს, ინგლისელი სტუმრები ხშირად უგზავნიან მასპინძელს ისეთ საპასუხო ბარათებს, რომლებშიც უფრო მოკლე ფორმით ატყობინებენ დადებით პასუხს, მაგ.:<sup>67</sup>

*Mr and Mrs Paul Charles  
are pleased to accept your kind invitation  
for Saturday 24 July 1999*

ან<sup>68</sup>

*Mr and Mrs Jone Jones thank Mr and Mrs Bloggs  
for their kind invitation to their daughter's wedding  
and reception and will be most happy to attend.*

საგულისხმოა, რომ ინგლისური საქორწილო ეტიკეტის მიხედვით, მოწვევის საპასუხო ბარათში სტუმრებმა უნდა განაცხადონ თანხმობა (ან უარი) მხოლოდ საქორწილო მოღებაში მონაწილეობაზე, მაშინაც კი, თუ ისინი ეკლესიაშიც და საქორწილო მიღებაზეც არიან მიწვეული და ორივე ღონისძიებაზე აპირებენ დასწრებას. საქმე ისაა, რომ ტრადიციულად ინგლისში არ აცხადებდნენ თანხმობას ეკლესიაში გამართულ საქორწილო ცერემონიის დასწრებაზე, რადგან ეკლესიაში შესასვლელად ადამიანს არ სჭირდებოდა სხვა ადამიანის ნებართვა.<sup>69</sup> საგულისხმოა, რომ მიუხედავად ამ წესისა, ჩვენს დროში ინგლისურ საქორწილო მიპატიუებებზე საპასუხო ბარათი შეიძლება შეიცავდეს ინფორმაციას საქორწილო ცერემონიაზე დასწრების თაობაზე, მაგ.:<sup>70</sup>

<sup>67</sup> მაგალითი მოპოვებულია ინგლისელი ლინგვისტური ინფორმანტისაგან

<sup>68</sup> <http://www.howtobooks.co.uk/family/weddings/information.asp>

<sup>69</sup> <http://www.hitched.co.uk/stationery/examplewording.asp>

<sup>70</sup> ჰიტონი და სტრეჩი 2004: 66



*Mr and Mrs Joseph Fleet  
and their daughter, Phyllis,  
thank Colonel and Mrs Leslie R White  
for their kind invitation  
to their daughter's wedding  
at St George's Parish Church  
on Saturday 20<sup>th</sup> April at 11 am  
and to a reception afterwards  
at the Carlton Hotel,  
and are most happy to accept.*

მოცემული საპასუხო ბარათი საინტერესოა იმიტაც, რომ მასში სტუმრები ჯერ მადლობას უხდიან მასპინძელს საეკლესიო ცერემონიაზე და საქორწილო მიღებაზე მოწვევისათვის, და მხოლოდ შემდგომ ატყობინებენ ადრესატს თავის პასუხს მიღებულ მოწვევაზე. ამ საპასუხო ბარათში ასევე ჩანს, რომ სტუმრები შვილთან ერთად არიან დაპატიუებული და ოჯახის ყველა წევრი აცხადებს თანხმობას დაესწროს ღონისძიებას.

როგორც აღინიშნა, ბრაუნი და ლევისონი (ბრაუნი და ლევისონი 1987: 67) მადლიერების გამოხატვას მოლაპარაკის „უარყოფითი სახის შელახვად“ მიიჩნევენ. მე ვერ დავეთახმები ამ მოსაზრებას, რადგან ვთვლი, რომ მიღებულ მოწვევაზე მადლობის გადახდით არ ხდება სტუმრის „უარყოფითი სახის შელახვა“. მე დავეთანხმები გაისის (გაისი 1995: 103-104) მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მოწვევაზე მადლობის გადახდით სტუმარი პატივისცემას გამოხატავს მასპინძლის „დადებითი სახისადმი“ და არანაირი „უარყოფითი სახის შელახვის“ ქმედებას ადგილი არა აქვს. მიმაჩნია, რომ მიწვევა სოციალურად მომგებიანია როგორც მასპინძლისათვის, ასევე სტუმრისათვის, რადგან დაპატიუებით ადრესანტი მიზნად ისახავს უფრო ახლო კავშირი დაამყაროს ადრესატთან, რომელიც აფასებს ამ სურვილს და მადლობას უხდის ადრესანტს მისი დაფასებისათვის. უფრო მეტიც, ინგლისურ საქორწილო მიპატიუებაზე დადებით პასუხში სტუმრები ხშირად წერენ ფრაზებს *'accept with pleasure'* და *'kind invitations'*, რაც ჩემი აზრით, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მასპინძლის საქციელი სტუმრის მხრიდან დადებითად არის შეფასებული.

ინგლისური ეტიკეტის მიხედვით, საპასუხო ბარათი აუცილებლად არ ითხოვს სტუმრის ხელმოწერას. მიპატიუების მსგავსად, ოფიციალური პასუხითანხმობაც იწერება მრავლობითი რიცხვის მესამე პირში და ის ყოველთვის უნდა შეიცავდეს ყველა იმ ადამიანის სახელს, რომელიც თანხმობას აცხადებს წვეულებაზე დასწრებაზე.

როგორც აღინიშნა, ინგლისელმა მასპინძელმა შეიძლება ზეპირი ფორმით მიიწვიოს ახლო ნათესავი თუ მეგობარი ქორწილში. ასეთ ზეპირ მიპატიუებას სტუმრის მხრიდან ასეთი დადებითი პასუხი შეიძლება მოყვეს: <sup>71</sup>

*Thank you, Christine. I'll be delighted to come!*

ან<sup>72</sup>

*Great! Looking forward to it!*

ქართულ საქორწილო მიპატიუებაზე დადებითი თუ უარყოფითი პასუხი, ინგლისურისაგან განსხვავებით, ყოველთვის ზეპირი ფორმისაა, მაგრამ, რასაკვირველია, აქაც ვლინდება განსხვავება ოფიციალურ და არაოფიციალურ მოწვევაზე გაცემულ პასუხებს შორის, რომლებიც იგივე სტილში უნდა იყოს მოცემული, როგორშიც თავად მოწვევაა, მაგალითად ოფიციალურ საქორწილო მოწვევას ყოველთვის ოფიციალური პასუხი მოყვება, მაგ.: <sup>73</sup>

*დიდი მადლობა, ბატონო გიორგი, სიამოვნებით მოვალთ.*

ხოლო არაოფიციალურ ქართულ საქორწილო მიპატიუებას ასეთივე არაოფიციალური პასუხი მოჰყვება, მაგ.:<sup>74</sup>

*დიდი მადლობა, მაკა, აუცილებლად ვიქნები.*

<sup>71</sup> მაგალითი მოპოვებულია ინგლისელი ლინგვისტური ინფორმანტისაგან.

<sup>72</sup> მაგალითი მოპოვებულია ინგლისელი ლინგვისტური ინფორმანტისაგან.

<sup>73</sup> ქართულ საქორწილო მიპატიუებებზე მიღებული ყველა პასუხის ნიმუში მოპოვებულია ლინგვისტური ინფორმანტებისაგან.

<sup>74</sup> იქვე

ოფიციალურ ინგლისურ საქორწილო მიპატიუებაზე უარის განცხადებისას, უარყოფითი პასუხის ფორმა შესაძლოა ასეთი იყოს:<sup>75</sup>

*Mr and Mrs Peter Evans  
regret that they are unable to accept  
the very kind invitation of  
Mr and Mrs David Charles  
for  
Saturday, the eleventh of October.*

მიუხედავად იმისა, რომ სტუმრები ხშირად მიმართავენ მოკლე უარყოფით პასუხს, მე ვერ ვიტყვი, რომ ეს ფორმა დიდად ეხმარება მათ „სახის შელახვის“ შერბილების პროცესში. ჩემი აზრით, მიპატიუებაზე უარის თქმის დროს, ყოველთვის სჯობს მიზეზის მოყვანა, თუმცა ის შეიძლება არადაამაჯერებლადაც უღერდეს, მაგ.:<sup>76</sup>

*Mr and Mrs John Fleet  
and their daughter, Phyllis,  
thank Colonel and Mrs Leslie R White  
for their kind invitation  
to their daughter's wedding  
at St. George's Parish Church  
on Saturday 20<sup>th</sup>  
and to the reception afterwards.*

*Unfortunately they have accepted a prior engagement  
for that date and must therefore decline with regret.*

იმ შემთხვევაში, თუ ერთ ადამიანზე მეტი იყო ქორწილში მიწვეული, და ყველა ვერ შეძლებს დასწრებას, მიპატიუებაზე პასუხი ასეთია: <sup>77</sup>

<sup>75</sup> [http://www.themorningnews.org/archives/how\\_to/dont\\_be\\_rude\\_rsvp\\_and\\_best\\_persons/php](http://www.themorningnews.org/archives/how_to/dont_be_rude_rsvp_and_best_persons/php)

<sup>76</sup> ჰიტონი და სტრეჩი 2004: 66

<sup>77</sup> <http://www.thepurplehouse.net/wedding/responsewording.html>

*Mr Mark Jones  
accepts with pleasure  
the kind invitation of  
Mr and Mrs Smith  
for  
Saturday, the twenty-third of March  
at 1 o'clock in the afternoon*

*Mrs Mark Jones regrets that she is unable to attend.*

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ინგლისურ საქორწილო მიწვევას ხშირად მოყვება მზა „საპასუხო ბარათი“ (Reply Card) და ამგვარი ოფიციალური ბარათი შეიძლება ასეთი იყოს:<sup>78</sup>

*The favour of a reply is requested  
before the twenty-sixth of May*

-----

*will/ will not be able to attend  
the marriage of  
Miss Julia Louise Spence  
to  
Mr. James Anthony Taylor  
on  
Saturday, 28<sup>th</sup> July 2001*

*R.S.V.P.  
The Lodge, Pine Hill  
Wootton on the Worrell  
Cambridgeshire, CB2 3XE*

*Number of vegetarians attending* □

„საპასუხო ბარათები“ ეხმარება სტუმარს სწრაფად შეატყობინოს მასპინძელს თავისი პასუხი, რადგან წინასწარ შედგენილი ტექსტი არა მხოლოდ ზოგავს მის დროს, არამედ, უარის შემთხვევაში, ის მაშინვე არ ითხოვს სტუმრისგან მომიზეზებას და თავის მართლებას მასპინძლის წინაშე.

<sup>78</sup> <http://www.find-me-a-gift.co.uk/wedding/folded-manuscript-Quebec-invitation-instructions.asp>

როგორც ცნობილია, ხანდახან ინგლისში იმართება „მოკრძალებული“ ქორწილი ('Quiet' wedding)<sup>79</sup>, რაც გამოწვეულია მასპინძლის ოჯახში ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან მასპინძლების სურვილით გადაიხადონ ქორწილი მხოლოდ ახლო ნათესავებისა და მეგობრების ვიწრო წრეში. ასეთ ღონისძიებაზე დასასწრებად იგზავნება არაოფიციალური საქორწილო მიპატიუება, რომელიც პირველ პირშია დაწერილი და მასზე მიღებული არაოფიციალური პასუხი ასევე პირველ პირში იწერება, მაგ.:<sup>80</sup>

*Dear Harriet,*

*I shall be delighted to attend your wedding on September ninth, at four o'clock.*

*With cordial good wishes to you and Mr. Brill,*

*Sincerely yours,  
Janet B. Robbins*

ზეპირად წარმოთქმულ ინგლისურ საქორწილო მიპატიუებაზე უარყოფითი პასუხის გაცემის შემთხვევაში, სტუმარმა შესაძლოა ასეთი პასუხი გასცეს:<sup>81</sup>

*I am very sorry, Amy, I won't be able to attend as I will be out of town.*

აბ 82

*I am really sorry, but I'm already booked for that date.*

<sup>79</sup> <http://www.2020site.org/wedding/informal/html>

<sup>80</sup> <http://www.2020site.org/wedding/informal/html>

<sup>81</sup> მაგალითი მოპოვებულია ინგლისელი ლინგვისტური ინფორმანტისაგან

<sup>82</sup> მაგალითი მოპოვებულია ინგლისელი ლინგვისტური ინფორმანტისაგან

მიპატიებაზე ქართული ზეპირი ოფიციალური უარყოფითი პასუხი შემდეგი სახის შეიძლება იყოს:

*დიდი მადლობა, ბატონო ირაკლი, მაგრამ ამ შაბათს ერთი კვირით მივდივარ ბათუმში და სამწუხაროდ ვერ შევძლებ მოსვლას.*

ხოლო ზეპირი არაოფიციალური პასუხი ასეთი შეიძლება იყოს:

*დიდი მადლობა დათო, ხომ იცი როგორ მინდა მოსვლა, მაგრამ მივლინებაში მიშვებენ და ვერაფრით ვერ მოვალ. არ გეწყინოს, რა.*

აქვე აღვნიშნავ, რომ როდესაც საქართველოში ადრესატი მიპატიებაზე უარს ეუბნება ადრესანტს, ის, როგორც წესი, ყოველთვის იშველიებს მიზეზს, რომელიც ამართლებს მის საქციელს, და აგრეთვე აუცილებლად გამოხატავს სინანულს და წუხილს იმის გამო, რომ ვერ დაესწრება გამართულ ღონისძიებას, მაგალითად, ადრესატი ხშირად ამბობს, *‘იმედია არ გეწყინება’,* ან *‘ხომ არ გეწყინება’,* ამგვარად, ასეთი სიტყვებით მიწვეული ადამიანი ცდილობს შეინარჩუნოს თბილი ურთიერთობა მასსა და მასპინძელს შორის, რასაც შემდგომ მასპინძლის დარწმუნება მოჰყვება იმაში, რომ მისთვის საკვებით გასაგებია უარყოფითი პასუხის მიზეზი მოცემული გარემოებებიდან გამომდინარე. ასეთი ქმედებით სტუმარს „დადებითი სახე“ უნარჩუნდება და ამ ორ ადამიანს შორის ურთიერთობების დაძაბვის საშიშროება არ დგება.

საგულისხმოა ისიც, რომ მობოდიშებისას მოლაპარაკებები მიმართავენ გარკვეულ ლინგვისტურ სტრატეგიებს, რომლებიც ხორციელდება მისაღები ფორმით. სუჟინსკა (სუჟინსკა 1999: 1056) გვთავაზობს მობოდიშების ექვს სუპერ-სტრატეგიას, რომლებსაც მოლაპარაკებები მიმართავენ. ესენია:

1. ილოკუციურ ძალაზე მიმანიშნებელი საშუალებები (Illocutionary Force Indicating Devices (IFIDs)
  - ა. სინანულის გამოხატვა, მაგ.: I'm sorry
  - ბ. მობოდიშება, მაგ.: I apologize
  - გ. პატიების თხოვნა, მაგ.: Excuse me/ Forgive me/ Pardon me
2. ახსნა-განმარტება ან თავის მართლება

აქ მოცემულია ნებისმიერი სახის შემარბილებელი ფაქტორები, დარღვევის „ობიექტური“ მიზეზები, მაგ.: The traffic was ტერრიბლე

3. პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება

ა. საკუთარი თავის გულწრფელი დადანაშაულება, მაგ.: It's my fault/ my mistake

ბ. განზრახვის არქონა, მაგ.: I didn't mean it

გ. საკუთარი არასრულყოფილების აღიარება, მაგ.: I was confused/I didn't see you/I forgot

დ. უხერხულობის გამოხატვა, მაგ.: I feel awful about it

ე. საკუთარი თავის გააკიცხვა, მაგ.: I'm such a dimwit!

ვ. მსმენელის გამართლება, მაგ.: You're right to be angry

ზ. ბრალდების აღიარებაზე უარის თქმა

პასუხისმგებლობის უარყოფა, მაგ.: It wasn't my fault,

მსმენელის დადანაშაულება, მაგ.: It's your own fault,

თავის ისე მოჩვენება, თითქოს შეურაცხყოფილი ხარ, მაგ.: I'm the one to be offended.

4. მსმენელზე ზრუნვა, მაგ.: I hope I didn't upset you/Are you all right?

5. სიტუაციის გამოსწორების (მიყენებული ზარალის ანაზღაურების) შეთავაზება, მაგ.: I'll pay for the damage

6. შემწყნარებლობის გამოჩენის თხოვნა, მაგ.: It won't happen again

სუეინსკას აზრით, მოცემული სტრატეგიების და მათი ქვე-სტრატეგიების შერჩევა განსხვავებულია სხვადასხვა ყოფაში და მათი გამოყენება და ლინგვისტური გამოხატულება დამოკიდებულია კონტექსტსა და კულტურაზე. მე ვეთანხმები ამ მოსაზრებას, მაგრამ, ამავე დროს, მიმაჩნია, რომ „მსმენელის დადანაშაულების“ და „თავის ისე მოჩვენების, თითქოს შეურაცხყოფილი ხარ“ ქვე-სტრატეგიები, რომლებიც პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღების სუპერ-სტრატეგიის ნაწილს შეადგენენ, მობოდიშებად არ უნდა იყოს მიჩნეული, რადგან ასეთ შემთხვევაში ადამიანი, პირიქით, იხსნის თავიდან პასუხისმგებლობას და მიუთითებს, რომ მას დაშვებულ შეცდომაში ბრალი არ მიუძღვის.

როგორც აღინიშნა, ზემოხსენებული სტრატეგიების არჩევა და საბოლოო ლინგვისტური გამოხატულება დამოკიდებულია კონტექსტსა და კულტურაზე და განსხვავებული კულტურის ქვეყანაში ყოფნისას საჭიროა ადამიანს ჰქონდეს იმ ყოფისათვის დამახასიათებელი თავაზიანობის ნორმების ცოდნა, რათა მის მიერ შერჩეულმა ლინგვისტურმა ფორმებმა არ გამოიწვიონ უხერხულობა და დაძაბულობა სხვა კულტურის წარმომადგენელთან ურთიერთობისას.

საგულისხმოა, რომ ინგლისური და ქართული საქორწილო მიპატიუებების უარყოფითი პასუხების გაანალიზებისას, რელევანტურად მიმაჩნია მობოდიშების მხოლოდ პირველი, მეორე და მეოთხე სუპერ-სტრატეგიები. მობოდიშების პირველი სუპერ-სტრატეგია გამიზნულია სინანულის გამოხატვისაკენ ჩადენილი არასასიამოვნო მოქმედების გამო, რაც გადმოცემულია პერფორმატული ზმნის *'regret'* მეშვეობით, მაგ.: *'Mr and Mrs Peter Evans regret that they are unable to accept the very kind invitation...'*. მეორე სუპერ-სტრატეგია ეხმარება მოლაპარაკეს მსმენელთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებაში და მიზნად ისახავს ახსნა-განმარტების მიცემას ჩადენილი საქციელის გამო, მაგ.: *'Unfortunately, they have accepted a prior engagement for that date and must therefore decline with regret.'* ან *„დიდი მადლობა, დათო, ხომ იცი როგორ მინდა მოხვლა, მაგრამ მივლინებაში მიშვებენ და ვერაფრით ვერ მოვალ“*. ხოლო მეოთხე სუპერ-სტრატეგია შეიცავს ისეთ ლინგვისტურ გამონათქვამებს, როგორიცაა, მაგალითად *'I am really sorry'*, *„იმედია არ გეწყინება“*, *„ხომ არ გეწყინება“*, *„არ გეწყინოს, რა“*, რომლებიც მსმენელის გრძნობებზე ზრუნვას გამოხატავს და ხშირად ის მესამე სუპერ-სტრატეგიასთანაა შერწყმული, რადგან მოლაპარაკე მობოდიშებისას აღიარებს მსმენელის უფლებას ნაწყენი იყოს მის ქმედებაზე.

ტერმინის „მობოდიშება“ განხილვისას, ყურადღება უნდა მიექცეს მაიერის (მაიერი 1995: 383) მიერ შემოთავაზებულ „გამოსწორების“ (Repair Work) სტრატეგიას, რომელსაც მობოდიშების ეკვივალენტურად მივიჩნევ, რადგან ის შეიცავს თავის მართლებას და მობოდიშებას. „გამოსწორება“ ერთნაირად უნდა ახასიითებდეს ურთიერთქმედების იმ მონაწილეებს, რომლებიც ჩართულნი არიან მიპატიუება-მობოდიშების ლინგვისტურ პროცესში განურჩევლად მათი ასაკისა თუ სტატუსის.



მიპატიუებაზე თანხმობის განცხადება დაპირებად მიმაჩნია, და სტუმრის მიერ მასპინძლის ღონისძიებაზე დასწრების დაპირება სერლის (სერლი 1976: 209) მიერ შემოთავაზებული „იღბლიანობის პირობების“ ოთხი ტიპის მიხედვით შეგვიძლია განვიხილოთ:

პროპოზიციული შინაარსის პირობა (Propositional Content Condition): მოწვეული ადამიანი ინფორმაციას აწვდის მასპინძელს მომავალი მოქმედების შესახებ, კერძოდ კი მის მიერ წვეულებაზე დასწრების შესახებ.

მოსამზადებელი პირობა (Preparatory Conditions): მოწვეულ ადამიანს სჯერა, რომ მისი დადებითი პასუხი, ანუ ქორწილზე დასწრების პირობა, ასიამოვნებს მასპინძელს და ამ უკანასკნელის ინტერესებშია. აქვე კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ მიპატიუება (ამ შემთხვევაში საქორწილო მიპატიუება) მომგებიანად მიმაჩნია როგორც მასპინძლისათვის ასევე სტუმრისათვის. ასე რომ არ იყოს, რატომ არის, რომ ადამიანი, რომელიც მოელის სხვა ადამიანისაგან მოწვევას, მისი მიუღებლობის შემთხვევაში შეურაცხყოფილად გრძნობს თავს და გულმოსული იტყვის ხოლმე „არც კი დამპატიჟა!“ ან „რა თქმა უნდა არ მივედი, დაუპატიუებლად როგორ მივიდოდი!“ მოწვევით მასპინძელი გამოხატავს სურვილს ჰქონდეს ურთიერთობა მოწვეულ ადამიანთან, და ამგვარად გამოხატავს ამ უკანასკნელის დაფასებას. ამავდროულად, სტუმარი დადებითი პასუხის გაგზავნით საპასუხო ნაბიჯს დგამს მასპინძლის მიმართ, და ამით იმასაც ადასტურებს, რომ მასაც სურს იმ ადამიანთან ურთიერთობა. ამიტომაც არის ასეთი მნიშვნელოვანი უარყოფითი პასუხის გაცემის შემთხვევაში მიზეზების მოყვანა, რაც მოწვევაზე უარყოფითი პასუხის მიღებისას მასპინძელში შექმნილი არასასიამოვნო შეგრძნებების შემსუბუქებას ემსახურება.

გულწრფელობის პირობა (Sincerity Conditions): მოწვეულ ადამიანს ნამდვილად განზრახული აქვს დაესწროს საქორწილო სუფრას.

აუცილებელი პირობა (Essential Conditions): სიტყვებით ‘accept’ ან ‘will attend’ რომლებიც მოცემულია ინგლისურ საპასუხო ბარათებზე, სტუმარი იღებს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას დაესწროს დაგეგმილ წვეულებას. ქართულ საქორწილო მიპატიუებებზე დადებითი პასუხის გავრცელებული მაგალითი შემდეგია: „აუცილებლად მოვალ“ ან „სიამოვნებით მოვალ“. აღსანიშნავია, რომ

თუ მიპატიჟება არის ილოკუციური აქტი, რომელიც სრულდება გამონათქვამის კომუნიკაციური ძალით, დადებითი ან უარყოფითი პასუხი არის მიპატიჟების პერლოკუციური ეფექტები.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა პასუხს ერთნაირი სტატუსი არა აქვს: ზოგი პასუხი „სასურველია“ (preferred response), ზოგი კი „არასასურველი“ (dispreferred response) (ცუი 1994: 58). როგორც წესი, „სასურველი“ ანუ დადებითი პასუხი, უფრო მარტივი ფორმითაა წარმოდგენილი (ეს აშკარად არის გამოხატული ქართულ საქორწილო მიწვევაზე განცხადებულ „სასურველ“ პასუხებში). „არასასურველი“ ანუ უარყოფითი პასუხი კი არა მხოლოდ უარის თქმას, არამედ, როგორც წესი, მობოდიშების მრავალ სტრატეგიას შეიცავს. ცუი (ცუი 1994: 58) აგრეთვე გვთავაზობს საპასუხო აქტების ორ სახეობას: პირველი არის ისეთი, რომელიც დადებით პასუხს იძლევა მიპატიჟებაზე და ის მათ „დადებით საპასუხო აქტებს“ უწოდებს (positive responding acts), ხოლო მეორე კი „უარყოფითი საპასუხო აქტებია“ (negative responding acts), როდესაც საქმე გვაქვს მიპატიჟებაზე უარყოფითი პასუხის გაცემასთან.

როგორც ითქვა, მიპატიჟებაზე უარყოფითი პასუხის გაგზავნისას, ყოველთვის სჯობია მასპინძელს შეატყობინო უარის მიზეზი. ასეთ ახსნა-განმარტებას გოფმანი (გოფმანი 1971: 109) „მომიზეხებას“ (account) უწოდებს, რომელიც ფუნქცია „სახის შელახვის აქტის“ შერბილებაა.

ინგლისელი სტუმრების წვეულებაზე მისვლა და ახალდაქორწინებულებისათვის საჩუქრების მირთმევა ამ უკანასკნელთა მხრიდან სტუმრებისათვის „სამადლობელო ბარათის“ (Thank-you Card) გაგზავნას მოითხოვს. ამ ბარათში ახალგაზრდა წყვილი მადლობას უხდის ადრესატს მობრძანებისა და საჩუქრებისათვის, მაგ.:<sup>83</sup>

*We would both like to  
thank you for the lovely  
presents and for all  
your kind wishes.*

*Kirsty and Kevin*

<sup>83</sup> [http://www.weddingstationeryetc.co.uk/wedding3\\_5.html](http://www.weddingstationeryetc.co.uk/wedding3_5.html)

*Thank you for giving us  
a lasting memory of  
your kindness and generosity  
and for your presence on our special day.*

*Sarah and James*

ინგლისური ეტიკეტის თანახმად, „სამადლობელო ბარათის“ გაგზავნა აუცილებელი მოვალეობაა, რადგან ამით კიდევ ერთხელ გამოიხატება ახალდაქორწინებულების გულწრფელი მადლობა სტუმრისადმი. ასეთი სახის „სამადლობელი ბარათები“ არ იგზავნება საქართველოში ახალდაქორწინებული წყვილის მიერ და სტუმრებს მობრძანებასა და საჩუქრებისათვის მადლობის გადახდის პროცესი თავად ქორწილში ხდება საჩუქრის მირთმევისას. თვით მადლობის გადახდის აქტი გამოიხატება პეფორმატული ზმნით ‘thank’, რომელიც მიეკუთვნება ექსპრესივების ჯგუფს (სერლი 1976) და ამ ზმნის მეშვეობით წყვილი გამოხატავს თავის მადლიერებას სტუმრისადმი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ:

1. საქორწილო მიპატიებაზე შესაფერისი პასუხის გაცემა ძალზე მნიშვნელოვანია ადამიანთა შორის კეთილგანწყობილი ურთიერთობის შენარჩუნებისათვის, განსაკუთრებით მიწვევაზე უარყოფითი პასუხის გაცემისას. თავაზიანობის ნორმების ცოდნა აუცილებელია იმისათვის, რომ სტუმარმა მისაღები ფორმით მიაწოდოს თავისი პასუხი მასპინძელს და არ გამოიწვიოს მისი განაწყენება არასათანადოდ დასაბუთებული უარყოფითი პასუხით.
2. საქორწილო მიპატიებები „მეზობლური წყვილის“ მაგალითს წარმოადგენენ და მოიცავენ:

<sup>84</sup> <http://www.paperorchiddesigns.co.uk>

- ა. დადებით პასუხს, რომელსაც აგრეთვე „სასურველ პასუხს“ და „დადებით საპასუხო აქტს“ უწოდებენ, ან
  - ბ. უარყოფით პასუხს, რომელიც შესაბამისად „არარსასურველი პასუხი“ და „უარყოფითი საპასუხო აქტია“.
  
3. ოფიციალურ თუ არაოფიციალურ საქორწილო მიპატიუებაზე პასუხის გაცემისას ყურადღება აუცილებლად უნდა მიექცეს იმ სტილს, რომელშიც თვით მიპატიუებაა მოცემული, რადგან შეუფერებელი სტილის გამოყენება აგრეთვე თავაზიანობის ნორმების უხეშ დარღვევად მიიჩნევა. ინგლისურ საქორწილო მიპატიუებაზე დადებითი თუ უარყოფითი პასუხი ყოველთვის წერილობითი ფორმისაა, ხოლო ქართულ საქორწილო მიპატიუებებს ყოველთვის ზეპირი პასუხი მოსდევს, მიუხედავად იმისა, ოფიციალური იყო მიწვევა თუ არაოფიციალური.
  
4. ოფიციალურ ინგლისურ საქორწილო მიპატიუებაზე ოფიციალური დადებითი თუ უარყოფითი პასუხი იწერება მრავლობითი რიცხვის მესამე პირში. ხანდახან მიპატიუება შეიძლება ვნებით გვარშიც იყოს დაწერილი. დადებითი პასუხის შემთხვევაში მოცემულია ყველა იმ ადამიანის სახელი, ვინც წვეულებაზე მოსვლის თანხმობას აცხადებს.
  
5. „მოკრძალებულ ქორწილზე“ მიღებულ არაოფიციალურ მოწვევაზე პასუხს ადრესატი პირველ პირშივე წერს. ხოლო ზეპირად წარმოთქმულ საქორწილო მიპატიუებაზე მსმენელი ასევე ზეპირ პასუხს იძლევა.
  
6. ეტიკეტი ითვალისწინებს, რომ მიპატიუებაზე უარყოფითი პასუხის გაცემისას, ყოველთვის სჯობს მოპასუხემ გარკვეული, თუნდაც არადამაჯერებელი მიზეზი მოიყვანოს იმისა, თუ რატომ არ შეუძლია დაესწროს წვეულებას.
  
7. დღეს ინგლისში ძალიან გავრცელებულია „საპასუხო ბარათების“ (Reply Cards) გამოყენება. ამ ბარათებს მასპინძელი დაურთავს საქორწილო

მიპატიუბებს, რათა სტუმარმა მაქსიმალურად მოკლე პერიოდში შეატყობინოს მასპინძელს თავისი პასუხი.

8. მიპატიუბებაზე თანხმობის განცხადებას მივიჩნევ დაპირებად, ხოლო იმისათვის, რომ დაპირების აქტი წარმატებული იყოს, აუცილებელია რომ ის აკმაყოფილებდეს „იბღლიანობის პირობებს“.
  
9. ინგლისურ ყოფაში, ქორწილის გამართვის შემდგომ, ახალდაქორწინებულები „სამადლობლო ბარათს“ უგზავნიან სტუმრებს, რითაც გამოხატავენ მადლიერებას მობრძანებისა და საჩუქრებისათვის. ამის გამოსახატავად გამოიყენება პერფორმირებული *'thank'*, რომელიც სერვის კლასიფიკაციაში ექსპრესივების ჯგუფს განეკუთვნება. ამგვარი ბარათები არ ახასიათებს ქართულ ყოფას, და სიძე-პატარძლის მხრიდან სტუმრებისათვის მადლობის გადახდა მათი მობრძანებისა და საჩუქრებისათვის თავად ქორწილში ხდება, რაც ქართულში ხორციელდება ექსპრესივით „გმადლობთ“, ან „დიდი მადლობა“.

### თაზო III

## ინგლისური და ქართული საქორწილო სადღეგრძელოების სოციო-პრაგმატიკული ანალიზი.

*არ არსებობს კომპლიმენტზე საუკეთესო საჩუქარი.  
ძველი გამონათქვამი<sup>85</sup>*

როგორც ცნობილია, სადღეგრძელოს წარმოთქმისას ადამიანი გამოხატავს თავის გრძნობებსა და ფიქრებს იმ ადამიანის მიმართ, რომელსაც ის ადღეგრძელებს. სადღეგრძელო შეიძლება შეიცავდეს ლექსებს, პირად ამბებს, იუმორს, რაც გამომსვლელის მჭევრმეტყველებაზე მიუთითებს. როგორც წესი, სადღეგრძელო ემოციებითაა აღსავსე და იმპროვიზაციის საგანია, რაც მას უფრო ლამაზს, შთამბეჭდავსა და განსაკუთრებულს ხდის.

ბახტინი (ბახტინი 1986: 61) აცხადებს, რომ არსებობს ორი სახის სამეტყველო ჟანრი: პირველადი (მარტივი) (primary/simple), და მეორადი (რთული) (secondary/complex). შევნიშნავ, რომ სადღეგრძელოები შეიძლება განვიხილოთ როგორც რთული სამეტყველო ჟანრის ნიმუში, რადგან ისინი ერთდროულად შეიცავენ ბევრი სხვადასხვა ჟანრის ელემენტებს, კერძოდ ლექსებს, პირად ამბებს, ანდაზებს, იუმორს და სხვა. კოთჰოფი (კოთჰოფი 1995: 353) ქართულ სადღეგრძელოებს განიხილავს, როგორც ზეპირ ჟანრს და აგრეთვე მათ „მამაკაცურ ჟანრს“ (male genre) უწოდებს. ტრადიციული ქორწილი ინგლისსა და საქართველოში ცერემონიის ფორმას ატარებს და მას თანმიმდევრული და კარგად ორგანიზებული სტრუქტურა აქვს. სადღეგრძელოების წარმოთქმა განსაზღვრული ჯერობით ხდება და, ისინი, როგორც წესი, ოფიციალური სტილით ხასიათდება.

თითოეულ გამომსვლელს, რომელიც სადღეგრძელოს ამბობს, აქვს მრავალფეროვნების და იმპროვიზაციის შესაძლებლობა თავის სიტყვაში, და ის თავის ინდივიდუალურ სტილში ამბობს სადღეგრძელოს. ჰაიმსის (ჰაიმსი 1974:

---

<sup>85</sup> ჰეგარტი 1978: 71

434) მიხედვით, სტილი არის „გარკვეული მოქმედების შესრულების ძირითადი ფორმა“. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ, ზოგადად, ადამიანები თვითონ ირჩევენ სალაპარაკო სტილს, გარემოცვა ('setting'- ჰაიმსი 1972: 60) სამეტყველო ქმედების ძალზე მნიშვნელოვანი ნაწილია და განაპირობებს მოსაუბრის მიერ სტილის არჩევას. აქედან გამომდინარე, მოლაპარაკე ვალდებულია მიმართოს გარკვეული გარემოცვისათვის შესაფერის სტილს. ქორწილი ის სამეტყველო მოვლენაა, რომელიც ჩამოყალიბებული წესების მკაცრ დაცვას ითხოვს. ის მიეკუთვნება იმ სოციალური სიტუაციის სახეობას, რომელიც შეზღუდულია ყოფითი ნორმებით და მოითხოვს შესაფერისი მონაწილეების, ფიზიკური გარემოცვის, თემებისა და სტილის შერჩევას.

სადღეგრძელოები შეიძლება პირადი (personal) და ზოგადი (general) იყოს (ჰოლისკი, 1988:12). ტრადიციულ ინგლისურ ქორწილში სადღეგრძელოებს ამბობენ:

1. პატარძლის მშობელი (მამა) (Father of the Bride);
2. ნეფე (Groom);
3. ნეფის მეჯვარე (Best Man).

მათ მიერ წარმოთქმული სადღეგრძელოები კონკრეტული ადრესატისადმი მიმართული, და ამდენად, პირადი სადღეგრძელოების ჯგუფს მიეკუთვნებიან. ზოგადი სადღეგრძელოები კი, რომელთა წარმოთქმა ქართული საქორწილო სუფრისათვისაა დამახასიათებელი და თითქმის არ ითქმის ინგლისურ საქორწილო სუფრაზე, ფართო თემებს ეხება და იმპროვიზაციის საშუალებას იძლევა (მაგ., სიყვარულის, მეგობრობის, სამშობლოს სადღეგრძელო და სხვა).

საკმაოდ უჩვეულოა ინგლისურ საქორწილო სუფრაზე პატარძლის მიერ სადღეგრძელოს წარმოთქმა. უფრო მეტიც, ჩემი ინგლისელი ინფორმანტების უმეტესობამ ვერ გაიხსენა ტრადიციული ქორწილი, სადაც პატარძალი სადღეგრძელოს ამბობდა. იმ საქორწილო სუფრებს, სადაც დედოფალი ამბობს სადღეგრძელოს, „თანამედროვე ქორწილებს“<sup>86</sup> უწოდებენ. საქმე ისაა, რომ რადგან დღეს ბევრი ქორწილის ორგანიზება და დაფინანსება ხდება ნეფე-დედოფლის მიერ (და არა პატარძლის მშობლების მიერ, როგორც ეს იყო ტრადიციულად მიღებული), მათ შეუძლიათ გადაუხვიონ სადღეგრძელოს

<sup>86</sup> <http://www.finespeeches.com>

წარმოქმის ზოგიერთ ტრადიციულ წესს. ამდენად, დასაშვები ხდება დედოფლის მხრიდან სადღეგრძელოს წარმოქმა ინგლისურ საქორწილო სუფრაზე.

აღსანიშნავია, რომ მოცემულ დისერტაციაში შეუძლებლად მიმაჩნია ქართულ საქორწილო სუფრაზე წარმოქმული ყველა ტიპის სადღეგრძელოს განხილვა მათი მრავალფეროვნებისა და სიუხვის გამო. ამდენად, ტრადიციულ ინგლისურ სადღეგრძელოებთან ერთად (პატარძლის მამის, ნეფის და ნეფის მეჯვარის სადღეგრძელო), განხილული იქნება ქართულ საქორწილო სუფრაზე თამადის მიერ წარმოქმული ნეფე-დედოფლის, ნეფე-დედოფლის მშობლებისა და მეჯვარეების სადღეგრძელოები, რაც მიზნად ისახავს ინგლისური და ქართული საქორწილო სადღეგრძელოების თანაბარ სოციო-პრაგმატიკულ შეპირისპირებას.

ინგლისურ საქორწილო სუფრას ზოგადად წარმართავს ადამიანი, რომელსაც *Toastmaster* და აგრეთვე „ცერემონიის ორგანიზატორს“ (*Master of Ceremony*) უწოდებენ. შესაძლებელია მისი მოვალეობა არა ცალკე მოწვეულმა პიროვნებამ, არამედ ნეფის მეჯვარემ შეასრულოს. ცერემონიის ორგანიზატორს ბევრი სხვადასხვა ვალდებულება აკისრია, როგორცაა მოსული სტუმრების წარდგენა მასპინძლისათვის მათი სახელების წარმოთქმით, სტუმრებისთვის ადგილების შეთავაზება მასპინძელთან წარდგენის შემდეგ, სადღეგრძელოების წარმოთქმელთა გამოცხადება, მაგრამ მისი მოვალეობები განხვავდება იმ მოვალეობებისაგან, რომლებიც თამადას აკისრია საქართველოში. საქართველოში თამადა-სუფრის მეთაურია და მას ევალება სადღეგრძელოების წარმოთქმა და საქორწილო სუფრაზე სასიამოვნო გარემოს შექმნა. ის პირველი წარმოთქვამს სადღეგრძელოებს, რომელთაც განსაზღვრული სტრუქტურა და თანმიმდევრობა აქვთ, და შემდგომ სუფრის დანარჩენი წევრები უერთდებიან თამადის მიერ წარმოთქმულ სადღეგრძელოს. ასევე თამადა ალავერდს გადაადის თავის მოადგილესთან, რომელიც ანვითარებს თამადის მიერ შემოთავაზებულ სადღეგრძელოს. ქოქიაშვილი (ქოქიაშვილი 2005: 63) ქართულ სუფრაზე და თამადაზე წერს შემდეგს: „სუფრაზე მსხდომთათვის თამადის ყველა წარმოთქმული სადღეგრძელო, ყოველი მითითების შესრულება სავალდებულოდ ითვლება. სადაც ეს არ სრულდება, იქ სრული ანარქია, ქაოსია და სუფრას



თავისი სახე დაკარგული აქვს. აქედან გამომდინარე, თამაღისადმი მორჩილება და მოსმენა, სუფრის წევრთა მხრივ მთავარი, აუცილებელი პირობა იყო და არის“. ქართულ საქორწილო სუფრაზე თამაღას მასპინძელი ნეფის მხრიდან ნიშნავს, და, ჩვეულებისამებრ, ის მისი ნათესავი, მეგობარი ან მეზობელია. თამაღა პატივისცემაში, ტაქტიანი და მჭევრმეტყველი ადამიანი უნდა იყოს, რომელმაც კარგად იცის სუფრის წესი და რიგი. ქართულ სადღეგრძელოებში გამოიხატება პატივისცემა ქართული ტრადიციებისა და კულტურისადმი. უფრო მეტიც, ქართული სადღეგრძელოები ხშირად შეიცავენ ლექსებს, ანდაზებს, ისტორიულ ფაქტებსა და სიმღერებს, რაც არა მხოლოდ მეტად საინტერესოს და მრავალფეროვანს ხდის სადღეგრძელოს, არამედ დიდად ეხმარება უცხოელ სტუმრებს ქართველი ხალხის, ტრადიციებისა და კულტურის უკეთესად გაცნობაში. როგორც კოთხოფი (კოთხოფი 1995: 354) აცხადებს, ქართულ სადღეგრძელოებს „სიტყვის ხელოვნების“ (*verbal art*) ბევრი მახასიათებელი აქვს, რაც სუფრის წევრთა დაახლოებას ემსახურება.

ქართული სადღეგრძელოს უმთავრესი წესი მდგომარეობს იმაში, რომ მისი შინაარსი დადებითი შეფასებით იყოს გამსჭვალული. დაუშვებელია ადამიანების მკაცრი შეფასება ან გაკრიტიკება, რადგან სუფრა ემსახურება ღონისძიებაში მონაწილეების დაახლოებას კეთილი სიტყვების წარმოთქმის მეშვეობით. როგორც ჰოლისკი (ჰოლისკი 1988: 18) აცხადებს: „აუცილებელია ადამიანს ჰქონდეს ნიჭი პირადი ქართული სადღეგრძელოების წარმოთქმაში, რადგან თქვენ არ გაქვთ უფლება რამე უარყოფითი თქვათ სხვაზე. რაღაც დადებითი სათქმელი უნდა მოიძებნოს ყველა ადამიანზე, და, რაც უფრო ძნელია, სხვადასხვა დადებითი რამ უნდა ითქვას სუფრის თითოეულ წევრზე, რაც ამ ადამიანის განსაკუთრებულობის შეგრძნებას ბადებს“. უნდა აღინიშნოს, რომ ადრესატის დღეგრძელობისას, გამომსვლელი ახორციელებს დალოცვის ილოკუციურ აქტს, რომლის პერლოკუციური ეფექტი არის მსმენელის მადლიერება მოლაპარაკისადმი და მისი სურვილი დაამტკიცოს, რომ ის ნამდვილად იმსახურებს მისდამი წარმოთქმულ ქებას და კეთილ სიტყვებს. ამრიგად, სადღეგრძელოს დიდი სოციალური და ფსიქოლოგიური დატვირთვა აქვს, რადგან, როდესაც ადამიანი დაფასებას გრძნობს სხვა ადამიანების მხრიდან, ის ცდილობს გაამართლოს მისდამი გამოთქმული დადებითი შეფასებები.

საქართველოში სადღეგრძელოები ძალზე დიდ როლს თამაშობენ პირადი კომუნიკაციის თვალსაზრისით და ისინი „დადებითი თავაზიანობის“ („ჩართვის“) მაგალითებს წარმოადგენენ.

როგორც ჩვენთვის უკვე ცნობილია, პირველ სადღეგრძელოს ინგლისურ ქორწილში პატარძლის მშობელი წარმოთქვამს. თავის სადღეგრძელოში იგი უნდა მიესალმოს სტუმრებს, ნეფის მშობლებს და მადლობა გადაუხადოს მათ მობრძანებისათვის, რამდენიმე სიტყვა თქვას ან რამე ისტორია მოყვეს თავისი ქალიშვილის და ნეფის შესახებ და ილაპარაკოს მათ მიღწევებსა და დადებით თვისებებზე. ოსტინის (ოსტინი 1962: 159) თანახმად, ზმნა 'to toast' არის პერფორმატიული ზმნა და მიეკუთვნება ბიჰებიტივების ჯგუფს. ინგლისურ საქორწილო სადღეგრძელოებში ხშირად ისეთი სახის პერფორმატივებიც შეიძლება შევხვდეს, როგორცაა 'welcome' და 'thank', მაგალითად, ერთ-ერთ სადღეგრძელოში პატარძლის მამა შემდეგნაირად მიმართავს სტუმრებს:

*Therefore, on behalf of Rosy and myself, Michael and Beverly, Adam and Gemma, we would like to welcome you all and thank you very much for sharing this special day with us.*<sup>87</sup>

მოცემული სიტყვებით მოლაპარაკე ახორციელებს „მისაღმების“ და „მადლობის გადახდის“ ორ სამეტყველო აქტს, ხოლო საქართველოში თამადამ სადღეგრძელო შეიძლება ასეთი სიტყვებით დაიწყოს: „*მინდა სულით და გულით ვადღეგრძელო ეს შესანიშნავი წყვილი*“, სადაც თამადა პერფორმატიულ გამონათქვამს „*მინდა ვადღეგრძელო*“ მიმართავს. ამავე დროს, იმისათვის, რომ პერფორმატიული გამონათქვამი წარმატებული იყოს, ის უნდა აკმაყოფილებდეს „იღბლიანობის პირობებს“. პირველ რიგში, მონაწილეები და პირობები შესაფერისი უნდა იყოს მოქმედებების წარმატებულად განხორციელებისათვის, მაგალითად თუ ქორწილში ერთ-ერთი სტუმრარი და არა ოჯახის წევრი წარმოთქვამს წინადადებას 'I would like to welcome you into the family', ის წარუმატებელი იქნება. ამავე დროს '...we would like to welcome you all and thank you very much for sharing this special day with us'. აგრეთვე უნდა შეესაბამებოდეს „იღბლიანობის პირობებს“, რომლებიც ითხოვენ შესაფერის ფიქრებს და გრძნობებს მოლაპარაკისაგან, ანუ მოქმედის გულწრფელობას. უფრო მეტიც,

<sup>87</sup> [http://www.youtube.com/watch?v=xy7NR1\\_1\\_KU](http://www.youtube.com/watch?v=xy7NR1_1_KU)

‘welcome’ და ‘thank’ ილოკუციური აქტების მაგალითს წარმოადგენს, ანუ იმას თუ რა არის მოლაპარაკის განზრახვა ამა თუ იმ გამონათქვამის წარმოთქმისას.

თავის სადღეგრძელოში, პატარძლის მშობელი ხშირად აძლევს რჩევას ან ნეფეს ან წყვილს ერთად. ეს რჩევა ხშირად ხუმრობის ფორმას ატარებს, მაგ:

*‘According to Charlton Heston, the key to a long and happy marriage, Jeff, is to remember these three little words, ‘I was wrong’*<sup>88</sup>

რჩევა-ხუმრობა შეიძლება ასეთიც იყოს:

*‘Now, according to tradition, I am supposed to give Adam some advice on marriage. I’d better read this as I am still mastering this. Apparently, marriage will teach you loyalty, self-restraint, obedience and apparently you will develop a sense of ‘fair play’ and many, many other qualities, which you would not need if you stayed single. Well, bit of things to keep in mind: support each other. Marriage is like wine, it gets better with age’.*<sup>89</sup>

გამომსვლელის სიტყვები საინტერესოა იმიტომაც, რომ მათში ნახსენებია ფრაზა „სამართლიანი თამაში“ (‘fair play’), რაც ინგლისელებში ძალიან ხშირად ითქმის. ფოქსის (ფოქსი 2004: 407) თანახმად, „სამართლიანი თამაშის“ პრინციპის დარღვევა ყველაზე დიდ შეშფოთებას იწვევს ინგლისელებში, რადგან ირღვევა ცნება იმის შესახებ, რომ ნებისმიერ ადამიანს ყველაფერში უნდა ჰქონდეს თანაბარი შანსი და მისგან, ამავედროულად, პატიოსან საქციელს მოელიან. ავტორის მტკიცებით, „სამართლიანი თამაშის“ წესების დაცვა ინგლისელების დაუწერელი ეტიკეტის მთავარ თემას წარმოადგენს და ეს წესები ნამდვილად არ შემოიფარგლება სპორტის და თამაშების წესების დაცვით. ის, რომ პატარძლის მშობელი უსურვებს ნეფეს „სამართლიანი თამაშის“ შეგრძნების გამომუშავებას, კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ინგლისელებისათვის ამ წესის დაცვა.

ქართულ სადღეგრძელოში კი თამადამ შეიძლება ასეთი რჩევა მისცეს ახალდაქორწინებულებს:

*„გაუფრთხილდით ერთმანეთს და წინ ველარაფერი დაუდგება თქვენს ბედნიერებას“* (ქინქლაძე 2000: 9).

<sup>88</sup> [http://www.hitched.co.uk/speeches/examples/sp\\_examples.asp?id=18&num=50](http://www.hitched.co.uk/speeches/examples/sp_examples.asp?id=18&num=50)

<sup>89</sup> [http://www.youtube.com/watch?v=xy7NR1\\_I\\_KU](http://www.youtube.com/watch?v=xy7NR1_I_KU)

როგორც წესი, ინგლისურ ქორწილში პატარძლის მამის სადღეგრძელო იუმორითაა აღსავსე და მასში ის უმხელს ნეფესა და დამსწრე აუდიტორიას მისი ქალიშვილის „საიდუმლოებებს“ ან „ცოდვებს“. მოლაპარაკეს შეუძლია გაიხსენოს რამდენიმე სასაცილო ამბავი პატარძლის ბავშვობიდან და გაუზიაროს ისინი სტუმრებს, რათა უფრო მეგობრული ატმოსფერო შეიქმნას წვეულებაზე.

უნდა ითქვას, რომ ინგლისური სადღეგრძელო, რომელიც წარმოითქმის საქორწილო სუფრაზე (განსაკუთრებით კი ტრადიციულ სუფრაზე), უნდა ემყარებოდეს შემდეგ წესებს:

1. ძალიან ბევრი არ ილაპარაკოთ. მოკლედ წარმოთქვით თქვენი სადღეგრძელო ქორწილში, ის 5-7 წუთი უნდა გრძელდებოდეს;
2. თქვენს სადღეგრძელოს პოზიტიური განწყობა უნდა ჰქონდეს.
3. პირადი ამბები მოკლედ უნდა მოყვეთ.<sup>90</sup>

მოცემული წესები გარკვეულწილად გრაისის (გრაისი 1975) კოოპერაციის პრინციპის მაქსიმუმს გვაგონებს იმით, რომ ადამიანი უნდა იყოს იმდენად იმფორმაციული, რამდენადაც საჭიროა, უნდა ილაპარაკოს მოკლედ და თანმიმდევრულად. ამავედროულად მოლაპარაკის სადღეგრძელოს დადებითი შინაარსი უნდა ჰქონდეს. ზოგჯერ გულწრფელობას შეუძლია სხვა ადამიანის წყენა გამოიწვიოს და მოლაპარაკის „სახის დაკარგვის“ (ბრაუნი და ლევენსონი 1987: 61) მიზეზი გახდეს. როგორც ითქვა, საქორწილო სადღეგრძელოები შეიძლება განიხილებოდეს, როგორც „დადებითი თავაზიანობის“ („ჩართვის“) მაგალითები, რადგან ისინი ხელს უწყობენ თბილ სოციალურ ურთიერთობას მოლაპარაკესა და აუდიტორიას შორის „დადებითი თავაზიანობის“ ისეთი სტრატეგიების გამოყენების საშუალებით, როგორცაა ხუმრობები, პირადი ამბები და მიმართვის ისეთი ფორმები, რომლებიც მოსაუბრეებს შორის არსებულ სოლიდარობაზე მიუთითებენ (მაგ.: *Jane, John, თემური, ეთერი*) და სხვა.

სადღეგრძელოს წარმოთქმისას, პატარძლის მამას არ უნდა დაავიწყდეს მადლობის გადახდა სტუმრებისთვის მათი ქორწილში მობრძანების გამო, მაგ.:<sup>91</sup>

<sup>90</sup> [http://www.topweddingsites.com/wedding\\_speeches\\_wedding\\_toasts.html](http://www.topweddingsites.com/wedding_speeches_wedding_toasts.html)

<sup>91</sup> <http://www.youtube.com/watch?v=Ee1W7s-WHM&feature=related>

*'On behalf of Mary and myself, and of course Jill and Keith, we want to thank all of you for being here'.*

ზმნა *'thank'* აგრეთვე მიეკუთვნება ბიჰებიტივების ჯგუფს ოსტინის კლასიფიკაციაში და გამოხატავს მასპინძლის მადლიერებას სტუმრებისადმი მათი მობრძანებისათვის.

საქართველოში კი თამადამ შეიძლება ასეთი სიტყვებით გადაუხადოს სტუმრებს მადლობა მობრძანებისათვის:

*„ძალიან დიდი მადლობა მინდა ვითხრათ იმისათვის, რომ მობრძანდით. ჩვენს შეხვედრას გაუმარჯოს“.*<sup>92</sup>

ერთ ერთ ინგლისურ სადღეგრძელოში პატარძლის მამა აცხადებს:

*'Mary and I can rejoice that the second of our daughters has made a match with her Mr. Right'.* (პიტონი და სტრეჩი 2004: 209).

რითაც ის სიძეს დადებითად აფასებს.

ინგლისურ სადღეგრძელოებში პატარძლის მამა ხშირად ეუბნება ნევეს კომპლიმენტებს, როგორცაა მაგ.:

*'Adam is the son to be proud of and we are delighted to call him our son-in-law and welcome him into our family'.*<sup>93</sup>

კომპლიმენტი შეიძლება შევადაროთ ლიჩის (ლიჩი 1983) აპრობაციის მაქსიმას, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მოლაპარაკე „დადებითი თავაზიანობის“ სტრატეგიებს მიმართავს თავის სადღეგრძელოში.

ჩემს მიერ განხილულ ერთ-ერთ ინგლისურ სადღეგრძელოში პატარძლის მამა ასეთ სიტყვებს ამბობს:

*'When Debbie and Jason stood together earlier and she spoke those magic words 'I do', I had cause to reflect that it was one of the few times in her life that she agreed to something without questions'.*<sup>94</sup>

ზოგ ადამიანს ასეთი სახის გამონათქვამი ხუმრობად მოეჩვენება, ზოგს კი არა. მეორე შესაძლებლობის თავიდან ასაცილებლად, რაც შეიძლება მოლაპარაკის „სახის შეღახვის“ მიზეზი გახდეს, გამომსვლელი მაშინვე მიმართავს შერბილების სტრატეგიებს და ხუმრობით წარმოთქვამს:

<sup>92</sup> თამადა- ომარ კაჭარავა, თამილა ავაქიძის და გიორგი ჟვანიას ქორწილი. 16.07.2000

<sup>93</sup> [http://www.youtube.com/watch?v=xy7NR1\\_1\\_KU](http://www.youtube.com/watch?v=xy7NR1_1_KU)

<sup>94</sup> [http://www.hitched.co.uk/speeches/examples/sp\\_examples.asp?id=593num=2](http://www.hitched.co.uk/speeches/examples/sp_examples.asp?id=593num=2)

*'Don't get me too wrong, Debbie was a wonderful and obedient child- if worth a bit of prompting. Actually, Debbie has a long list of qualities, but I can't decipher her handwriting, at this time. Seriously though, for those of you who don't know Debbie very well, I can tell you that she is a daughter to be more than proud of'.*

თავისი ქალიშვილის შექების და კომპლიმენტის საშუალებით, განსაკუთრებით ხაზგასმით „სერიოზულად რომ ვთქვათ“ (seriously though), პატარძლის მამას სურს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მის „ნამდვილ“ შეფასებას, და ამით თავიდან აიცილოს „სახის შელახვის აქტი“, და, ამავე დროს, იყოს დარწმუნებული იმაში, რომ აუდიტორია კმაყოფილი დარჩა მის მიერ წარმოთქმული სადღეგრძელოთი და ხუმრობით. ზივი (ზივი 1984, ნორიკში 1993: 146) ხაზგასმით აღნიშნავს იუმორის როლს, როგორც ადამიანთა შორის ურთიერთობის დაწყების და განვითარების საშუალებას, რაც საჭიროებს „ზიარი ცოდნის“ არსებობას და ავიწროვებს სოციალურ დისტანციას.

თავის სადღეგრძელოში პატარძლის მამა ხშირად იხსენებს გარდაცვლილ ადამიანებს, მაგ.:

*'I would like to mention my dad, who doted on his grand-daughter and would not have wanted to miss this occasion for the world. I'm sure he's looking down on us as I speak'<sup>95</sup>*

ან

*'We must also spare a thought on this special day for Debbie's grandfather. We are all very sad that Brian is not here with us this afternoon to see the first of his grandchildren getting married- we all do miss him, but I am sure he is watching down on us and is very proud and happy for Debbie today'<sup>96</sup>,*

რითაც ის პატივს სცემს პატარძლის ბაბუის ხსოვნას.

ინგლისურ სადღეგრძელოში მოლაპარაკის მიერ წარმოთქმულ კომპლიმენტს აგრეთვე შესაძლებელია დალოცვის ფორმაც ჰქონდეს, მაგ:

*'I'll say, I hope your married life will be as happy as my wife has made my own. For it's a good wife that makes a good marriage –and that's just what Jason has managed to find'.<sup>97</sup>*

როგორც გოფმანი (გოფმანი 1967) აცხადებს, კომპლიმენტები „წარდგენის რიტუალებს“ მიეკუთვნებიან, და გამოხატავენ სიმპათიას ამა თუ იმ ადამიანის

<sup>95</sup> [http://www.hitched.co.uk.speeches/examples/sp\\_examples.asp?id=593num=1](http://www.hitched.co.uk.speeches/examples/sp_examples.asp?id=593num=1)

<sup>96</sup> [http://www.hitched.co.uk.speeches/examples/sp\\_examples.asp?id=593num=2](http://www.hitched.co.uk.speeches/examples/sp_examples.asp?id=593num=2)

<sup>97</sup> [http://www.hitched.co.uk.speeches/examples/sp\\_examples.asp?id=593num=2](http://www.hitched.co.uk.speeches/examples/sp_examples.asp?id=593num=2)

მიმართ. უნდა აღინიშნოს, რომ ზემომოყვანილ მაგალითში მასპინძელი კომლიმენტს უძღვნის არა მხოლოდ თავის ქალიშვილს, არამედ თავის მეუღლესაც, რითაც გამოიხატება მისი დამოკიდებულება ამ ორი ადრესატისადმი.

მოწოდება შეისვას ახალდაქორწინებულების სადღეგრძელო, რომელიც წარმოითქმის ინგლისური სადღეგრძელოს დასკვნით ნაწილში, როგორც წესი, თხოვნის ფორმას ატარებს, ხშირად პერფორმატიული ზმნის 'ask' გამოყენებით, რომელსაც ოსტინი ექსპოზიტივად მიიჩნევდა, ხოლო სერლი კომისივად.

ხშირად ზმნას 'ask' დაერთვის სიტყვა 'please' რაც სტუმარზე ნაკლებ ზეგავლენას ახდენს თხოვნის წარმოთქმის დროს, მაგ:

*'I will simply ask you now please to stand and join with me in the traditional toast. Here is to the health and happiness of Jane and John'* (ჰიტონი და სტრეჩი 2004: 195).

ან სადღეგრძელოს დასრულება შემდეგი სახის შეიძლება იყოს:

*'Ladies and Gentlemen, will you drink with me to the future happiness of Jane and John'* (ჰიტონი და სტრეჩი 2004: 199).

მოცემული გამონათქვამი შეგვიძლია განვიხილოთ როგორც სერლის მიერ შემოთავაზებული ირიბი სამეტყველო აქტის მაგალითი. უნდა ითქვას ისიც, რომ პატარძლის მშობელი მიმართავს სხვადასხვა სახის გამონათქვამს, რათა სტუმრებმა შესვან ნეფე-დედოფლის სადღეგრძელო, მაგრამ ყველა ეს გამონათქვამი თხოვნის ფორმას ატარებს.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ თუ, გარკვეული მიზეზის გამო, ინგლისში პატარძლის მამა ვერ ესწრება ქალიშვილის ქორწილს, მის მოვალეობას ოჯახის ახლო ნათესავი, მაგალითად პატარძილს ბაბუა, ასრულებს და მან შეიძლება გამოსვლის დასაწყისში შემდეგი სიტყვები წარმოთქვას:

*'It's difficult for me to say that it's a pleasure to make this speech. Frank's unfortunate illness has deprived him of this'* (ჰიტონი და სტრეჩი 2004: 221),

რითაც გამომსვლელს სურს გამოხატოს თუ რამდენად წუხს იმის გამო, რომ მისი ვაჟი ვერ ასრულებს თავის საპატიო მოვალეობას საქორწილო სუფრაზე.

ინგლისური საქორწილო ეტიკეტის მიხედვით, შემდეგ ტრადიციულ სადღეგრძელოს ამბობს ნეფე, რომლის ძირითადი ვალდებულება პატარძლის მეჯვარის (მეჯვარეების) დალოცვაა. გარდა ამისა, ის საკუთარი და თავისი



მეუღლის სახელით პასუხობს პატარძლის მამის მიერ წარმოთქმულ სადღეგრძელოს და მადლობას უხდის პატარძლის მშობლებს ქორწილის მოწყობაში გაწეული დახმარებისათვის, მაგ.:

*'I'd like to thank a few people in particular. Firstly, Susanna and Sam for their support and assistance in helping us organize this magnificent wedding. Both of you have openly welcomed me into your family, and you've been most generous, so I thank you for that'.<sup>98</sup>*

და ის ასევე, როგორც წესი, მადლობას უხდის თავის მშობლებს სიყვარულისა და მხარდაჭერისათვის, მაგ.:

*'I would like to thank my parents for the advice they had given me, for putting up with me and for pointing me in the right direction',<sup>99</sup>*

აბ

*'Thanks also to my own parents for the unconditional love and support they have shown for all my life and particularly leading up to this wedding day. I know that you are very happy to welcome Taley into our family. I am truly lucky to come from a stable and loving family, who has always been able to provide advice and assistance, but equally you have given me the freedom to make my own decisions and lead my own life. It's such an environment that I'd like to build and have in the family that Taley and I will create'.<sup>100</sup>*

აღსანიშნავია, რომ ნეფე თავის სიტყვაში არა მხოლოდ მადლობას უხდის მშობლებს მათი სიყვარულისა და მხარაჭერისათვის, არამედ ქათინაურებსაც ეუბნება მათ, და ეს გასნაკუთრებულად ვლინდება ნეფის სურვილში თავისი ოჯახი საკუთარი მშობლების ოჯახის მაგალითზე ააგოს. ნეფე ასევე მადლიერებას გამოხატავს მშობლებისადმი მისი მეუღლის თბილი მიღებისათვის.

იმ შემთხვევაში, თუ ნეფეს მშობელი გარდაცვლილი ჰყავს, ის თავის სადღეგრძელოში მოიხსენიებს მას, მაგ.:

*'And lastly I want to thank my dad. A few days before he died, I told him that I was going to propose to Kelly and I saw that he was very pleased and despite his great pain and suffering, he managed to show his approval. I have been wondering what words of advice he would give me today, but then I think back to all the examples he had unintentionally showed me how the man*

<sup>98</sup> [http://www.youtube.com/watch?v=mPi\\_4neJCOM&feature=related](http://www.youtube.com/watch?v=mPi_4neJCOM&feature=related)

<sup>99</sup> [http://www.hitched.co.uk/speeches/examples/sp\\_examples.asp?id=424&num=1](http://www.hitched.co.uk/speeches/examples/sp_examples.asp?id=424&num=1)

<sup>100</sup> [http://www.youtube.com/watch?v=mPi\\_4neJCOM&feature=related](http://www.youtube.com/watch?v=mPi_4neJCOM&feature=related)



*should treat his wife, and my mom's love and devotion to him right to the end proves to me that he was doing it exactly right. So I am indebted to him for that'.<sup>101</sup>*

საგულისხმოა, რომ ნეფის მიერ წარმოთქმული სადღეგრძელოების გაანალიზებისას, შევამჩნიე, რომ ზოგჯერ ნეფე პირობას აძლევს თავისი მეუღლის მშობლებს მათთვის მადლობის გადახდის დროს. პირობა შეიძლება შემდეგი სახის იყოს:

*'Bobbie and Steve, I would like to thank you so much for everything you have done and for welcoming me so openly in your family. I feel very proud to be able to say that I am your son-in-law and I will always do my best to live up to your expectations and promise to take care of Marcella...and of course do everything she tells me to do...now, I'm not saying that she's bossy...but I know my place!'<sup>102</sup>*

როგორც ვხედავთ, დაპირებას ხუმრობა მოჰყვა, რომლის დანიშნულება საზოგადოებაში უფრო მხიარული განწყობის შექმნაა. ბევრი სიძე თავის სადღეგრძელოში საზგასმით აღნიშნავს, რომ მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა „გამხეღიღმა საიდუმლოებებმა“ მისი მეუღლის შესახებ, მაგ.:

*'First of all, on behalf of Jane as well as myself, I would like to thank Jane's dad for all the nice wishes for us that he's expressed. It was interesting for me listening to him, because I've learned a lot more about Jane than I ever knew before. It's given me food for thought'* (ჰიტონი და სტრეჩი 2004: 228),

ხოლო სხვა ნეფემ შემდეგი სიტყვებით გადაუხადა მადლობა პატარძლის მამას:

*'I would like to thank Jane's father for his kind warnings to me about what I might expect from Jane in our married life'* (ჰიტონი და სტრეჩი 2004: 249).

შესაძლოა სიძემ ქათინაური უთხრას პატარძლის მშობლებს ასეთი კარგი ქალიშვილის გაზრდისათვის:

*'To Sharon and Chak! I love Sarah for her natural qualities. You have produced my most lovable person of all, and that says quite a lot about you'.<sup>103</sup>*

<sup>101</sup> [http://www.youtube.com/watch?v=QDvmx9B\\_Q7E&feature=related](http://www.youtube.com/watch?v=QDvmx9B_Q7E&feature=related)

<sup>102</sup> [http://www.hitched.co.uk/speeches/examples/sp\\_examples.asp?id=424&num=1](http://www.hitched.co.uk/speeches/examples/sp_examples.asp?id=424&num=1)

<sup>103</sup> [http://www.youtube.com/watch?v=hA\\_pePCRvNnA&feature=related](http://www.youtube.com/watch?v=hA_pePCRvNnA&feature=related)

ასევე აღსანიშნავია, რომ სიძე სახელებით მიმართავს თავისი მეუღლის მშობლებს (შარონი და ჩაკი) და ამით „დადებითი თავაზიანობის“ სტრატეგიას იყენებს.

როგორც წესი, ნეფე ადღეგრძელებს ახლო მეგობრებსა და ნათესავებს ყურადღებისათვის და კეთილი სურვილებისათვის და შემდეგ თბილი სიტყვებით მიმართავს თავის მეუღლეს, მაგ.:

*'Speaking for myself now, I thank my beautiful Taley for being my wife. I am sure you will agree that she looks gorgeous tonight. Over last four years our love has grown in depth and intensity and I trust this will continue to grow and deepen over the course of our lives together enriched by the experiences that we share'.<sup>104</sup>*

ასევე ნეფის სადღეგრძელო დედოფლისადმი შეიძლება ასეთი შინაარსის იყოს:

*'Marcella, you really have made me the happiest and proudest man alive today by saying 'I will' and I can't wait to tell you that you are now Mrs Lord, at every opportunity'.<sup>105</sup>*

ზოგიერთ სადღეგრძელოში ნეფე აგრეთვე მადლობას უხდის თავის მეჯვარეს მეჯვარეობაზე თანხმობისათვის, და ხშირად სამადლობელო სიტყვას ხუმრობაც მოჰყვება, მაგ.:

*"I would like to thank Ken for the way he has carried out his best man offices. He has afforded me, for one, considerable amusement and I thank him sincerely... Well, we know a best man can get confused, because it's not something he does every day, but I mean, when the vicar asked, 'Wilt thou have this man to thy wedded husband...?' and Ken said, 'Yes', I thought it was a bit too much...It's a good job it wasn't the first wedding that the vicar had ever conducted, otherwise he might have been thrown off course' (ჰიტონი და სტრეჩი, 2004: 228).*

თუ განვიხილავთ ამ ისტორიას ოსტინის „იღბლიანობის პირობების“ თვალსაზრისით, დავინახავთ, რომ ის საშიშროება, რომელზედაც ნეფე ლაპარაკობდა, არის „უიღბლობა“ რომელიც გამოწვეულია „იღბლიანობის პირობების“ წესების დარღვევით, ანუ პროცედურა უნდა იყოს სწორად შესრულებული, განსაზღვრულ პირობებში უფლებამოსილ ადამიანთა მიერ გარკვეული სიტყვების წარმოთქმით, რაც დარღვეული იყო ნეფის მეჯვარის მხრიდან. უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ხუმრობისას, ადამიანი ხშირად არღვევს გრაისის მაქსიმუმს (რაოდენობის, მანერის), როდესაც ცდილობს სტუმრებისთვის

<sup>104</sup> [http://www.youtube.com/watch?v=mPi\\_4neJCOM&feature=related](http://www.youtube.com/watch?v=mPi_4neJCOM&feature=related)

<sup>105</sup> [http://www.hitched.co.uk/speeches/examples/sp\\_examples.asp?id=424&num=1](http://www.hitched.co.uk/speeches/examples/sp_examples.asp?id=424&num=1)

მოვლენის მთლიანი სურათის დახატვას. ლაკოფი (ლაკოფი 1982, ნორიკში 1993: 155) ჩვეულებრივ საუბარში იუმორს გრაისის „მანერის მაქსიმის“ დასაშვებ დარღვევას უწოდებს, და მას (იუმორს) სიტყვაუხვობის პირობით სახეობად მიიხსენებს.

აღსანიშნავია, რომ თუმცა სადღეგრძელოები, ჩვეულებისამებრ, მონოლოგის ფორმას ატარებენ, მიმაჩნია, რომ ისინი შეიძლება განვიხილოთ როგორც დიალოგი, ანუ საუბარი გამომსვლელსა და აუდიტორიას (სტუმრებს) შორის. მაგრამ მანამდე მინდა გავამახვილო ყურადღება ნეფის სადღეგრძელოს კიდევ რამდენიმე განსაკუთრებულ თვისებაზე. პირველ რიგში, ეს ეხება „გამყოფ კითხვებს“ (tag questions), რაც ხშირად ნეფისა და სხვა მამაკაცების ინგლისურ საქორწილო სადღეგრძელოებში შემხვდა, მაგ.:

*'Now, Jane, you thought you knew all the 'thank yous' that were going into my speech, didn't you?'* (ჰიტონი და სტრეჩი 2004: 234).

ასეთი სახის კითხვები ჩვეულებისამებრ განიხილება როგორც მერყეობის, დაურწმუნებლობის გამოხატვა. ლაკოფი (ლაკოფი 1973 უესტში 1997: 128) საუბარში ასეთი შეკითხვების გამოყენებას „ქალურ ენას“ უწოდებს ენას რომელიც თავს არიდებს პირდაპირ და ძლიერ განცხადებებს და ეფუძნება მერყეობისა და დაურწმუნებლობის ფორმებს. სინამდვილეში, ასეთი კითხვები მამაკაცებისთვისაცაა დამახასიათებელი. ლაკოფის განცხადების საპირისპიროდ იმის თაობაზე, რომ მხოლოდ ქალები მიმართავენ ამ ტიპის შეკითხვებს, რათა ხაზი გაუსვან თავიანთი მოსაზრებების მერყეობას, ჰოლმსი (ჰოლმსი 1990) აცხადებს, რომ მამაკაცებიც ბევრ ასეთ კითხვას იშველიებენ და, ჩემი აზრით, ინგლისური საქორწილო სადღეგრძელოები ამის დასტურია. სადღეგრძელოში მოცემული კითხვები გამოიყენება მოლაპარაკის განცხადებაზე რეაქციის მისაღებად, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ სადღეგრძელო არა მონოლოგის, არამედ დიალოგის ფორმას ატარებს.

პატარძლის მეჯვარეების დღეგრძელობისას, სიძე, როგორც წესი, პირველ რიგში რამდენიმე სიტყვას ამბობს მათ შესახებ, რაც კომპლიმენტის სახითაა გამოხატული, მაგ.:

*'There is one more party for special mention. They're shining away in their glory like little glow-worms. They are reserved till last because I'm privileged to propose a toast to them after*

*thanking them, as I do, for being our bridesmaids and for conducting themselves so beautifully. Ladies and gentlemen, I would like to finish now on that note. Would you please stand and join me in the toast to the bridesmaids'* (ჰიტონი და სტრეჩი 2004: 235).

ამ მოწოდებით ნეფე ასრულებს თავის სადღეგრძელოს.

მესამე სადღეგრძელოს ინგლისურ ქორწილში სიძის მეჯვარე ამბობს. მან უნდა უპასუხოს ნეფის მიერ წარმოთქმულ სადღეგრძელოს პატარძლის მეჯვარეების სახელით, ადღეგრძელოს ნეფე-დედოფალი და აგრეთვე წაიკითხოს დეპეშები, ბარათები და ელექტრონული ფოსტით გამოგზავნილი წერილები, რომლებიც იმ ხალხის მიერ იქნა გამოგზავნილი, ვინც ვერ შეძლო ქორწილში მისვლა. შემდეგ ნეფის მეჯვარის მოვალეობაა იუმორით ისაუბროს სიძის შესახებ. სიძის ერთ-ერთმა მეჯვარემ სადღეგრძელოს დასაწყისში თქვა:

*'I hope still to be friends at the end of the speech'.*<sup>106</sup>

ეს სიტყვები ხუმრობას ჰგავს, მაგრამ აქ მართლაც რეალური საფრთხე არსებობს. ნეფის მეჯვარის სიტყვა ყველაზე საინტერესო და იუმორისტული უნდა იყოს, მაგრამ, ამავე დროს, ხუმრობებს არასდროს არ უნდა ჰქონდეთ ნეგატიური ან შეურაცხყოფელი ელფერი და მისი გამოსვლა არ უნდა იყოს ორაზროვანი. სიძის მეჯვარის მთავარი დანიშნულებაა - ნათელი მოჰფინოს სიძის უცნობ მხარეებს, გაუმხილოს აუდიტორიას მისი უცნაური ან სულელური საქციელი და „უხერხულ მდგომარეობაში“ ჩააგდოს იგი, მაგ.:

*'The very fact of John's anxiety prompted me into thinking of the shadier things about him that would hopefully be a shock to Jane and her family. So where to start? Schooldays? That was difficult because there weren't many of them. He'd be away from school for three weeks and then tell them he'd been to the dentist's. The headmaster wanted him to claim a place in the Guinness Book of Records for having the largest number of dental fillings'* (ჰიტონი და სტრეჩი 2004: 255-256).

უნდა ითქვას, რომ სიცილი, როგორც რეაქცია ხუმრობაზე, ერთ-ერთ შემფასებელ ნიშანს წარმოადგენს, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ გამომსვლელის სიტყვები გაგებულია და დადებითადაა შეფასებული სტუმრების მიერ. სამწუხაროდ, არსებობს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ხუმრობა შეურაცხყოფად არის მიღებული და გაუგებრობას იწვევს. მოსალოდნელ

<sup>106</sup> [http://www.hitched.co.uk/speeches/examples/sp\\_examples.asp?id=504&num=3](http://www.hitched.co.uk/speeches/examples/sp_examples.asp?id=504&num=3)

სიცილს, რომელიც ჩვეულებისამებრ განიხილება, როგორც წარმატებისა და დადებითი შეფასების ნიშანი, ცვლის სიხუმე, რაც ძალზე აშკარა ხდება მოლაპარაკისათვის. უეცარი სიხუმე მიუთითებს იმაზე, რომ გამომსვლელს „სახის შელახვის“ რეალური საშიშროება ემუქრება, ამ შემთხვევაში სიძის მეჯვარის „სახე“ დგას საფრთხის წინაშე. ჩემი ინგლისელი ლინგვისტური ინფორმანტებისაგან შევიტყვე, რომ ერთ-ერთი ყველაზე ხშირი შეცდომა, რომელსაც სიძის მეჯვარეები უშვებენ თავიანთ ხუმრობებში, ეხება დაქორწინებამდე ნეფის ურთიერთობას სხვა ქალბატონთან. მაგრამ ზოგიერთი ნეფის მეჯვარის სიტყვა მაინც შეიძლება შეიცავდეს ხუმრობებს ქალბატონების სახელების გამოყენებით, მაგ.:

*'I met Rob in the first term of University. We shared the same halls of residence and studied hard for the same degree. Okay, so we were enrolled on the same degree course. We didn't know Sally in the first twelve months, but that's not to say Rob had no love interest at all. He was absolutely bowled with Stella when I first met him and had a particular fondness for Sherry. That being said he did not play the field...Carlsberg, Whiskey, Gin and Tenant Extra too...-he loved them all'.<sup>107</sup>*

როგორც ვხედავთ, სიძის მეჯვარე მიმართავს სიტყვების თამაშს (საკუთარი სახელების გამოყენებით), ცდილობს რა სიძის „დიდი საიდუმლო“ გაუმხილოს დამსწრე საზოგადოებას. თავდაპირველად, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოსდა საუბარი ორივე მეგობრისთვის ნაცნობ ქალბატონებზეა, რომლებსაც ნეფე უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ხვდებოდა, ხოლო შემდგომში ირკვევა, რომ ნეფე, როგორც სასმელის დიდი მოყვარული იქნა მხილებული სტუმრების წინაშე. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთმა ჩემმა ინგლისელმა ინფორმანტმა ნეფის მეჯვარის როლი აღწერა, როგორც „ძალიან სარისკო და საპასუხისმგებლო, რადგან არასდროს არ იცო, თუ როგორ რეაქციას და ინტერპრეტაციას მიიღებს შენი ხუმრობა დამსწრე საზოგადოებაში. შესაბამისად, ნეფის მეჯვარე უნდა იყოს ადამიანი, რომელსაც ტაქტი, იუმორის გრძნობა და მჭევრმეტყველება ახასიათებს“.

ამგვარად, ხუმრობას ორი სახის რეაქცია მოსდევს: დადებითი, რომელიც სიცილით გამოიხატება, და უარყოფითი, რომლისთვისაც სიხუმეა

<sup>107</sup> [http://www.hitched.co.uk.speeches/examples/sp\\_examples.asp?id=139&num=1](http://www.hitched.co.uk.speeches/examples/sp_examples.asp?id=139&num=1)

დამახასიათებელი, რაც შექმნილი უხერხულობის ნიშანია. შეიძლება ითქვას, რომ ხუმრობა და მას მოყოლებული სიცილი (სიხუმე) არის „მეზობლური წყვილის“ ორი ნაწილი. ამრიგად, საქორწილო სადღეგრძელო შეიძლება განვიხილოთ არა როგორც მონოლოგი, სადაც აუდიტორია პასიურ როლს თამაშობს, არამედ როგორც დიალოგი მოლაპარაკესა და მსმენელებს (სტუმრებს) შორის. აქ ჩვენ აგრეთვე საქმე გვაქვს „ფოკუსირებულ ურთიერთობასთან“ (focused interaction- გოფმანი 1963), რაც ხდება მაშინ, როცა ხალხს ერთი თემა (ფოკუსი) აქვს და ერთმანეთის მიყოლებით საუბრობენ. ამავე დროს ქართულ საქორწილო სუფრაზე მყოფმა საზოგადოებამ წარმოთქმულ სადღეგრძელოზე თავისი რეაქცია შეიძლება გამოხატოს არა მხოლოდ სიცილითა (სიხუმით), არამედ ისეთი ცალკეული სიტყვებით თუ ფრაზებით, როგორცაა, მაგ.: „გაიხარე“, „კარგად იყავი“, „გაუმარჯოს“, „იცოცხლე“, რითაც ისინი დადებით შეფასებას გამოხატავენ სადღეგრძელოს შინაარსისადმი, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ სადღეგრძელო დიალოგად და არა მონოლოგად უნდა იყოს აღქმული.

საქორწილო სუფრის დამსწრეებზე, როგორც სამეტყველო მოვლენის მონაწილეებზე ლაპარაკისას, აღსანიშნავია ბრენაისის (ბრენაისი 1980: 8) აზრი „პირველადი“ (primary) და „მეორადი“ (secondary) აუდიტორიის არსებობის შესახებ. „პირველადი“ აუდიტორია შედგება ინდივიდებისაგან ან ჯგუფისგან, რომელზედაც მოქმედება პირდაპირ გადადის, ანუ იმათგან ვისზედაც გამომსვლელს პირდაპირი ზეგავლენის მოხდენის იმედი აქვს. „მეორადი“ აუდიტორია შეიცავს სხვა ადამიანებს, რომლებიც ესწრებიან ღონისძიებას. თუმცა ეს არ არის უბრალოდ მეორეხარისხოვანი კატეგორია, რადგან „მეორადი“ აუდიტორია შეფასებასაც და კონტროლის ელემენტსაც შეიცავს. ამრიგად, პატარძლის მამის გამოსვლაში, „პირველად“ აუდიტორიას, როგორც წესი, ნეფე წარმოადგენს, რომელსაც მოლაპარაკე რჩევას აძლევს, მაგ.:

*‘There is something you’ll have to learn to live with, John, because no man has yet been able to understand it fully. It’s the elusive female mind’* (პიტონი და სტრეჩი 2004: 193).

ხოლო დამსწრე საზოგადოება „მეორად“ აუდიტორიას წარმოადგენს. ასეთი სახის ღონისძიებებზე აუდიტორია ძალზე აქტიურ როლს თამაშობს, რადგან გამომსვლელის ხუმრობებს მათი რეაქცია მოჰყვება აკლოდისმენტების, სიცილის

და ღიმილის სახით, რაც მოლაპარაკის სიტყვების დადებით შეფასებაზე და მხარდაჭერაზე მეტყველებს. არის შემთხვევა, როდესაც სტუმრები „პირველად“ აუდიტორიას წარმოადგენენ, მაგ., *'Thank you all for coming'*, რასაც პატარძლის მამა ხშირად წარმოთქვამს სტუმრების მიმართ.

როგორც უკვე აღინიშნა, ნეფის მეჯვარის ვალდებულებაა მადლობა გადაუხადოს ნეფეს პატარძლის მეჯვარეების სახელით მათი დღეგრძელობისათვის, მაგ.:

*'I must now turn to the lovely bridesmaids. On their behalf, John, I thank you for your enthusiastic compliments paid to them. They really are a colourful bouquet of flowers, aren't they? I share your sentiments about them wholeheartedly'* (ჰიტონი და სტრეჩი 2004: 256).

აღსანიშნავია, რომ თავის სიტყვაში მეჯვარე არა მხოლოდ მადლობას უხდის სიძეს პატარძლის მეჯვარეებისადმი გამოთქმული კეთილი სიტყვებისათვის, არამედ თვითონაც ეუბნება მათ ქათინაურებს, ადარებს რა მათ ყვავილების თაიგულს. შეკითხვის ფორმა (*aren't they?*), ანუ „გამყოფი კითხვა“ გამოიყენება სიძისგან დასტურის მისაღებად.

საბოლოოდ, სიძის მეჯვარე მადლობას უხდის სტუმრებს მობრძანებისათვის და სთავაზობს მათ შემდეგ სადღეგრძელოს:

*'On behalf of the bride and groom, I'd like to thank everyone here for sharing their special day, particularly those who have travelled long distances. It gives me immense pleasure (not mention relief) to invite you all to stand and raise your glasses in a toast for Shane and Rebecca. To the happiness, health, wealth and good fortune of the happy couple; To the Bride and Groom.'*<sup>108</sup>

როგორც უკვე აღინიშნა, ტრადიციულად ინგლისში პატარძალი არ ამბობს სადღეგრძელოს, მაგრამ დღეს ეს დასაშვებია ხდება. თავის სადღეგრძელოში პატარძალი, როგორც წესი, მადლობას უხდის სტუმრებს მობრძანებისათვის; ის მადლიერებას გამოხატავს მეუღლის და საკუთარი მშობლების მიმართ და ადღეგრძელებს თავის მეჯვარეებს. ზოგ სადღეგრძელოში ის გამოხატავს იმას, თუ რამდენად ძლიერ უყვარს თავისი მეუღლე და ისეთი სახის ქათინაურს ეუბნება მას, როგორცაა, მაგ.:

<sup>108</sup> [http://www.hitched.co.uk.speeches/examples/sp\\_examples.asp?id=504&num=3](http://www.hitched.co.uk.speeches/examples/sp_examples.asp?id=504&num=3)



*'My Mum always told me to marry a rich man – I couldn't have married a richer man than Karl. He is rich in inner strength, understanding and kindness, in forgiveness, patience and humour'.*<sup>109</sup>

ამავე დროს, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ქორწილში პატარძალი არასდროს არ ამბობს სადღეგრძელოს.

უნდა ითქვას ისიც, რომ ფორმულა-გამონათქვამების გამოყენება დამახასიათებელია როგორც ინგლისური (მაგ.: *Here is to bride and groom!; Here is to the health and happiness of...; To bridesmaids; Good luck to you (both); Wish you all the best!*), ისევე ქართული საქორწილო სადღეგრძელოებისათვის (მაგ., „კარგად იყავით“, „დაგლოცავთ“, „გაგიმარჯოთ“, „სიხარულს, სიყვარულს გისურვებთ“, და სხვა). მაგრამ, ცხადია, მხოლოდ ფორმულა-გამონათქვამების წარმოთქმა სადღეგრძელოს მთქმელის მხრიდან არ არის საკმარისი, და ტრადიციულ ფრაზებს ემატება გამომსვლელის გრძნობების და ფიქრების ინდივიდუალური გამოხატვა, რაც, ამავე დროს, მის პიროვნულ თვისებებს უსვამს ხაზს. როგორც თუშიშვილი (თუშიშვილი 2001: 6-7) აცხადებს, „სადღეგრძელო ერთგვარი მუზა გახლავთ, რამეთუ ხატოვნად, ექსპრომტად, სხარტულად თუ ენამოსწრებულად თქმული კაზმული სიტყვის უმეტესი ნაწილი ჭიქის ხელში ადების შემდეგაა მოფიქრებული“.

როგორც უკვე აღინიშნა, ქართულ სუფრაზე თამადას მასპინძელი ნეფის მხრიდან ნიშნავს, და, ჩვეულებისამებრ, ის მისი ნათესავი, მეგობარი ან მეზობელია. თამადის დანიშვნისას, მასპინძელი ყოველთვის წარუდგენს მას დამსწრე საზოგადოებას და ხაზს უსვამს მათ ხანგრძლივ მეგობრობას, მაგ.:

*„ძვირფასო სტუმრებო! მინდა დიდი მადლობა მოგახსენოთ მობრძანებისათვის, ჩვენი დაფასებისათვის და ჩვენი სიხარულის გაზიარებისათვის. როგორც წესი და რიგია, ყველა სუფრას სჭირდება ხელმძღვანელი და მე ვთხოვ ჩემს სკოლის მეგობარს- ომარ კაჭარავას დამდოს პატივი და ჩვენი ოჯახის სახელით წაუძღვეს ამ სუფრას. გაუმარჯოს ჩემს მეგობარს!“*<sup>110</sup>

მასპინძლის მიერ თამადის წარდგენა შეიძლება ასეთიც იყოს:

<sup>109</sup> [http://www.hitched.co.uk.speeches/examples/sp\\_examples.asp?id=731&num=18](http://www.hitched.co.uk.speeches/examples/sp_examples.asp?id=731&num=18)  
<sup>110</sup> ირაკლი ჟვანია, თამილა აფაქიძის და გიორგი ჟვანიას ქორწილი. 16.07.2000



„*ჩემო ძვირფასო სტუმრებო, ჩემო კეთილო ნათესავებო, მეზობლებო, მეგობრებო! უღრმესი მადლობა ყველას დღეს მობრძანებისთვის და ჩემი შვილების ბედნიერების მოლოცვისთვის. თქვენს ოჯახებში, თქვენი შვილების და შვილიშვილების ბედნიერებაზე მოვსულიყავი, ღრმად მოხუცებული და თქვენთან ერთად მეც გამეხაროს და მეც მებედნიეროს.*

*მე მინდა დღეს ჩემს ამ ბედნიერების სუფრას, ჩემი შვილების ბედნიერების სუფრას, ჩემი ბავშვობის მეგობარი, ჩემი ივივე ძმა, ჩემი ნამდვილი ძმა, ნუგ ზარ ჯიქია გაუძღვეს, დაგვდოს პატივი და თქვენთვის დღეს კარგი დრო, კარგი დასამახსოვრებელი საღამო ჩაეტარებინოს. ჩემო ნუგ ზარ, შენი ჭირიმე, გლოცავ, იხარე და იბედნიერე. ჩემს ნუგ ზარ ჯიქიას დავუნიშნავთ თანაშემწეებს და გენაცვალეთ ჩემი თავი!“* <sup>111</sup>

როგორც ვხედავთ, მასპინძელი თამადის არჩევამდე მადლობას უხდის სტუმრებს მობრძანებისა და დაფასებისათვის.

არჩევის და წარდგენის შემდეგ, თამადა მიმართავს დამსწრე საზოგადოებას და თავის მოადგილეებს:

*„ძვირფასო სტუმრებო! ნება მომეცით შევუდგე ჩემი მოვალეობის შესრულებას. მართალია, ძალიან დიდი დატვირთვა გვექნება დღეს, მაგრამ ორი ოჯახი დაუნათესავდა ერთმანეთს, ორი შესანიშნავი გვარის წარმომადგენელი და მე მინდა, რომ ჩვენი დღევანდელი შეხვედრა, დღევანდელი ქეიფი ღამაში და კარგი იყოს. ჩემო თემურ, მე იმედი მაქვს, რომ დამეხმარებით და ალბათ სამახსოვროდ დაგვრჩება დღევანდელი საღამო. მე მინდა ბატონ თემურთან ერთად, ბატონ ედემს ვთხოვო დამეხმაროს, კიდევ მინდა გია ხომერიკი დავიხმარო და გიზო მანია ახალგაზრდებთან. მოდით ამ შესანიშნავი ხუთეულით შევუდგეთ დღევანდელ დღეს. ღმერთმა კარგად გამყოფოთ, ძალიან დიდი მადლობა მინდა გითხრათ იმისათვის, რომ მობრძანდით. მე მინდა სიკეთე გისურვოთ, ბედნიერება გისურვოთ, კვანიებისა და აფაქიძეების ოჯახებს თქვენთვის სიკეთეში, ბედნიერებაში და მხიარულებაში გადაეხადოს ეს ვალი და ეს ღამაში დღე მრავალგზის და მრავალი წლების მანძილზე მოსაკონად დარჩენოდეთ ჩვენს ახალგაზრდებს და ჩვენს მთელ საზოგადოებას. ჩემო*

<sup>111</sup> თამაზ ბერიანიძე, ხატია არაბულის და გიორგი ბერიანიძის ქორწილი, 12.10.2002

*თემურ, გადღეგრძელებ სულითა და გულით. ჩვენს შეხვედრას და გაცნობას გაუმარჯოს! გია, ედემ, გიზო, გლოცავთ და ბედნიერებას გისურვებთ!*<sup>112</sup>

ქართულ საქორწილო სუფრაზე, თამადა ხშირად საუბრობს ორი ოჯახის დანათესაებაზე და ეს ნათლად ჩანს თამადის ზემოხსენებულ სიტყვებშიც. საგულსხმოა, რომ კარგი თამადა არა მარტო კარგ სადღეგძელოებს წარმოთქვამს და სმის წესიერებას აკვირდება, არამედ ცეკვა-სიმღერის და ღვინის მთელ მსვლელობას წარმართავს და დამსწრე საზოგადოებაში მხიარული და საზეიმო განწყობის შექმნა-შენარჩუნებაზე ზრუნავს და ეს ზრუნვა ხშირად თამადის მიერ სტუმრებისათვის მოწოდების სახეს ატარებს, მაგ.:

*„ქალბატონებო და ბატონებო, მოგესალმებით! დაგლოცავ დღევანდელ დღეს, დაგილოცავთ ამ შესანიშნავ დღეს. პირველყოვლისა, თამაზ ბერიანიძისა და მერაბ არაბულის ოჯახებს მიუვლოცავ დღევანდელ სასიხარულო დღეს. დიდი მადლობა ყველას ვინც მობრძანდა და გთხოვთ ძალიან კარგი დროის გატარებას შევეცადოთ. მე ყველას გთხოვთ, დიდ-პატარიანად, ქალბატონებს, ბატონებს, როგორც გაგიხარდებათ სმის პროცესი ისე წარმართეთ, ისიამოვნეთ, ყველაფერი გაკეთებულია ალალი გულით, ყველაფერი გაკეთებულია იმისათვის, რომ სტუმრები დარჩნენ კმაყოფილები და მე ამას გთხოვთ ასევე სუყველას. არც თქმას მოვერიდოთ, არც ცეკვას, არც სიმღერას, რაც შეგვიძლია ყველანაირად გამოვხატოთ ჩვენი თავი რომ დღევანდელი დღე, კიდევ ვიმეორებ, დარჩეს ზეიმის დღედ ჩვენი ახალგაზრდების ხატისა და გოგიტას მესხიერებაში!“*<sup>113</sup>

ქართულ სუფრაზე ნეფე-დედოფლის დალოცვისას, თამადა, როგორც წესი, მათ ასევე უსურვებს მრავალშვილიანი ოჯახის შექმნას, მაგ.:

*„ჩემო ხატია და ჩემო გოგიტა, დაგლოცავთ! დაგლოცავთ ისე, როგორც მე შემძლია დაგლოცო ჩემი შვილები, დაგლოცავთ ისე, როგორც მამას შეუძლია საერთოდ შვილების დალოცვა. ბედნიერები იყავით, ჯანმრთელები იყავით, დღევანდელი დღე თქვენი ფაქტიურად იმ დიდი ხნის მეგობრობის გაფორმების*

<sup>112</sup> თამადა- ომარ კაჭარავა, თამილა აფაქიძის და გიორგი ყვანიას ქორწილი, 16.07.2000

<sup>113</sup> თამადა- ნუგზარ ჯიქია, ხატია არაბულის და გიორგი ბერიანიძის ქორწილი, 12.10.2002

დღეა ხელწმინდობა და ჯერისწერით, რომელიც თქვენ გქონდათ, და მე მინდა რომ დღევანდელი დღის მერე თქვენი მეგობრობა, თქვენი ურთიერთმხარში დგომა, ერთმანეთის პატივისცემა და სიყვარული გაათმაგებელიყოს და კიდევ უფრო გაძლიერდეს. ღმერთმა დაგლოცოთ! დალოცვილები იყავით ჩემგან, ხალხისგან! ისე გეცხოვროთ, ისე გაგეტარებინოთ თქვენი წლები, რომ მრავალი შვილი გელოდეთ, ბედნიერები და ჯანმრთელები იყავით და ვინც არ უნდა დაგინახოთ თქვას, რა ბედნიერი წყვილია, რა ბედნიერი ოჯახიაო! დღედაღამ ამას ლაპარაკობდნენ თქვენზე! დალოცვილები იყავით! გაუმარჯოს ნეფე-დედოფალს!“<sup>114</sup>

ნეფე-დედოფლის დღეგძელობისას, თამადამ ასევე შეიძლება რჩევაც მისცეს მათ:

„ჩვენი ქორწილის მნათობების, - ნეფე-პატარძლის გამარჯვებისა იყოს! თუ რამ დიადი შეუქმნია და უსწავლებია ღმერთს, ეს სიყვარულია. სიყვარულის შარავანდი ადგას ნეფე-დედოფალს. ძვირად საპოვნისი საუნჯეა იგი, მოვლაც სათუთი უნდა, გაუფრთხილდით ერთმანეთს და წინ ველარაფერი დაუდგება თქვენს ბედნიერებას. ღვინით, ღოვლათით სავსე გქონდეთ გულები და მოყვასისათვის მოგეხმაროთ.“<sup>115</sup>

ნეფე-დედოფლის დღეგძელობისას, თამადა ხშირად ქათინაურებს ეუბნება ახალდაქორწინებულებს, მაგ.:

„მე მინდა ჩვენი ღამაში ახალგაზრდების სადღეგძელო შევსვა, ამ შესანიშნავი წყვილის. მინდა სულით და გულით ვადღეგძელო ეს ადამიანები. გიორგიმ და თამილამ ორივემ შესანიშნავი ნაბიჯი გადადგა და მივესალმები. დღეს არის საქართველოში კიდევ ერთი ბედნიერი დღე, იმიტომ რომ კიდევ ერთი კარგი ქართული ოჯახი, ახალგაზრდული ოჯახი შეიქმნა. გავიმარჯვოთ, ჩემო კარგებო! იხარეთ და იბედნიერეთ!“<sup>116</sup>

უცხოელი მკვლევარები (იხ. ჰოლისკი, 1988, კოთჰოფი, 1995) სამართლიანად აღნიშნავენ, რომ საქართველოში ადამიანის შეფასება, როგორც კარგი ქართველის, მისდამი დიდ კომპლიმენტს წარმოადგენს. ეს იმას ნიშნავს, რომ

<sup>114</sup> თამადა- ნუგზარ ჯიქია, ხატია არაბულის და გიორგი ბერიანიძის ქორწილი, 12.10.2002

<sup>115</sup> ხ.ქინქლაძე, 2000:9

<sup>116</sup> თამადა- ომარ კაჭარავა, თამილა აფაქიძის და გიორგი ჟვანიას ქორწილი. 16.07.2000

ადრესატი აფასებს ტრადიციებს, იცავს წესებს და ზნეობის ნორმებს და კარგი სახელი აქვს მოხვეჭილი. სიტყვებით „შესანიშნავი წყვილი“ და „შესანიშნავი ნაბიჯი“ თამადა კომპლიმენტს ეუბნება ნეფე-დედოფალს, მაგრამ ყველაზე კარგი დაფასება და კომპლიმენტი მათ მიმართ გამოხატულია თამადის იმ სიტყვებში, სადაც ის მოცემული წყვილის გაბედნიერებას საქართველოს გაბედნიერებად მიიხსენებს. უნდა ითქვას ისიც, რომ ინგლისელი სიძის მეჯვარის სადღეგრძელოსაგან განსხვავებით, საქართველოში ახალდაქორწინებულების დღეგრძელობისას თამადა არ „ამხელს“ სიძის „საიდუმლოებებს“.

ქართულ ქორწილში, სიძე ხშირად ეუბნება სამადლობელს სტუმრებს როგორც საკუთარი, ასევე მეუღლის სახელით, მაგ.:

*„პირველ რიგში, ძალიან დიდი მადლობა ყველას მობრძანებისათვის, ჩემი და ჩემი ხატისას სიხარულის და ბედნიერების გაზიარებისათვის. ყველა ძალიან გვიყვარხართ, ყველას ძალიან დიდ პატივს გცემთ და ამ დღეებანდელ დღეს როგორც ჩვენ გახარებულები ვართ, მთელი ცხოვრება ყველა ერთად ასე გახარებულები ვყოფილიყავით! ყველას დაგლოცავთ! დიდი მადლობა ყველას!“*

117

ნეფის სამადლობელი შეიძლება ასეთიც იყოს:

*„ძვირფასო სტუმრებო! აქ ნამდვილად სუყველა უახლოესი სანათესაო და სამეგობროა შეკრებილი. ყველას პატივს გცემთ, ყველა გვიყვარხართ და ყველა ჩვენთან ხართ. დალოცვილი ვიქნებით მე და ნინო თქვენი გვერდში დგომით, თქვენი პატივისცემით და თქვენი სიყვარულით. გადღეგრძელებთ სუყველას და დიდ მადლობას მოგახსენებთ.“<sup>117</sup>*

როგორც უკვე აღინიშნა, ქართულ საქორწილო სუფრაზე, ინგლისური სუფრისაგან განსხვავებით, პატარძალი არასდროს არ ამბობს სადღეგრძელოს.

საქართველოში ნეფე-დედოფლის მეჯვარეების დღეგრძელობისას, თამადამ შეიძლება შემდეგი სიტყვები წარმოთქვას:

*„მე მინდა სულით და გულით ჩვენი მეჯვარეების სადღეგრძელო შევსვა. თქვენ გაგიმარჯოთ, ღამაზად იყავით, კარგად იყავით, ბედნიერად იყავით. თქვენ*

<sup>117</sup> ნეფის- გიორგი ბერიანიძის სამადლობელი. ხატია არაბულის და გიორგი ბერიანიძის ქორწილი, 12.10.2002

<sup>118</sup> ნეფის- კახა ქუთათელაძის სამადლობელი. ნინო ჯოგლიძის და კახა ქუთათელაძის ქორწილი. 05.09.2004

დღეს აქ ხართ, თქვენ ამ სერიოზულ კავშირში მონაწილეობას ღებულობთ. ეს არის ოჯახური, ქართული, ტრადიციული კავშირი, რომელსაც დიდი გაფრთხილება უნდა! ნათელ-მრონია, ჩემო მეგობრებო ეს! ჩემო კარგებო, ლამაზად იყავით, ბედნიერად იყავით. იცოცხლეთ, თქვენი ჭირიმე. თქვენ ბედნიერი ხალხი ხართ, იმიტომ რომ მომავალი თქვენს მხარეს არის და ხვალინდელი დღე თქვენია. გაგიმარჯოთ! იცოდეთ ერთი რამ, პატარა ავიტაცია უნდა გასწიოთ, რომ ოთხი შვილი იყოს აუცილებლად. აფაქიძეებისა და ჟვანიების გვარმა და გეგეჭკორების გვარმა უნდა იმრავლოს. მრავალჯამიერ თქვენი სიცოცხლე, ჩემო მეგობრებო!“<sup>119</sup>

ნეფე-დედოფლის მეჯვარეების დღეგრძელობისას, თამადა მათ არა მხოლოდ ადღეგრძელებს, არამედ აღნიშნავს, თუ რამდენად დიდი როლი მიუძღვით მათ ახალდაქორწინებულთა ცხოვრებაში და ხშირად რჩევას აძლევთ მათ, რაც შემდეგი სადღეგრძელოდანაც ჩანს:

„თამუნა და ლევან, დაგლოცავთ! თქვენ დღეს თქვენს მეგობრებს დაუდევით გვერდში, თქვენი მეგობრების სიხარულმა მოგიყვანათ ამ სუფრაზე. ეს გვერდში დგომა არ გეგონოთ რომ დღევანდელი დღით დამთავრდება. ჩემო ლევან, მე რომ დღეს თამაზმა სუფრის ხელმძღვანელობა მომანდო, ჩემს ქორწილში თამაზი მეჯვარე იყო ჩემი, ასე რომ შენც გაითვალისწინე, რაღაცეები შენც წინ გაქვს კიდევ. თამუნა, დალოცვილი იყავი, კარგი მომავალი, კარგი ჯანმრთელობა, ყველაფერი კარგი, რაც გაგიხარდება, როგორც ჩაგიფიქრებია, ისე აგისრულოს ღმერთმა. ამას ვისურვებ, და ამ ორი თქვენი მეგობრის შვილების ნათლობა თუ სახელის დარქმევა იქნება, თქვენ აქტიური მონაწილეობა მიგელოთ. მერე და მერე, ხუთი წელი გავა, ათი წელი გავა, თხუთმეტი წელი გავა, თქვენ ერთმანეთის გვერდში უნდა იდგეთ და გოვიტასთან და ხატიასთან რამდენჯერაც კარგი და ბედნიერი სუფრა იქნება გაშლილი, თქვენ იქ უნდა იყოთ. მათ გვერდში უნდა იდგეთ, მათი ჭირი უნდა გაიზიაროთ, მათი ღვინი უნდა გაიზიაროთ, რაღაცნაირად პატარა რომ შეეშალოთ, მათ მხარში უნდა დაუდგეთ და უთხრათ: „არა ბიჭებო, გოგოებო, ესე არა, ასე უნდა მოიქცეთ“. აი ეს არის თქვენი წმინდათა წმინდა მოვალეობა, წმინდათა წმინდა ვალი. ვისურვებთ, რომ

<sup>119</sup> თამადა- ომარ კაჭარავა, თამილა აფაქიძის და გიორგი ჟვანიას ქორწილი. 16.07.2000

*ამ მოვალეობისთვის წესიერად ვაგერთვით თავი და ბოლომდე კარგად და ერთად ტკბილად ყოფილიყავით. დალოცვილები იყავით, ჩემო კარგებო. დაგლოცავთ!*<sup>120</sup>

როგორც ვხედავთ, საქართველოში მეჯვარეების სადღეგრძელო ძალზე განსხვავდება იმ სიტყვებისაგან, რომელსაც ნეფე წარმოთქვამს თავისი მეუღლის მეჯვარეების მიმართ ინგლისში. ქართულ სადღეგრძელოში გამოხატულია ის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მეჯვარეების როლი და მათი ნათელ-მირონული კავშირი ახალდაქორწინებულებთან და აგრეთვე ქართულ ტრადიციებთან. ასევე ხდება მეჯვარეებისათვის ქათინაურების თქმა და მათი დალოცვა. ინგლისურ სადღეგრძელოში კი სიძე, როგორც წესი, ქათინაურებს ეუბნება მეუღლის მეჯვარეებს და მადლობას უხდის მათ პატარძლისადმი გაწეული დახმარებისათვის საქორწილოდ მომზადებაში.

ქართულ საქორწილო სუფრაზე ნეფე-დედოფლის მშობლების დალოცვისას, თამადა ჯერ პატარძლის მშობლებს ადღეგრძელებს, მაგ.:

*„მე პირველად ქალბატონი ეთერი და ბატონი თემური მინდა ვადღეგრძელო. კარგად იყავით, თქვენი ჭირიმე, შესანიშნავი ხალხი ხართ, შესანიშნავი გარეგნობის. შესანიშნავი ქალბატონი გყავთ გაზრდილი აგერ, ჩამოყალიბებული ანგელოზი. ეს ანგელოზი მოგტაცეთ ეხლა, მაგრამ ნუ გეწყინებათ, სიყვარულმა მე კი არა, გადარია ტარიელიო. მე მინდა სულით და გულით შევსვა თქვენი სადღეგრძელო. მინდა დაგლოცოთ, ბედნიერად და კარგად იყავით. დიდი სიხარული ყოფილიყოს აი ამათი მხრიდან თქვენთვის!“*<sup>121</sup>

როგორც ვხედავთ, სადღეგრძელო ქათინაურის რამდენიმე მაგალითს შეიცავს, როგორცაა „შესანიშნავი ხალხი ხართ, შესანიშნავი გარეგნობის“, ისევე როგორც პატარძლის „ანგელოზად“ მოხსენიება. მოცემულ სადღეგრძელოში თამადა აგრეთვე რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილ გმირს იხსენებს, რითაც სურს გამოხატოს სიყვარულის სიძლიერე, რომელიც მოცემული დღესასწაულის მიზეზი გახდა. შემდგომ, თამადა თავის სადღეგრძელოში ნეფის მშობლებს მიმართავს:

<sup>120</sup> თამადა- ნუგზარ ჯიქია, ხატია არაბულის და გიორგი ბერიანიძის ქორწილი, 12.10.2002

<sup>121</sup> თამადა- ომარ კაჭარავა, თამილა ავაქიძის და გიორგი ჟვანიას ქორწილი, 16.07.2000

*„ჩემო გალინა და ჩემო ირაკლი. თქვენი სადღევრძელო მინდა დავლიო. გაგიმარჯოთ! გალინა და ირაკლი, დაგლოცავთ! თქვენ გაქვთ შესანიშნავი ოჯახი. კარგად იყავით, იცოცხლეთ!“<sup>122</sup>*

ძალზე ხშირად თამადა, რომელსაც ნეფის მშობლებთან ნათესაობა ან დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს, იხსენებს სახუმარო და სახალისო მომენტებს მათი ურთიერთობიდან და დამსწრე საზოგადოებას უზიარებს, მაგ.:

*„მე და ირაკლი ერთი მერხის მეგობრები ვართ, პირველი კლასიდან ერთად მოვდივართ. რაც მე ამისგან ფიზიკაში და მათემატიკაში საკონტროლო გადამიწერია, იმდენი სიკეთე თქვენ! ეს იყო აინშტაინი ჩვენს კლასში!“<sup>123</sup>*

ამრიგად, თამადის სადღევრძელოში შერწყმულია არა მხოლოდ ადრესატის დალოცვა, არამედ მისი პიროვნული თვისებების დაფასება და ხუმრობაც, რაც აუდიტორიიდან დადებით შეფასებაც იღებს სიცილის სახით.

ასევე თამადამ შეიძლება „საიდუმლო“ ინფორმაცია გაუზიაროს სტუმრებს:

*„ერთი პატარა საიდუმლოსავით ინფორმაციას მოგაწოდებთ. დღეს 12 ოქტომბერია. დღეს ხატიას და გოგიტას ქორწილის დღეა და ჩემი თამაზის დაბადების დღეა დღეს. ამ დღეს ტრადიციულად მის ოჯახში ვიკრიბებოდით ხოლმე მისი მეგობრები, მისი ახლობლები და ვულოცავდით დაბადების დღეს. მაგრამ ეს დღე თამაზს არ გადაუწყვეტია. მშახის ბიუროში განცხადების შეტანისას ახალგაზრდებმა 12 ოქტომბერი ჩააწერინეს, არ ვიცი რა მოსაზრებით, მაგრამ ალბათ ეს გაითვალისწინეს და მამას საჩუქარი გაუკეთეს დღევანდელ დღეს. ამაზე ძვირფასი საჩუქარი, ჩემო თამაზ, არ გექნება ცხოვრებაში არაფერი და გაგიმარჯოს! დალოცვილი იყავი! მშობლებს ვადღევრძელებ და გთხოვთ მხარი დამიჭიროთ ამ სადღევრძელოში!“<sup>124</sup>*

სამწუხაროდ, არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ნეფეს ან დედოფალს მშობელი (ან მშობლები) გარდაცვლილი ჰყავს. ასეთ დროს, თამადა ჯერ ახალდაქორწინებულების ცოცხალ მშობლებს ადღევრძელებს, შემდეგ კი მეორე სადღევრძელოს წარმოთქვამს, რომელშიც თბილად მოიხსენიებს გარდაცვლილ მშობელს:

---

<sup>122</sup> იქვე

<sup>123</sup> იქვე

<sup>124</sup> თამადა- ნუგზარ ჯიქია, ხატია არაბულის და გიორგი ბერიანიძის ქორწილი, 12.10.2002

„გაგიმარჯოთ, გადღეგრძელებთ, ბატონო დემურ, ქალბატონ შუქურასთან ერთად. ღმერთმა დაგლოცოთ! ძალიან ლამაზი ადამიანია თქვენი სიძე, ძალიან ლამაზი ვაჟი, კარგი მეგობარია, კარგი შვილი, კარგი მეოჯახე ადამიანი. თქვენ მინდა დაგლოცოთ, მინდა დიდი მადლობა გითხრათ ისეთი ლამაზი ქალიშვილის აღზრდისათვის, როგორც ჩვენი ნინიკო არის. იმხელა ტკბილი თვისებები, ისეთი კარგი, ლამაზი თვისებები აქვს, რომ სიტყვით არ შეიძლება რომ აღიწეროს. ქალბატონო ციალა, გაგიმარჯოთ! გადღეგრძელებთ, და დღეს რომ ბედნიერი ბრძანდებით, მინდა ეს მთელი სულით და გულით დაგილოცოთ!

ჩემო მეგობრებო! აქ მე მიდვას ლამაზი სამი ადამიანი და მე მინდა ამ ჭიქას კიდევ ერთი ჭიქა მივადგა და მინდა ჩემი კახას მამის, ბატონი გიულის სადღეგრძელო შევსვა, სადღეგრძელო, რომლითაც მინდა მოვიგონო მისი ხსოვნა. კახას მამა არ ჰყავს და დღეს ის რომ ცოცხალი ყოფილიყო, აქ სულ სხვა სიყვარული, სულ სხვა ელფერი შეიძლება ყოფილიყო, შეიძლება ორჯერ უფრო მეტი ხალხი ვმჯდარიყავით და უფრო სხვა შემართებით იქნებოდა ჩვენი კახა. მაგრამ კახას არც ფრთა აკლია ახლა და არც მხარი. მისი გული, მისი სიყვარული სავსეა სითბოთი, ნამღვილი ვაჟკაცობით და ადამიანობით. გაუმარჯოს! ხსოვნა და მოგონება ყოფილიყოს ჩემი გიული ბიძიასი! ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული და სადაც არის, იქ გაიგებს ამ სადღეგრძელოს და იქ გაიგებს ჩემი კახას ბედნიერებას და მის სიხარულს. ხსოვნა-მოგონება იყოს ბატონი გიულისი. ბატონ დემურს, ქალბატონ შუქურას და ქალბატონ ციალას დღეგრძელობას, ჯანმრთელობას და ბედნიერებას ვუსურვებ! მივულოცოთ მათ ეს დღევანდელი სიხარული!“<sup>125</sup>

თამადის მიერ წარმოთქმულ მშობელთა სადღეგრძელოს მოჰყვება მათი სამადლობელი სიტყვა, მაგ.:

„ჩემო უსაყვარლესო ხალხო! მე დავლოცავ ჩემს ხატias, ჩემს გიორგის და თითოეულ თქვენთაგანს ვისურვებთ რომ აი ასეთი კარგი საჩუქარი, რაც ჩემმა შვილებმა დღეს გამიკეთეს, ყველასთვის გაეკეთებინოთ. ჩემს დაბადების დღეზე მათ ოჯახი შექმნეს და ერთმანეთს გულები გაუნაწილეს. დაგლოცავთ, შვილებო! დაგლოცავთ, ხალხო! ბედნიერებას ვისურვებთ, ჯანმრთელობას

<sup>125</sup> თამადა- გოგა ბუთლიაშვილი. ნინო ჯოგლიძის და კახა ქუთათელაძის ქორწილი. 05.09.2004



ვისურვებთ! ჩემსა და მერაბის ოჯახში, ჩემი ყველინასა და ჩემი მარინას ოჯახში სულ ბედნიერება ყოფილიყოს! სულ ჯანმრთელობა ყოფილიყოს! სულ გახარება ყოფილიყოს და სულ თქვენისთანა სახემდიმარი, მომღერალი, მომცინარი ხალხი მენახოს, გენაცვალოთ ჩემი თავი. ჩემო ძვირფასო ხალხო, ჩემო მერაბ, დაგლოცავ! ჩემს ოჯახში პირველი მერცხალი შემოფრინდა, ჩემი ხატია, შენს ოჯახში ჩემი გიორგი შემოფრინდა. გენაცვალოს ჩემი თავი, ჩემო მერაბ. გლოცავ და ჩემს მარინას ვლოცავ, ჩემს დაიკოს, თქვენი ჭირიმე. უღრმესი მადლობა ყველას აქ მობრძანებისათვის, ჩვენთვის კარგი და კეთილი სურვილებისათვის და დალოცვისათვის. ყველასათვის სიკეთეში გადაგვეხადოს ეს თქვენი მობრძანება და პატივისცემა. გლოცავთ, თქვენი ჭირიმე, გეამბორებით. ყველას გულში ვზივარ და ყველა გულში მიზიხართ, თქვენი ჭირიმე!“<sup>126</sup>

ამავე დროს, თავის სამადლობელ სიტყვაში მასპინძლებმა შეიძლება არა მხოლოდ ადღეგრძელონ ერთმანეთი, არამედ ქათინაურები უთხრან ერთმანეთს და საკუთარ მეუღლეებს ასეთი კარგი შვილების აღზრდისათვის, და ასევე რჩევა მისცენ ახალდაქორწინებულებს, მაგ.:

„ჩემო მეგობრებო, ახლობლებო! მინდა სულით და გულით დაგლოცო ჩემი ნეფე-დედოფლის მშობლები, მათ შორის ერთი თქვენი მონამორჩილი გახლავთ. პირველ რიგში, მინდა ქალბატონი ციალა დაგლოცო, დიდი მადლობა ეუთხრა მას ლამაზი და ვაჟკაცი შვილის აღზრდისათვის. დიდხანს სიცოცხლეს, ბედნიერებას ვუსურვებ, შვილიშვილებს მოგასწროთ ღმერთმა, მათი შვილთაშვილები გაგეხარდოთ და ჩვენი ეს მეგობრობა იყოს საწინდარი ჩვენი ლამაზი ტკბილი შეხვედრების.

დაგლოცო მინდა ქალბატონი შუქურა, რომელმაც ყველაფერი შეაღია ქალიშვილს იმისათვის, რომ ნამდვილი ქართველი გოგონა გაზრდილიყო, და მინდა ვუსურვო ჩემს ქალიშვილს დღეგრძელობა და ყოფილიყოს ერთგული თავისი მეუღლის და შეექმნას ლამაზი, ქართული, ტრადიციული ოჯახი!“<sup>127</sup>

უკანასკნელი სიტყვების წარმოთქმით, მასპინძელი უსურვებს თავის ქალიშვილს იყოს თავისი მეუღლის და ქართული ტრადიციული ოჯახის

<sup>126</sup> ნეფის მშობელი- თამაზ ბერიანიძე, ხატია არაბულის და გიორგი ბერიანიძის ქორწილი, 12.10.2002

<sup>127</sup> პატარძლის მშობელი- დემურ ჯოგლიძე, ნინო ჯოგლიძის და კახა ქუთათელაძის ქორწილი. 05.09.2004

ერთგული, რათა მისი ახლადშექმნილი ოჯახი ეფუძნებოდეს ქართულ ფასეულობებსა და წეს-ჩვეულებებს. ამავე დროს, ქათინაურების წარმოთქმით, გამომსვლელი უფრო თბილ და ლაღ ატმოსფეროს ქმნის საქორწილო სუფრაზე.

ამრიგად, ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ რომ:

1. სადღეგრძელოს წარმოთქმის დროს გამომსვლელი გამოხატავს თავის გრძნობებსა და ფიქრებს ადრესატის მიმართ. სადღეგრძელო მიეკუთვნება მეორადი (როული) სამეტყველო უნარის ჯგუფს. თითოეული სადღეგრძელო ინდივიდუალურ სტილში წარმოითქმის, მაგრამ სტილის შერჩევა დიდად დამოკიდებულია გარემოებებსა და მონაწილეებზე.
2. ინგლისურ საქორწილო სუფრაზე წარმოითქმის სამი ტრადიციული სადღეგრძელო, რომელსაც პატარძლის მამა, ნეფე და ნეფის მეჯვარე წარმოთქვამენ. ქართულ საქორწილო სუფრაზე კი სადღეგრძელოებს თამადა ამბობს და სადღეგრძელოთა რაოდენობა გაცილებით მეტია. ამავე დროს, ინგლისურ ყოფაში სუფრის წამყვანი (Toastmaster, რომელსაც ასევე Master of Ceremonies უწოდებენ), განსაზღვრავს იმას თუ ვინ წარმოთქვამს სადღეგრძელოს და დაკავებულია სუფრის ორგანიზაციული საკითხებით. ეს ადამიანი სადღეგრძელოებს არ ამბობს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ როლს ნეფის მეჯვარე ითავსებს. ინგლისური სადღეგრძელოს წარმოთქმის წესი გარკვეულწილად გრასის კოოპერაციის პრინციპის მაქსიმებს გვაგონებს, რადგან მოითხოვს მოლაპარაკისაგან ილაპარაკოს მოკლედ და თანმიმდევრულად.
3. ინგლისურ საქორწილო სუფრაზე პატარძლის მამა პირველი წარმოთქვამს სადღეგრძელოს, რომელშიც ის ესალმება სტუმრებს, ნეფის მშობლებს და საკუთარ ქალიშვილზე და სიძეზე ამბობს რამდენიმე თბილ სიტყვას. ინგლისურ სადღეგრძელოში ხშირად

შეხვედებით პერფორმატულ ზმნებს 'toast', 'thank', 'wish' და 'welcome'. პატარძლის მშობელი, როგორც წესი, უზიარებს სიძესა და სტუმრებს თავისი ქალიშვილის „საიდუმლოებებს“ და ამას ხუმრობის ფორმით აკეთებს. დაუშვებელია ხუმრობა ბოროტი იყოს, რადგან ეს უარყოფით შეფასებას გამოიწვევს დამსწრე საზოგადოებაში, რაც გამომსვლელის „სახის შეღახვის“ საშიშროებას შექმნის. პატარძლის მამა ხშირად ეუბნება ქათინაურებს სიძეს და მიუთითებს, რომ კმაყოფილია მისი ქალიშვილის არჩევანით.

4. სადღეგრძელოები და მათზე მიღებული პასუხები „მეზობლური წყვილის“ მაგალითებია. სადღეგრძელოს შესმის მოწოდებისას გამომსვლელი ხშირად სიტყვას 'please' მიმართავს, რითაც ის უფრო დიდ თავაზიანობას გამოხატავს მსმენელის მიმართ და არბილებს თხოვნას.
5. მეორე ტრადიციულ სადღეგრძელოს ინგლისურ საქორწილო სუფრაზე ნეფე წარმოთქვამს. ის მადლობას უხდის თავის მშობლებს მხარდაჭერისა და რჩევებისათვის, პატარძლის მშობლებს ასეთი კარგი ქალიშვილის აღზრდისათვის და აგრეთვე პატარძლის მეჯვარეებს ადღეგრძელებს. ნეფემ ასევე შეიძლება მადლობა გადაუხადოს თავის მეჯვარეს ამ როლზე დათანხმებისათვის.
6. ინგლისური საქორწილო სადღეგრძელოებისთვის დამახასიათებელია „გამყოფი კითხვები“, რომლებიც გამოიყენება მოლაპარაკის განცხადებაზე რეაქციის მისაღებად, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ სადღეგრძელო არა მონოლოგის, არამედ დიალოგის ფორმას ატარებს.
7. მესამე ტრადიციულ სადღეგრძელოს ინგლისურ ქორწილში ნეფის მეჯვარე წარმოთქვამს. ის მადლობას უხდის ნეფეს პატარძლის

მეჯვარეების დღეგრძელობისათვის და ნეფეს უძღვნის სადღეგრძელოს. მისი ვალდებულებაა „უხერხულ მდგომარეობაში“ ჩააგდოს ნეფე და დამსწრე საზოგადოებას გაუმხილოს მისი „ცოდვები“.

8. ტრადიციულად ინგლისურ ქორწილში პატარძალი არ ამბობს სადღეგრძელოს, მაგრამ ჩვენს დროში ეს დასაშვებია, თუ ახალდაქორწინებულები თავად მასპინძლობენ ქორწილს. ქართულ საქორწილო სუფრაზე კი პატარძალი არასდროს არ ამბობს სადღეგრძელოს.
9. ქართული საქორწილო სუფრის დაწყებისას, მასპინძელი აუცილებლად ნიშნავს თამადას, რომელიც მისი ახლო ნათესავი თუ მეგობარია. მასპინძელი ასევე გამოხატავს მადლიერებას თამადისადმი სუფრის ხელმძღვანელობისათვის.
10. ქართულ ყოფაში სიძე-პატარძლის დღეგრძელობისას, თამადა ლოცავს მათ და ხშირად სხვადასხვა რჩევას აძლევს. დალოცვისას თამადა მიმართავს ისეთ პერფორმატიულ გამონათქვამებს, როგორცაა „ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ“, „დაგლოცავთ“, „იხარეთ და იბედნიერეთ“ და სხვა.
11. ქართულ საქორწილო სუფრაზე ნეფე-დედოფლის მეჯვარეების დალოცვისას, თამადა მიუთითებს მათ ძალზე მნიშვნელოვან როლზე ახალდაქორწინებულთა ცხოვრებაში და მათ ნათელ-მბრუნულ კავშირს უსვამს ხაზს. თამადა აგრეთვე ხშირად რჩევას აძლევს მეჯვარეებს ახალშექმნილ ოჯახთან შემდგომი ურთიერთობის შესახებ.
12. ინგლისურ ქორწილში სიძის მეჯვარისაგან განსხვავებით, ქართველი თამადა არასდროს ცდილობს „უხერხულ მდგომარეობაში“ ჩააგდოს

ნეფე და მისი „ცოდვები“ გაუზიაროს სტუმრებს. სიძე-პატარძლის მშობლების დღეგრძელობისას, თამადამ შეიძლება ძველი სახუმარო ამბები გაიხსენოს მათი ურთიერთობიდან და გაუზიაროს ისინი დამსწრე საზოგადოებას, მაგრამ ეს სახუმარო ამბები ქათინაურების ფორმას ატარებს. ქათინაურები შეიძლება შევადაროთ ლინის აპრობაციის მაქსიმას, რაც მიუთითებს მოლაპარაკის მხრიდან „დადებითი თავაზიანობის“ სტრატეგიების გამოყენებაზე. თამადის ხუმრობას მოჰყვება აუდიტორიის პასუხი სიცილის სახით, რაც „მეზობლური წყვილის“ მაგალითს წარმოადგენს. სიცილი ნათქვამის მოწონების ნიშანია და, ამდენად, განაპირობებს მოლაპარაკის „დადებითი სახის“ ხაზგასმას.

## თაზო IV

### კულტურული შოკის წარმოქმნა და მისი აცილების ხერხები ინგლისური და ქართული სტუმარ-მასპინძლობის ეტიკეტის მაგალითზე.

*When in Rome, do as the Romans do.*<sup>128</sup>

რა ქვეყანას მიხედვით, იქაური ქუდი დაიხურეთ.

უცხო ქვეყანაში სტუმრობისას, დგება ხოლმე პერიოდი, როდესაც ადამიანი განიცდის იმას, რასაც კულტურული შოკი (culture shock)<sup>129</sup> ჰქვია. საქმე ისაა, რომ ამ დროს ერთი ერის წარმომადგენელი ხვდება მისთვის უცხო კულტურულ და სოციალურ გარემოში, და, შესაძლებელია, იგი გარკვეულ სირთულეებს წააწყდეს უცხო კულტურასთან და მის ადათ-წესებთან შეგუებისას. შედეგად, მას შეიძლება ისეთი გრძნობები დაეუფლოს, როგორიცაა გაკვირვება, პატივისცემა, გაბრაზება, იმედგაცრუება, უცხო კულტურისადმი გაუცხოება და მისი მიუღებლობის შეგრძნებაც კი. უნდა ითქვას, რომ, თუ ორი სხვადასხვა ერის წარმომადგენელი ვერ უგებს ერთმანეთს მათ შორის არსებული სხვადასხვა კულტურული ღირებულებების, არსებული სოციალური წყობის და წეს-ჩვეულებების გამო, ეს მრავალი კულტურული შეჯახების (არჩერი 1986) მიზეზი ხდება, რაც თავის მხრივ, ხშირად კულტურულ შოკს იწვევს. შეუძლებელია ზუსტად იმის თქმა, თუ რა შეიძლება განიცადოს თითოეულმა ადამიანმა სხვა ქვეყნის კულტურასთან შეგუების პროცესში, რადგან უცხო ქვეყანაში ცხოვრების პირველ ხანებში ადამიანს სხვადასხვა ემოცია ეუფლება. მიიჩნევა, რომ კულტურული შოკი რამდენიმე დონისგან (ფაზისგან) შედგება, რომლის გავლაც ადამიანს უცხო გარემოში ხშირად უწევს. ეს დონეები

<sup>128</sup> English Proverbs and Sayings, გეარჯალაძე და მჭედლიშვილი 1970: 315

<sup>129</sup> ტერმინი „კულტურული შოკი“ შემოიღო ანთროპოლოგმა კალერვო ობერგმა, რომელმაც პირველმა განიხილა კულტურული შოკის გამომწვევი მიზეზები და დამახასიათებელი თვისებები თავის ცნობილ სტატიაში 'Cultural Shock: Adjustment to New Cultural Environments' (in Practical Anthropology, Vol. 7. pp. 177-182, Smalley, W.A., Nida, E.A. Tarrytown, New York, USA, 1960)

შემდეგია: *თაფლობის დონე* (the honeymoon stage), *დარდის, მწუხარების დონე* (the distress stage), *რე-ინტეგრაციის დონე* (the re-integration stage), *ავტონომიის დონე* (the autonomy stage) და *დამოუკიდებლობის დონე* (the independence stage) (სმიტი 2004: 40-41).

ტიპურ *თაფლობის დონეზე*, ყველაფერი ახალი განსხვავებული და მეტწილად დადებითია. ხალხი სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს. ადამიანი ენთუზიაზმით არის განწყობილი მოსალოდნელი სიახლეებისადმი.

*დარდის, მწუხარების დონეზე*, სიახლის და აღევლების შეგრძნება თანდათან ქრება და ყოველდღიური ცხოვრების სიძნელეები იჩენს ხოლმე თავს. ადამიანმა, შესაძლოა, თავი იგრძნოს დაბნეულად, იზოლირებულად და სამშობლოზე დანადვლიანებულად. უფრო მეტიც, მას შესაძლოა ჯანმრთელობის პრობლემებიც შეექმნას, როგორცაა უძილობა, ალერგია, ან წარმოიშვას სირთულე ახალი (უცხო) საკვების შეგუებასთან დაკავშირებით. ეს რეაქციები უჩვეულო არ არის და უმეტესად დროთა განმავლობაში ქრება.

*რე-ინტეგრაციის დონეზე* ადამიანმა თავი ჯერ კიდევ შეიძლება დათრგუნულად ან დაუცველად იგრძნოს; შესაძლოა სხვები დაადანაშაულოს იმაში, რასაც გრძნობს და განიცდის და მიუღებლად მიიჩნიოს ის ახალი კულტურა, რომელშიც აღმოჩნდა. მალე, შესაძლოა, იმაზე ფიქრიც დაიწყოს, რომ სამშობლოში *ყველაფერი* ბევრად უკეთესად იყო, ვიდრე იქ, სადაც ის ახლა იმყოფება. ეს რეაქციები ნორმალურია, ეს ისაა, რითაც ადამიანები ცდილობენ შეეგუონ დიდ ცვლილებებს თავიანთ ცხოვრებაში.

საბედნიეროდ, *ავტონომიის დონეზე* გადასვლისას, ადამიანი, როგორც წესი, უფრო იმედიანად არის განწყობილი. ის უფრო მეტად რწმუნდება იმაში, რომ შეუძლია ახალ სიტუაციასთან შეგუება, და, შესაძლოა, უფრო ნაკლებად გახდეს სხვებზე დამოკიდებული. ამის შედეგად, ის უკვე აღწევს *დამოუკიდებლობის იმ დონეს*, რომელსაც ახალი კულტურის უნიკალური და საინტერესო ასპექტების გაგება ახასიათებს. ამ სტადიაში უკვე გადალახულია შეგუების პროცესი; ადამიანს შეუძლია დატკბეს საკუთარი გამოცდილებით და აღიდგინოს წონასწორობა. ახლა მთელი წრე არის გავლილი და უცხოელი თავს ისევ კარგად გრძნობს.

კულტურულ შოკზე საუბრისას უნდა ითქვას, რომ შესაძლებელია ადამიანს კულტურული შოკის კრიზისული დონისათვის დამახასიათებელი განცდები ახალ კულტურაში აღმოჩენისთანავე დაეუფლოს, ანუ *თაფლობის დონის* გავლის გარეშე, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს უცხო ქვეყნის მკვეთრად განსხვავებული სოციალური, კულტურული, ენობრივი და სხვა ფაქტორებით. ადამიანმა, პირველ რიგში, უნდა გაითვალისწინოს, რომ დისკომფორტის ის შეგრძნებები, რაც მან შესაძლოა განიცადოს უცხო კულტურაში აღმოჩენისას, სავსებით ნორმალურია და კულტურული შოკის გადალახვას გარკვეული დრო სჭირდება, რათა მოხდეს თავიდანვე უარყოფითად შეფასებული ნორმებისა და წესების გადაფასება და გაგება. აღსანიშნავია ისიც, რომ კულტურულ შოკს დადებითი შედეგებიც შეიძლება მოჰყვეს, რისი ერთ-ერთი გამოვლინებაც გარკვეული იმუნიტეტის შემუშავებაა, კერძოდ ის, რომ კულტურული შოკის განცდის დაძლევის შემდეგ, ადამიანი უფრო გახსნილი ხდება სხვა კულტურებისადმი.

როგორც ჰაიმსი (ჰაიმსი 1994, ჰინკელში 1996: 53) აცხადებს, ორი განსხვავებული სამეტყველო კოლექტივის ურთიერთობისას, ურთიერთობის ნორმებს შესაძლებელია სხვადასხვა ინტერპრეტაცია მიეცეს, რაც ხშირად იწვევს გაუგებრობას სხვადასხვა კულტურული ჯგუფის წარმომადგენელთა შორის. საქმე ისაა, რომ ურთიერთობის დროს, ერთი კულტურის წარმომადგენელი მეორე კულტურის წარმომადგენლის საქციელს თუ სიტყვებს აფასებს საკუთარ კულტურაში მიღებული ნორმებისა და ფასეულობების მიხედვით, რაც ხშირად შეუთავსებადია მისი უცხოელი მოსაუბრის კულტურულ თავისებურებებთან. ამან შეიძლება გამოიწვიოს დაძაბულობა და უთანხმოება მოსაუბრეებს შორის, რასაც, ხშირად, სამწუხაროდ, კულტურულ შოკამდე მიყვავართ. ამის თავიდან ასაცილებლად, უცხოური ენის დაუფლებისას, აუცილებელია იყოს შესწავლილი ამ ენაზე მოლაპარაკე კოლექტივის კულტურული (ყოფითი) ნორმები, რადგან მხოლოდ ენის კარგი ცოდნა ვერ უზრუნველყოფს ამ ნორმების ავტომატურ დაუფლებას. უცხოური ენის თითოეულმა მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ უცხოური ენის შესწავლა არ გულისხმობს მხოლოდ გრამატიკული, ლექსიკური თუ ფონეტიკური წესების სწავლებას, არამედ აუცილებელია შესასწავლი ენის



მატარებელი კოლექტივის ყოფითი ნორმების ცოდნაც. ასეთი საჭირო ცოდნის შექმნის გარეშე, მოსწავლეებს ენის გამოყენების შეზღუდული და ხშირად დამახინჯებული ცოდნა ექნებათ, რაც მათ კულტურული შოკის მსხვერპლად აქცევს მათთვის განსხვავებულ კულტურაში აღმოჩენისას. ყოველივე ამის თავიდან ასაცილებლად, ვალდესი (ვალდესი 1986, დემეტრაძეში 1996: 85-86) მასწავლებლებს სთავაზობს 8 საკითხს, რომლებზედაც განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებაა საჭირო. ამასთანავე ავტორი აღნიშნავს, რომ ეს სია სრულიად არ არის ამომწურავი:

1. მისაღმება/დამშვიდობება, მეგობრული საუბარი, სასაუბრო თემები არაოფიციალურ სიტუაციაში, უცნობ ადამიანთა გაცნობის, წარდგენის რიტუალი;
2. როგორ აისახება ენაში, განსაკუთრებით კი ზმნათა და ნაცვალსახელთა გამოყენებაში პიროვნული ურთიერთობანი, ოფიციალურობის ხარისხი, ემოციური დაძაბულობა, განსხვავება ასაკში, სოციალურ სტატუსში;
3. მეტყველების დონეები. როგორი რეგისტრი გამოიყენება თითოეულ სამეტყველო სიტუაციაში;
4. თავაზიანობის ფორმულები და მათი გამოყენება;
5. ვერბალური ტაბუ. გამონათქვამები და სიტყვები, რომელთა გამოყენება დაუშვებელია და მათი მისაღები ექვივალენტები;
6. წერითი და ზეპირი მეტყველება. წერითი ენის ლექსიკური სიმდიდრე, სტრუქტურული სირთულე და სხვა მახასიათებლები, რომლებიც მას ზეპირი მეტყველებისაგან განასხვავებს;
7. მიწვევები, პაემანის დანიშვნა, დაპატიუების მისაღები ფორმით წარმოთქმა, სტუმარ-მასპინძლობის რიტუალები;
8. წერილების წერა და გაგზავნა, მათი დაწყება და დაბოლოება. კონვერტზე მისამართის სწორად დაწერა.

ამრიგად, უცხოური ენის ლექსიკისა და გრამატიკის შესწავლის გარდა, ენის სრულყოფილი დაუფლების მიზნით და უცხოელებთან ჰარმონიური ურთიერთობის დასამყარებლად, აუცილებელია ადამიანმა საკომუნიკაციო კომპეტენცია შეიძინოს, რაც გულისხმობს იმას, რომ ასეთი ცოდნის არსებობის

შემთხვევაში, მოლაპარაკესა და მსმენელს შეეძლება განახორციელონ წარმატებული საკომუნიკაციო აქტები სხვადასხვა სოციალურ კონტექსტში. საკომუნიკაციო კომპეტენციის შექმნა ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ახალ კულტურაში აღმოჩენისას ის დიდად დაეხმარება უცხოელს კულტურული შოკის აცილებაში ან მის მაქსიმალურ შემსუბუქებაში. საკომუნიკაციო კომპეტენცია მოიცავს<sup>130</sup>:

1. *გრამატიკულ კომპეტენციას ან ფორმალურ კომპეტენციას*: ენის გრამატიკის, ლექსიკის, ფონოლოგიის და სემანტიკის ცოდნას;
2. *სოციოლინგვისტურ კომპეტენციას ან სოციოკულტურულ კომპეტენციას*: ენისა და მის არალინგვისტურ კონტექსტს შორის არსებული ურთიერთობის ცოდნას; ცოდნას იმისა, თუ როგორ უნდა გამოიყენებოდეს და პასუხი გაეცეს ისეთ სამეტყველო აქტებს, როგორცაა მიპატიჟება, შეთავაზება, თხოვნა, მადლობის გადახდა, მობოდიშება; ცოდნას იმისა, თუ როგორი მიმართვის ფორმები უნდა იყოს გამოყენებული სხვადასხვა ადამიანებთან მიმართებაში სხვადასხვა სიტუაციაში, და ა.შ.;
3. *დისკურსის კომპეტენციას* (რომელსაც ხანდახან განიხილავენ, როგორც სოციოლინგვისტური კომპეტენციის ნაწილს): ცოდნას იმისა, თუ როგორ უნდა დაიწყოს და დაამთავროს მოლაპარაკემ საუბარი;
4. *სტრატეგიულ კომპეტენციას*: საკომუნიკაციო სტრატეგიების ცოდნას, რომელთაც შეუძლიათ აანაზღაურონ სხვა სფეროში არსებული ნაკლოვანებები.

როგორც ვხედავთ, საკომუნიკაციო კომპეტენციის შექმნისას, ადამიანს შესაძლებლობა ეძლევა ბუნებრივად წარმართოს ურთიერთობა მისთვის უცხო კულტურის წარმომადგენელთან, რაც წარმატებული კომუნიკაციის საწინდარია. როგორც ჰოლმსი (ჰოლმსი 2001: 275) აცადებს: „უცხოური ენის შესწავლა მეტწილად მოიცავს უფრო მეტს, ვიდრე სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობის შესწავლას, მათ ერთმანეთთან დაკავშირებას და სწორად წარმოთქმას. აუცილებელია ვიცოდეთ მათი მნიშვნელობა იმ კულტურულ კონტექსტში,

<sup>130</sup> Aryadoust Seyed Vahid, A Dictionary of Sociolinguistics Plus Pragmatics And Sociolinguistics, 2007: 50-51

რომელშიც ისინი გამოიყენება. ეს მოიცავს ამ ენაზე მოლაპარაკეთა კულტურული და სოციალური ნორმების გაგებას“.

საზოგადოდ ცნობილია, რომ ინგლისურ კულტურაზე საუბრისას, ხშირად ინგლისელების არაპირდაპირობაზე და გამოკვეთილ თავაზიანობაზე მიუთითებენ, რაც ასევე შესაძლოა გულგრილობად და ზედმეტ ოფიციალურობად იყოს შეფასებული. მართლაც, ინგლისელებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ისეთი სიტყვების წარმოთქმა, როგორიცაა *'please'* და *'thank you'*, რაც დადასტურდა ჩემი ინგლისელი ლინგვისტური ინფორმანტების პასუხებში, მაგ.: *'The English on the whole go to great efforts to take care of their interlocutors' feelings and therefore the role of 'P's and 'Q's is very important'*. ამგვარი თავაზიანი ფორმულების მეშვეობით, რომლებიც დღეში მრავალჯერ წარმოითქმის, უფრო სწორად *'after virtually every word'*, როგორც ინგლისში ერთ-ერთმა უცხოელმა ინფორმანტმა შემომჩივლა (და შემდგომშიც მე მსგავსი რამ არა ერთხელ მსმენია სხვა უცხოელი ლინგვისტური ინფორმანტებისაგან), ინგლისელები გამოხატავენ პატივისცემას ერმანეთისადმი, ხოლო *'P's* და *'Q's'* წესის დარღვევა, რაც ხშირად ემართება უცხოელებს, რომლებისთვის შესაძლოა რთული აღმოჩნდეს ამ წესის მუდმივი დაცვა, უხეშ საქციელად მიიჩნევა, ამას კი ინგლისელის მხრიდან უარყოფითი შეფასება მოჰყვება. საქმე ისაა, რომ მიმართვისას, სიტყვის *'please'* წარმოთქმა იმპერატივს თხოვნად აქცევს, ხოლო მრავალი *'thank you'* მოსაუბრის მიერ გაწეული სამსახურის დაფასების ნიშანია მოლაპარაკის მხრიდან, რის გამოვლინებაც აუცილებელია. ამავდროულად, როგორც ფოქსი აცხადებს (ფოქსი 2004: 150), „არაფერი განსაკუთრებულად თბილი ან მეგობრული ინგლისურ *'P's'* და *'Q's'* არა აქვთ. მათ ზოგადად წარმოთქამენ თვალეებში ჩახედვის ან ღიმილის გარეშე“. და მაინც, მიუხედავად ამ სიტყვების უმეტესწილად ავტომატური და მექანიკური წარმოთქმისა, მათი ჩართვა ყოველდღიურ საუბარში ინგლისელებისთვის აუცილებელი პირობაა და ამ წესის დაცვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. უფრო მეტიც, ინგლისში ამგვარი თავაზიანი ფორმების წარმოთქმა მიღებულია ოჯახის წევრების თუ ახლო მეგობრების ურთიერთობაშიც. როგორც ვეჰბიკა (ვეჰბიკა 2006: 54) აცხადებს, *'Please, thank you, sorry, can you/ could you/ would you'* წარმოთქმა უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ყოველდღიურ საუბარში, რომელიც ინგლისში ოჯახის

წევრებსა და მეგობრებს შორის იმართება. ამით გასმულია ადამიანთა „პირადი ავტონომიისადმი“ პატივისცემა, ხოლო ოჯახში, სუფრაზე ან სამზარეულოში სიტყვის *'thank you'* ხშირი წარმოთქმა მიანიშნებს იმაზე, რომ შემსრულებლის არც ერთი მოქმედება არ რჩება მადლიერების გამოხატვის გარეშე“. უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისელების ასეთი საქციელი განსხვავებული კულტურის წარმომადგენლის თვალში ხშირად აღიქმება, როგორც გადაჭარბებული ან მეტისმეტად ოფიციალური. ამრიგად, როგორც ითქვა, განსხვავებული კოლექტივის წარმომადგენელთან წარმატებული კომუნიკაციის დასამყარებლად საჭიროა როგორც სწორი ენობრივი ფორმების გამოყენება, ასევე განსხვავებული კოლექტივის სოციალური და კულტურული ნორმების ცოდნა. ის, რომ ინგლისელები „უარყოფითი თავაზიანობის“ მატარებლებად მიიჩნევიან (იხ. ბრაუნი და ლევისონი 1987; ფოქსი 2004; სიფიანუ 1992, ვეუბიცკა 2006), მათ მიერ გამოყენებულ და მათთვის დამახასიათებელ უამრავ ირიბ და ძალზე თავაზიან ფორმებშიც ვლინდება. როგორც უკვე აღინიშნა, ინგლისელების ასეთი გამოკვეთილი თავაზიანობა ხშირად უცხოელებში ინგლისელების თავშეკავებულობის და გულგრილობის შთაბეჭდილებას ტოვებს. სინამდვილეში, ეს თავშეკავებულობა თავაზიანობის გამოვლინებას წარმოადგენს და ნათლად გამოხატავს იმას, რასაც ბრაუნი და ლევისონი „უარყოფით თავაზიანობას“, ხოლო სკოლონები (სკოლონები 1997) „დამოუკიდებლობას“ უწოდებენ. მიმაჩნია, რომ სკოლონების ტერმინი კარგად ასახავს ინგლისელებისათვის ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ თვისებას- დამოუკიდებლობისადმი ლტოლვას, რაც გამომდინარეობს ინგლისელების სურვილიდან არ განიცადონ სხვა ადამიანის ზეგავლენა, და რაც რადიკალურად უპირისპირდება „დადებითი თავაზიანობის“ ანუ „ჩართვის“ პრინციპს. ფოქსი (ფოქსი 2004: 235) „დადებითი თავაზიანობის კულტურებს“ მეტად საინტერესო ტერმინით, კერძოდ კი „კონტაქტურ კულტურებად“ მოიხსენიებს. იმის გამო, რომ ინგლისელები „უარყოფითი თავაზიანობის კულტურას“ მიეკუთვნებიან, ხოლო ქართველები „დადებითი თავაზიანობის კულტურის“ მატარებელნი არიან, ამან შეიძლება გაართულოს ურთიერთობა ამ ორი კულტურის წარმომადგენელთა შორის, რასაც კულტურული შოკიც შეიძლება მოჰყვეს. ამის მაგალითად შემიძლია მოვიყვანო ჩემი ერთ-ერთი ინგლისელი ინფორმანტის სიტყვები: „მე არ მომწონს, რომ

მაძალევენ სუფრასთან დაჯდომას, მით უმეტეს ისეთი ფორმით, როგორცაა, „დაჯექი“ (sit down). ეს ჩემს უპატივცემლობად მიმაჩნია და ჩემზე გარკვეული ზეგავლენის განხორციელების მცდელობა მგონია“. მოცემულ მაგალითში ნათლად ვლინდება ქართველ მასპინძელსა და მის ინგლისელ სტუმარს შორის „ზიარი ცოდნის“ არარსებობა, რადგან ფრაზას „დაბრძანდით“, რომელსაც ქართველი მასპინძელი გამოიყენებდა ახალგაცნობილ ადამიანთან მიმართებაში, ხშირად თარგმნიან, როგორც ‘Sit down’, და ის, რაც ქართულში თავაზიანობის მაგალითია, ინგლისურ ენაზე არასწორი ინტერპრეტაციის გამო, კარგავს თავაზიანი გამონათქვამის თვისებებს ინგლისელის თვალში. უფრო მეტიც, ინგლისელი ასეთ გამონათქვამს საწყენად მიიჩნევს, რადგან აღიქვამს მას, როგორც ბრძანებას, ანუ მასზე ზეგავლენის განხორციელების უხეშ მცდელობას. ამის შედეგად, ქართველი მასპინძლის მიერ წარმოთქმული გულწრფელი შეთავაზება მის ინგლისელ სტუმარში პროტესტის შეგრძნებას იწვევს და ამ უკანასკნელმა შეიძლება თავისი მასპინძელი არათავაზიან ადამიანად ჩათვალოს. ამიტომ, უმჯობესია ქართველმა მასპინძელმა შემდეგნაირად მიიპატიოს ინგლისელი სტუმარი სუფრასთან *‘Will you sit down?’*, *‘Won’t you sit down?’*, *‘Would you please sit down?’*, *‘Please do sit down’* ფორმებით, ანუ იცოდეს ის, თუ როგორი ენობრივი ფორმებია მისაღები მოცემულ ყოფით სიტუაციაში.

ინგლისში ოფიციალურ სადილზე სტუმრად მყოფმა ქართველმა შეიძლება ამგვარი შეთავაზებები მოისმინოს ინგლისელი მასპინძლისაგან:

*‘Would you care for some lobster salad?’* ან

*‘Will you have a little more sponge pudding?’* (ბლანდელი 1997: 186-187).

ასეთი შეთავაზებები ხშირად კითხვითი ფორმით არის წარმოთქმული, ანუ შეიცავენ *‘if you want to’* ინფორმაციას, და მოცემული კითხვითი კონსტრუქციების მეშვეობით მოლაპარაკე მაქსიმალურად ცდილობს არ მოახდინოს ზეგავლენა სტუმარზე და, ამავე დროს, გამოიჩინოს სტუმრისადმი ყურადღება.

ამგვარი სახის შეთავაზებაზე სტუმარმა ასეთივე თავაზიანი პასუხი უნდა გასცეს:

*‘Thank you so much’*, ან *‘I am not sure I can (could). Thank you’* (ბლანდელი 1997: 188).

საგულისხმოა, რომ კითხვითი ფორმების გამოყენება ფართოდ გავრცელებულია არაოფიციალურ ინგლისურშიც, მაგ.: *'Fancy an apple pie?'*.

აღსანიშნავია, რომ ტანაკა და კავადე (ტანაკა და კავადე 1982: 18, მაიერში 1995: 385) მიუთითებენ თავაზიანი და არათავაზიანი საზოგადოებების არსებობაზე, აცხადებენ რა, რომ ექსპლიციტური პერფორმატივების გამოყენება, ჩვეულებისამებრ, შეუფერებელი რამაა თავაზიანი საზოგადოებისათვის და ღია პერფორმატივის გამოყენება უხეშობაა. მიუღებლად მიმჩნია საზოგადოებების დაყოფა თავაზიან და არათავაზიან საზოგადოებებად, რადგან თითოეულ საზოგადოებას თავაზიანობის გამოხატვის საკუთარი ლინგვისტური საშუალებები აქვს, რაც შეუძლებელია განისაზღვროს მეტყველების პირდაპირობის თუ არაპირდაპირობის დონით. საქმე ისაა, რომ ზოგ კულტურას არაპირდაპირობა ახასიათებს (მაგ. ინგლისურ კულტურას), ხოლო სხვა კულტურაში პირდაპირობა ნორმად მიიჩნევა, რაც „დადებითი თავაზიანობის კულტურებისთვისაა“ დამახასიათებელი (მაგ. ქართული კულტურა). რაც უფრო ახლო ურთიერთობა აქვთ მოსაუბრეებს, მით უფრო პირდაპირი ურთიერთობა მყარდება მათ შორის, და მით უფრო ხშირია მათ მეტყველებაში ექსპლიციტური პერფორმატივების გამოყენება, რაც ამავდროულად „დადებითი თავაზიანობის“ ნიშანია. იმ დროს, როდესაც ინგლისელი მასპინძელი სუფრაზე შეთავაზებას თუ მიპატიჟებას ძირითადად ირიბი ფორმით წარმოთქვამს, ქართველი მასპინძელი ნაცნობ თუ ახალგაცნობილ სტუმარს ხშირად ექსპლიციტური პერფორმატივით მიმართავს, მაგალითად: *'სულ არაფერს არ ჭამ, ხაჭაპური აიღე', 'მწვადი გადაიღეთ, მოგეწონებათ', 'ხილი მაინც აიღე, დიეტაზე თუ ხარ?'* შეთავაზებაში ამგვარი ექსპლიციტური პერფორმატივების გამოყენებით, ქართველი მასპინძელი, როგორც „დადებითი თავაზიანობის კულტურის“ წარმონადგენელი, ავლენს თავის მეგობრულ და უშუალო დამოკიდებულებას სტუმრისადმი და მისდამი ზრუნვას გამოხატავს.

როგორც ვხედავთ, სხვადასხვა სახის სამეტყველო აქტების განხორციელება განპირობებულია მრავალი განსხვავებული ენობრივი და კულტურული ფაქტორით. საზგასმით უნდა ითქვას, რომ შეთავაზების მიპატიჟების თუ თხოვნის სამეტყველო აქტები, ისევე როგორც სხვა სახის სამეტყველო აქტები, განსხვავებული ფორმით ხორციელდება და აისახება

სხვადასხვა კულტურაში. თავისი ფორმებით ისინი გამოხატავენ ამა თუ იმ საზოგადოებისათვის დამახასიათებელ სოციალურ და კულტურულ თავისებურებებს.

უნდა ითქვას, რომ საუკეთესო შემფასებელი იმისა, თუ რამდენად თავაზიანია ესა თუ ის გამონათქვამი თუ საქციელი, კონკრეტული საზოგადოების ადგილობრივი მაცხოვრებელი შეიძლება იყოს, რადგან მას გათავისებული აქვს მოცემული საზოგადოების ნორმები და ამ საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ნებისმიერი საქციელის ადეკვატური შეფასება შეუძლია. ამავე დროს, უცხოელი სტუმარი განიხილავს მისთვის უცნობი ან ნაკლებად ცნობილი საზოგადოების წევრთა საქციელს თუ ენობრივ ფორმებს საკუთარ საზოგადოებაში მიღებული ფასეულობებისა და კრიტერიუმებიდან გამომდინარე, რასაც, ხშირად არასწორი შეფასება და რეაქცია შეიძლება მოჰყვეს მისი მხრიდან.

აღსანიშნავია, რომ ინგლისელებთან ურთიერთობისას, ქართველმა უნდა მიაქციოს ყურადღება იმას, რასაც ინგლისელები „პირად შეკითხვებზე“ საუბრის კულტურულ ტაბუს უწოდებენ. ამგვარი აკრძალული „პირადი შეკითხვების“ ძირითადი სია შემდეგია:<sup>131</sup>

1. ასაკი: (How old are you?)
2. ბავშვები: (Do you have any children?)
3. ფული: (How much do you earn?)
4. პირადი ცხოვრების საკითხები: (Are you married?)

მიიჩნევა, რომ ასეთ შეკითხვებზე ტაბუს არსებობა ემსახურება ადამიანის „პირადი ავტონომიის“ დაცვას და სხვა ადამიანთან დისტანციის დაჭერას. ინგლისელისათვის ამგვარი „აკრძალული“ შეკითხვის დასმის შემთხვევაში, ის თავის უარყოფით დამოკიდებულებას ამ შეკითხვისადმი უეცარი სიჩუმით გამოხატავს, რითაც მიახვედრებს მსმენელს, რომ ამ უკანასკნელმა ზედმეტი ინფორმაციის მიღება მოისურვა.

ასევე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისელებთან ურთიერთობისას, ქართველი ფრთხილად უნდა მოეკიდოს ინგლისელთან

<sup>131</sup> <http://www.mycql.com>

მოულოდნელი ვიზიტით მისვლას, რადგან ასეთი საქციელით მან შესაძლებელია ძალზე უარყოფითი შთაბეჭდილება დატოვოს მასპინძელზე, რასაც ჩემი უცხოელი ლინგვისტური ინფორმანტები ადასტურებენ: როგორც მათ აღნიშნეს, ინგლისელებს არ უყვართ მოულოდნელი სტუმრები. ამის შედეგად, ზოგ უცხოელს (განსაკუთრებით იმას, ვინც „დადებითი თავაზიანობის კულტურის“ მატარებელია), ინგლისელებზე ექმნებათ ისეთი შთაბეჭდილება, რომ ისინი არასტუმართმოყვარე ხალხია. ისეთი გამონათქვამები, როგორიცაა, „გამოიარე“, „გვინახულე ხოლმე“, ანუ ჩვენთვის ჩვეული ფრაზები შეიძლება ინგლისელების საუბარშიც შეგვხდეს: *'You might come over any time'*, *'Why don't you come and have a cup of coffee some day?'* (გოქსაძე და დემეტრაძე 1996: 19). ფატიკური კომუნიკაციის ამ მაგალითების მეშვეობით მოლაპარაკე ცდილობს დადებითი განწყობა შექმნას მასსა და მსმენელს შორის და ახლო მეგობრული ურთიერთობის სურვილი დაანახოს მსმენელს. მაგრამ ინგლისში ამგვარი ფატიკური „მიპატიუების“ საფუძველზე მოულოდნელი სტუმრობა მიზანშეწონილი არ არის: მასპინძელი შეიძლება დაკავებული აღმოჩნდეს, რაც უხერხულ სიტუაციას შექმნის და მეტად უარყოფით ზეგავლენას მოახდენს სტუმარზეც და მასპინძელზეც. მოულოდნელმა სტუმარმა შეიძლება მასპინძელი უხეშ და არასტუმართმოყვარე ადამიანად ჩათვალოს, რაც მისთვის კულტურული შოკის განცდის მორიგი მიზეზი შეიძლება გახდეს, ხოლო მასპინძელმა შეიძლება სტუმარი მოურიდებელ ადამიანად მიიჩნიოს. მიღებული მოწვევის შემთხვევაში კი, განსაკუთრებით მაშინ, თუ სტუმარი მასპინძლისათვის ნაცნობი ადამიანია, მას ინგლისურ ოჯახში გულდიად მიიღებენ და კარგ მასპინძლობასაც გაუწევენ. ფოქსი (ფოქსი 2004: 392) აცხადებს, „არაოფიციალურ სიტუაციებში, ისეთ ხალხთან ურთიერთობისას, რომელსაც ჩვენ კარგად ვიცნობთ, ჩვენ შეგვიძლია გამოვხატოთ სითბო, გახსნილობა, და ადამიანური ემოციების სრული დიაპაზონი, რომლის გამოვლინება ხდება მეგობრებთან და ნათესავებთან ურთიერთობისას. ეს ის მხარეა, რომელსაც ბევრი უცხოელი სტუმარი ვერასდროს ხედავს, იშვიათი მომენტების გარდა, და ნაცნობობის საკმაოდ ხანგრძლივი დრო უნდა გავიდეს, რომ უცხოელი ამის მომსწრე გახდეს“. ერთწლიანი პირადი დაკვირვების საფუძველზე შემიძლია ვთქვა, რომ მოცემული შეფასება სიმართლეს შეესაბამება, და ინგლისელების



სტუმარმასპინძლობის გამოხატვა ახლო ადამიანებთან და მეგობრებთან იქნეს მკაფიო გამოხატულებას, განსაკუთრებით არაოფიციალური წვეულებების გამართვის დროს.

ამგვარად, ინგლისში მიღებულია, რომ სტუმრობის თაობაზე შეთანხმება მოხდეს წინასწარ, და, ხშირად (მაგალითად ოფიციალურ მიღებაზე მიპატიუების შემთხვევაში), წერილობითი ფორმითაც კი. დღეს მიწვევები ხშირად იგზავნება ელექტრონული ფოსტით ან, ახლო მეგობრების შემთხვევაში, მობილური შეტყობინებებითაც. მიღებულ მიპატიუებაზე აუცილებელია პასუხის გაგზავნა, სასურველია იმ ფორმით, რომელშიც თვით მოწვევა იყო მიღებული. თავის პასუხში სტუმარი მკაფიოდ ატყობინებს მასპინძელს, შეძლებს თუ არა მასთან მისვლას. საგულისხმოა ისიც, რომ მოულოდნელი სტუმრობა მიპატიუების წერილზე დადებითი პასუხის შეტყობინების გარეშე, უხერხულობაში ჩააგდებს ინგლისელ მასპინძელს, მით უმეტეს, თუ სტუმარი მასთან შეუთანხმებლად ერთ ან რამდენიმე მეგობარს მიიყვანს. ზოგი ქართველისათვის ეს უხერხულობა გაუგებარია და, სავსებით შესაძლებელია, კულტურული შოკის მიზეზი გახდეს. იმ შემთხვევაში, თუ ინგლისელს სურს, რომ სტუმარმა თან ვინმე წამოიყვანოს, ზეპირ ან წერილობით მიპატიუებაში აუცილებლად აღნიშნავს ამას ასეთი სიტყვებით: *"Bring a friend"*. საქართველოში კი თვით ანდაზა „სტუმარი ღვთისაა“, ვფიქრობ, უკვე იძლევა პასუხს იმაზე, თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ ქართველებს დაპატიუებული ან დაუპატიუებელი სტუმრისადმი. როგორც ვხედავთ, ის, რაც მისაღებია და ბუნებრივად აღიქმება ერთ კულტურაში, შესაძლოა, დაუშვებელი და შეურაცხყოფელიც კი აღმოჩნდეს სხვა კულტურის წარმომადგენლისთვის, რაც არა მხოლოდ კულტურულ შოკს იწვევს, არამედ, სავსებით შესაძლებელია, „სახის შელახვის“ მიზეზიც გახდეს. ინგლისში დაუპატიუებლად მისვლა ან მასპინძელთან შეუთანხმებლად ამხანაგის მიყვანა, ანუ ის, რაც ზოგ ქართველს ბუნებრივად მიაჩნია, იწვევს მისი „სახის შელახვას“ ინგლისელის თვალში, ქართველი კი, გარდა ამისა, კულტურული შოკის მსხვერპლი შეიძლება გახდეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხშირად იქმნება უხერხული სიტუაცია, რომელიც ინგლისური და ქართული კულტურული (ყოფითი) განსხვავებების გამო ინგლისელებს და ქართველებს კულტურული შოკის მსხვერპლად აქცევს.

როგორც ცნობილია, ქართული ტრადიციული სუფრის ძირითადი მიზანი სადღეგრძელოების წარმოქმნა და ერთმანეთისთვის გულის გადაშლაა. უცხოელი სტუმრები, რომლებიც არ იცნობენ ქართული სადღეგრძელოების ჯერობას, ხშირად არღვევენ წესებს და უხვევენ თამადის მიერ შემოთავაზებული თემიდან. ამავდროულად, უცხოეთში მყოფი ქართველები კი ხშირად არასწორად აფასებენ მასპინძლებს, რომლებიც სადღეგრძელოების წარმოქმნაში საკმაოდ სიტყვაძუნწნი არიან. მათი ყველაზე გავრცელებული სადღეგრძელოები შემდეგი სახისაა: Cheers! ან Chin-Chin!

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ, როგორც წესი, უცხოელ სტუმრებს (მათ შორის ინგლისელებსაც) აოცებთ და აკვირვებთ ის ფაქტი, რომ ქართველები ბევრს ლაპარაკობენ სარღეგრძელოს შესმის წინ, ხშირად ფეხზე დგებიან და ეს აუცილებელია სუფრის წვერი ყველა მამაკაცისთვის. უცხოელი სტუმრებისთვის ძალიან გამაღიზიანებელია, როდესაც სუფრის წვერები აიძულებენ მათ დალიონ დიდი რაოდენობით ღვინო და უარის შემთხვევაში მასპინძელმა შესაძლოა თავი შეურაცხყოფილად იგრძნოს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ინგლისელ ინფორმანტებთან საუბრისას ქართულ სტუმარ-მასპინძლობაზე რესპონდენტების უმეტესობამ დაადასტურა ზემომოყვანილი ფაქტები, ხოლო ერთ-ერთმა სტუმარ-მასპინძლობის ამგვარ გამოხატულებას „აგრესიული სტუმარ-მასპინძლობა“ (aggressive hospitality) უწოდა. იგი გულისხმობდა ზუსტად ისეთ შემთხვევებს, როდესაც უცხოელ სტუმარს უწევს ბევრი სადღეგრძელოს დალევა და სუფრაზე დიდხანს ჯდომა. ამავდროულად, ამ სიტყვების ავტორმა აღნიშნა, რომ მას ესმის ის, რომ ქართველები ყველანაირად ცდილობენ თავიანთი პატივისცემისა და სტუმართმოყვარეობის გამოხატვას უცხოელის მიმართ, მაგრამ მისთვის ეს უჩვეულო, და, პირველ ხანებში, საკმაოდ ძნელი აღსაქმელიც იყო, განსაკუთრებით სადღეგრძელოების ხანგრძლივობა და მათი რაოდენობა. თუ ჩვენ ვიხელმძღვანელებთ კულტურული შოკის დონეების სისტემით, ამ უცხოელს *რე-ინტეგრაციის დონისათვის* დამახასიათებელი გრძნობები ეუფლებოდა და ის განიცდიდა შეუთავსებლობას ქართულ კულტურასთან. ამავე დროს, ბევრი სხვა ინგლისელი ინფორმანტი ჩემთან საუბრის დროს, როგორც ჩანს, უკვე *დამოუკიდებლობის დონეს* გადიოდა და მათთვის ქართული სტუმარ-

მასპინძლობა, სადღეგრძელოების მრავალფეროვნება და სუფრის სიმდიდრე დროის სასიამოვნოდ გატარებას ნიშნავდა. ბევრმა ინგლისელმა უკვე შეისწავლა, რომ, თუ სუფრაზე კაცს დაღვეა არ სურს, არსებობს საპატიო მიზეზები, რომლებიც აუცილებლად იქნება გათვალისწინებული, მაგ.: „სამწუხაროდ, წამალი უნდა დავლიო (ან დავლიე) და ვერ დავლევ“, „საჭესთან ვარ და ვერ დავლევ“ ან „თავს შეუძლოდ ვგრძნობ და, სამწუხაროდ, დიდხანს ვერ დავრჩები“. უცხოელმა სტუმარმა უკვე იცის, რომ ამდაგვარი მიზეზები არ გამოიწვევს მასპინძლის გრძნობების შელახვას და ამავე დროს, მის, როგორც სტუმრის „სახესაც“ საფრთხეს არ შეუქმნის. როგორც ვხედავთ, ამგვარი მომიზეზებები არაგულწრფელია და გამოიყენება მხოლოდ იმიტომ, რომ მიპატიუებულმა ადამიანმა შეძლოს თავისი „სახის შენარჩუნება“ მასპინძლის თვალში ანუ, ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს „თეთრ ტყუილთან“ (“white lie”- ბრაუნი და ლეინსონი 1987: 115).

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ კულტურული შოკი არის ის მოვლენა და განცდა, რომლის გადალახვა უხდებათ ადამიანებს მათთვის უცნობ და უჩვეულო კულტურულ გარემოში. უნდა გვახსოვდეს, რომ ეს მოვლენა დროებითია და ქვეყნის, ერის და კულტურის უკეთესად გაცნობის შემდეგ (რაც დიდად დამოკიდებულია მიმართვის ფორმების სწორად შერჩევაზე, სამეტყველო აქტების წარმატებით განხორციელებაზე, ფატიკური კომუნიკაციის სწორად წარმართვასა და თავაზიანობის ნორმების ცოდნაზე), კულტურული შოკის თავიდან აცილება უფრო ადვილი ხდება. მთავარია არ დაგვავიწყდეს იმის გათვალისწინება, რომ განსხვავებული კულტურის წარმომადგენლებთან ურთიერთობისას მათ სოციო-კულტურულ ნორმებსა და ტრადიციებს განსაკუთრებული სიფრთხილით და გაგებით უნდა მოვეკიდოთ, რათა ჩვენი თანამოსაუბრენი და სტუმრები არ გავადიზიანოთ, არ შეურაცხყოთ და მაქსიმალურად სწორად წარმოვაჩინოთ ჩვენი ეროვნული და პიროვნული სახე. გარდა ამისა, ჩემი აზრით, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ სხვადასხვა ერის ტრადიციები და კულტურა უნდა შეფასდეს არა როგორც დადებითი ან უარყოფითი, არამედ, როგორც ამა თუ იმ ერისთვის დამახასიათებელი თავისებურება და წეს-ჩვეულება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ:

1. თითოეულ ერს მისთვის დამახასიათებელი კულტურული (ყოფითი) წეს-ჩვეულებები და ნორმები ახასიათებს. როდესაც ერთი ერის წარმომადგენელი მისთვის განსხვავებული წეს-ჩვეულებების მქონე ქვეყანაში ხვდება და სხვა ერის წარმომადგენელთან უწევს ურთიერთობა, მას შესაძლოა გაღიზიანების, იმედგაცრუების, გაბრაზების შეგრძნება გაუჩნდეს მასპინძელი კულტურისადმი, რასაც კულტურული შოკი ჰქვია. კულტურული შოკის შემსუბუქებისათვის, უცხოელმა უნდა შეისწავლოს მასპინძელი ერის კულტურული (ყოფითი) ნორმები და თავისებურებები.
2. სხვა კულტურაში აღმოჩენისას, ძალიან დიდ როლს თამაშობს საკომუნიკაციო კომპეტენციის შექმნა, რაც იმას გულისხმობს, რომ უცხოელი სტუმარი არა მხოლოდ მისთვის უცხოური ენის მცოდნეა, არამედ იმას, რომ მას შეუძლია შესაფერისად მოიქცეს და შესაფერისი სამეტყველო კონსტრუქციები სხვადასვა სოციალურ კონტექსტში.
3. ინგლისურში ყველაზე გავრცელებული თავაზიანობის ფორმულები *Please* და *Thank you* მათი ძალზე ხშირი გამოყენებიდან გამომდინარე, შესაძლოა ავტომატურად წარმოითქვას ინგლისელების მიერ, მაგრამ ამ ფორმულების ნაკლები სისშირით გამოყენება უცხოელების მიერ ადვილი შესამჩნევია და ინგლისური ყოფის წარმომადგენლებში უარყოფით შეფასებას იწვევს. ინგლისური თავაზიანი მეტყველებისათვის აგრეთვე დამახასიათებელია კითხვითი კონსტრუქციები, რომელთა მეშვეობით მოლაპარაკე გამოხატავს მსმენელზე ნებისმიერი ზეგავლენის მოხდენისაგან თავის არიდების სურვილს.

4. ინგლისელებისათვის ძალიან გამაღიზიანებელია შეთავაზებების, მიპატიჟების თუ სხვა სამეტყველო აქტის ექსპლიციტური პერფორმატივით განხორციელება, რაც მათში ბუნებრივ პროტესტს იწვევს, რადგან ისინი ამას ბრძანებად აღიქვამენ. უმჯობესია, ქართველმა ზემოხსენებული სამეტყველო აქტები სიტყვის 'please' დართვით ან კითხვითი ფორმით განახორციელოს (მაგ., ირიბი სამეტყველო აქტის საშუალებით მიიპატიჟოს სტუმარი სუფრასთან).
  
5. იქედან გამომდინარე, რომ ინგლისელები „უარყოფითი თავაზიანობის კულტურის“ მატარებლები არიან, ხოლო ქართველები „დადებითის“, ამ ორი ერის წარმომადგენელთა შორის კულტურული შოკის განცდის აღბათობა დიდია. ინგლისში მიუღებელია მოულოდნელი სტუმრობა, და წარმოთქმული *'You must drop in sometime'* ნამდვილ მიპატიჟებას არ წარმოადგენს, რადგან ინგლისში სტუმრობაზე წინასწარი შეთანხმება აუცილებელია. ამის გამო, მოულოდნელად მისულმა სტუმარმა, სავსებით შესაძლებელია უარყოფითი შთაბეჭდილება მოახდინოს ინგლისელ მასპინძელზე, რომელიც სტუმარს მოურიდებელ ადამიანად ჩათვლის, ხოლო სტუმარი, სავსებით შესაძლებელია განაწყენებული დარჩეს ინგლისელის საქციელით და იგი გულგრილ და არასტუმართმოყვარე ადამიანად მიიჩნიოს, რაც მისთვის კულტურული შოკის კიდევ ერთი გამომწვევი მიზეზი გახდება.
  
6. შეუძლებელია კულტურების თავაზიან და არათავაზიან კულტურებად დაყოფა, რადგან თითოეულ კულტურას თავაზიანობის საკუთარი გამოვლინება და ნორმები ახასიათებს. ამდენად, თავაზიანობა არ შეიძლება შეფასდეს პირდაპირობის თუ არაპირდაპირობის დონით. ქართულ სუფრაზე ხშირია ექსპლიციტური პერფორმატივების გამოყენება მასპინძლის მხრიდან სტუმრებისადმი, რითაც ის გამოხატავს სითბოს, მეგობრობას და სტუმრის ინტერესებზე ზრუნვას. ექსპლიციტური პერფორმატივების გამოყენება „დადებითი თავაზიანობის კულტურების“ წარმომადგენლებს სჩვევიათ,

რომლებისათვის დამახასიათებელია პირდაპირი და გულდია საუბრის წარმართვა, ხოლო „უარყოფითი თავაზიანობის კულტურების“ წარმომადგენელთათვის არაპირდაპირობა და თავშეკავებულობაა დამახასიათებელი.

7. ინგლისურ კულტურაში არსებობს ტაბუ გარკვეული ტიპის შეკითხვებზე. კერძოდ, ინგლისელებს მიუღებლად მიიჩნიათ მათთვის ისეთი შეკითხვების დასმა, რომლებიც ეხება მათ ასაკს, ოჯახურ და ფინანსურ მდგომარეობას.
8. ქართული ტრადიციული სუფრის ერთ-ერთი მთავარი მიზანია სადღეგრძელოების წარმოთქმა და ერთმანეთისთვის გულის გადაშლა. თავდაპირველად ინგლისელი სტუმრებისათვის რთული გასაგები და უცნაური შეიძლება იყოს ქართული სადღეგრძელოების სიუხვე და სუფრის წვერთა მჭევრმეტყველება, და ისიც, რომ სადღეგრძელოს შესმის დროს ისინი ხშირად ფეხზე დგებიან და ეს აუცილებელია სუფრის წვერი ყველა მამაკაცისათვის.
9. განსხვავებული ყოფითი კოლექტივების წარმომადგენლებს შორის ურთიერთობა მათი სოციო-კულტურული ნორმებისა და ტრადიციების დაცვით უნდა ხდებოდეს, რათა სწორად წარმოიხდეს მათი ეროვნული და პიროვნული სახე. სხვადასხვა ერის ტრადიციები და კულტურა უნდა შეფასდეს არა როგორც დადებითი ან უარყოფითი, არამედ როგორც ამა თუ იმ ერისათვის დამახასიათებელი თავისებურება და წესჩვეულება.

## ზოგადი დასკვნები

1. სტუმარ-მასპინძლობის რიტუალების განხორციელებისას, დიდი როლი ენიჭება სამეტყველო ეტიკეტს. „ლინგვისტური რუტინები“ სამეტყველო ეტიკეტის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და მათი გამოყენება განპირობებულია როგორც ფორმით, ასევე სოციო-კულტურული კონტექსტით. ამ სტერეოტიპული გამონათქვამების გამოყენება არ გულისხმობს მხოლოდ სიტყვების ცოდნას, არამედ აუცილებლად მოითხოვს გარკვეული საზოგადოების სოციო-კულტურული თავისებურებების ცოდნას.
2. აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ის ქცევითი ნორმები, რომლებიც მიღებულია ერთი ადამიანის კულტურაში და ვერბალურ გამოხატულებას მის სამეტყველო ეტიკეტში პოულობს, შესაძლოა გაუგებარი, მიუღებელი და შეურაცხმყოფელიც კი იყოს სხვა კულტურის წარმომადგენლისათვის. ბევრ შემთხვევაში, ერთ ენაში მიღებული ამა თუ იმ სტანდარტული გამონათქვამების სიტყვა-სიტყვით თარგმნა გაუგებრობის მიზეზი ხდება უცხოელთან ურთიერთობისას, რადგან ყველა ერის სამეტყველო ეტიკეტში მისთვის დამახასიათებელი ეროვნული კოლორიტი არსებობს, რაც ამ სამეტყველო ეტიკეტის ნორმებს განსაკუთრებულს ხდის და ეს თავისებურებები ხშირ გამოხატულებას სტუმარ-მასპინძლობის რიტუალებში პოულობს.
3. ლიჩის ირონიის პრინციპმა, რომელიც ადამიანს შესაძლებლობას აძლევს იყოს თავაზიანი მაშინ როდესაც არათავაზიანია, საინტერესო ელფერი შესძინა თავაზიანობის თეორიის განვითარებას. ამავედროულად სადაოა ლიჩის აზრი მაქსიმუმის ერთი-მეორეზე უპირატესობის შესახებ. შეუძლებელია ერთი მაქსიმუმის, მაგალითად ტაქტის მაქსიმუმის უპირატესობაზე საუბარი დიდსულოვნების მაქსიმუმსთან შედარებით, რადგან თითოეული მაქსიმუმის როლი

კულტურულადაა განპირობებული ამა თუ იმ საზოგადოებაში ამ უკანასკნელის წეს-ჩვეულებებიდან გამომდინარე, და ის, რაც შეიძლება მისაღები იყოს ერთი ყოფითი კოლექტივისათვის, შეიძლება მიუღებელი აღმოჩნდეს მეორესათვის.

4. თავაზიანობის, როგორც ლინგვისტური თეორიის განვითარებაში უდიდესი როლი ენიჭება ბრაუნისა და ლევენსონის თავაზიანობის თეორიას, რომელიც დღემდე ყველაზე გავლენიან თეორიად მიიჩნევა. ბრაუნისა და ლევენსონი თეორიის ბირთვი „სახის“ ცნებაა, რომელიც შესაძლოა „დადებითი“ ან „უარყოფითი“ იყოს. სხვა მეცნიერების მსგავსად, მათ განავითარეს გრაისისა და მისი მიმდევრების თეორიები, მაგრამ ისინი მიიჩნევენ, რომ თავაზიანობა ის მიზეზია, რომელიც ხელს უშლის მოსაუბრეებს ილაპარაკონ მაქსიმუმის მკაცრი დაცვით.
5. შეუძლებლად მიმაჩნია სამეცნიერო აქტების დაყოფა ბუნებით თავაზიან და არათავაზიან აქტებად და ასევე ისეთ აქტებად, რომლებიც თავისი ბუნებით უქმნიან საფრთხეს მოლაპარაკისა თუ მსმენელის „სახეს“. ვთვლი, რომ თითოეული სამეცნიერო აქტი უნდა იყოს განხილული მისი კონტექსტისა და კულტურული თავისებურებებიდან გამომდინარე.
6. ოსტინის მიერ შემოთავაზებული პერფორმატივებისათვის დამახასიათებელი პირობები ნამდვილად არ აღმოჩნდა მყარი, რაც იქედან გამომდინარეობს, რომ პერფორმატივი შეიძლება არა მხოლოდ მოქმედებით გვარში, პირველ პირში, მხოლოდობით რიცხვში, არამედ ვნებით გვარში, სხვა პირში და ასევე მრავლობით რიცხვშიც იყოს მოცემული, ან სულაც ერთი სიტყვით იყოს გამოხატული. ამის ნათელი დასტურია ის მაგალითები, რომლებიც ინგლისურ და ქართულ საქორწილო სადღეგრძელოებში და ინგლისურ საქორწილო მიპატიუებებში იყო მოპოვებული. ინგლისურ და ქართულ საქორწილო მიპატიუებებსა და სადღეგრძელოებში ხშირია ისეთი პერფორმატიული



ზმნების გამოყენება, როგორციაა thank, wish, congratulate, give, propose, invite, tell.

7. ქართულ საქორწილო მიწვევაზე უარყოფითი პასუხის მაგალითზე განხილულ იქნა სერლის მიერ შემოთავაზებული განსხვავება „პირველად“ და „მეორად“ სამეტყველო აქტებს შორის. მოცემული სახის მაგალითები საკმაოდ ხშირია ქართულ ყოფაში, რადგან ქართველები, უმეტესწილად, თავს არიდებენ მიწვევაზე პირდაპირი უარყოფითი პასუხის გაცემას და ახსნა-განმარტების ტაქტიკას მიმართავენ, რომელიც მომიზეზების, და, ამავედროულად, მობოდიშების ფორმას ატარებს.
8. არსებობს ისეთი აქტები, რომელთა განხორციელება შესაძლებელია არა მხოლოდ გარკვეული სიტყვების წარმოთქმით, არამედ არავერბალურადაც. ამდენად, გაისი სამეტყველო აქტების ნაცვლად გეთავაზობს „საკომუნიკაციო ქმედებებს“. ამგვარი „საკომუნიკაციო ქმედებების“ ნიმუშად მიმაჩნია სადღეგრძელოს უსიტყვოდ წარმოთქმა, ანუ ისეთი შემთხვევები, როდესაც სუფრის წევრი ადგილიდან წამოიწევა, გაუღიმებს ადრესატს, ჭიქას ასწევს და შესვამს ღვინოს.
9. ინგლისური და ქართული საქორწილო მიპატიუება საქორწილო რიტუალის ერთ-ერთი მთავარი ნაწილია. მათ ინგლისური და ქართული კულტურებისათვის დამახასიათებელი თვისებები აქვთ და ატყობინებენ სტუმრებს ქორწილის დეტალებს. ნებისმიერი საქორწილო მიპატიუება „სახესთან“ არის დაკავშირებული. როდესაც ადრესანტსა და ადრესატს შორის თბილი და მეგობრული ურთიერთობაა, ისინი მიპატიუებაში არაოფიციალურ ლინგვისტურ ფორმებს მიმართავენ, რითაც ვლინდება მათი „დადებითი სახე“ და ხდება „დადებითი თავაზიანობის“ (სკოლონების მიხედვით „ჩართვის“) სტრატეგიების გამოყენება. ოფიციალური საქორწილო მიპატიუებები ხაზს უსვამენ მასპინძელსა და სტუმარს შორის არსებულ დისტანციას, და ისინი „უარყოფითი

თავაზიანობის“ (სკოლონების ტერმინებში- „დამოუკიდებლობის“) სტრატეგიას მიმართავენ.

10. მიპატიუებების ორი სახეობა არსებობს: „ნამდვილი“ (genuine) და „მოჩვენებითი“ (ostensible), რომლებიც აგრეთვე ცნობილია როგორც „ინფორმაციული“ და „ფატიკური“. საქორწილო მიპატიუებები პირველ ჯგუფს განეკუთვნება, რადგან ისინი რეალურ ინფორმაციას აწვდიან მსმენელს მოვლენის შესახებ და პასუხს მოვლიან მისგან ამ დონისძიებაზე დასწრების შესაძლებლობა/შეუძლებლობაზე.
  
11. მასალის ანალიზმა გვაჩვენა, რომ ინგლისურ საქორწილო მიპატიუებებში დიდი როლი ენიჭება მიმართვის ფორმებისა და პატივისცემის გამომხატველი ფორმების გამოყენებას. ინგლისური ოფიციალური საქორწილო მიპატიუებების განხილვისას აღმოჩნდა, თუ რამდენად მწიფელოვანია საკუთარი სახელის, მიმართვის ფორმების და პატივისცემის გამომხატველი ფორმების სწორი გამოყენება, რადგან ისინი ატყობინებენ სტუმარს მასპინძლის სოციალური სტატუსის და ოჯახური მდგომარეობის შესახებ. ოფიციალურ ქართულ საქორწილო მიპატიუებებში გამოყენებულია მხოლოდ ისეთი მიმართვის ფორმები, როგორცაა „ბატონო“ და „ქალბატონო“. ისინი არსებული დისტანციის გამოსახატავად გამოიყენება, მაგრამ არც მათ და არც საკუთარ სახელებს არა აქვთ ადრესატისა და ადრესანტის სოციალური სტატუსის და ოჯახური მდგომარეობის განსაზღვრის ფუნქცია.
  
12. როგორც ოფიციალური, ისე არაოფიციალური ინგლისური საქორწილო მიპატიუება შეიძლება იყოს „ღია“, „გულთბილი“ და „პერსონალიზირებული“. ოფიციალურ ინგლისურ საქორწილო მიპატიუებებში ძალიან ხშირად გამოიყენება ისეთი ფრაზები, როგორცაა ‘...request the pleasure of the company of Mr. and Mrs. ....’ და ‘....request the pleasure of your company...’. პირველ მაგალითში, რომელიც შემოთავაზებულია „პერსონალიზირებული ოფიციალური მიპატიუების“

სახით, ხაზგასმულია დისტანცია მასპინძელსა და სტუმარს შორის გამოყენებული ირიბი მიმართვიდან გამომდინარე. ამავდროულად, „გულთადი ოფიციალური მიპატიუების“ ტიპის საქორწილო მიპატიუებებში, სტუმრისადმი მიმართვა ხდება ნაცვალსახელით ‘your’, რომლის მეშვეობით ხდება ადრესანტსა და ადრესატს შორის დისტანციის გარკვეულწილად შემცირება.

13. ტრადიციულად, ინგლისურ საქორწილო მიპატიუებას პატარძლის დედა უგზავნის სტუმარს მეუღლისა და თავისი სახელით, მაგრამ დღეს მისაღები გახდა მიწვევების სიძე-პატარძლის სახელით გაგზავნაც, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ქორწილის ორგანიზატორი თვით ახალდაქორწინებული წყვილია. ინგლისური ოფიციალური თუ არაოფიციალური საქორწილო მიპატიუება იწერება მრავლობითი რიცხვის მესამე პირში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქმე ეხება „მოკრძალებულ“ ქორწილს, როცა მასპინძელი ქორწილს ვიწრო წრეში იხდის. ამ შემთხვევაში, არაოფიციალური საქორწილო მიწვევა იწერება მრავლობითი რიცხვის პირველ პირში, და ასევე მითითებულია, რომ ამ ქორწილში მხოლოდ უახლოესი ნათესაეები და მეგობრებია დაპატიუებული. ინგლისელმა მასპინძელმა ასევე შესაძლოა ზეპირად მოიწვიოს ახლო ნათესავი ან მეგობარი ქორწილში, მაგრამ ამ ზეპირ მიპატიუებას აუცილებლად უნდა მოჰყვეს წერილობითი მიწვევაც, რადგან წერილობითი მიწვევა კიდევ ერთხელ ადასტურებს სტუმრის მიპატიუებას ქორწილში. ქართულ ყოფაში ოფიციალური მიპატიუებები უმეტესად ზეპირი ხასიათისაა, არაოფიციალური საქორწილო მიპატიუებები კი მხოლოდ ზეპირი.

14. ქართული ოფიციალური საქორწილო მიპატიუება ტრადიციულად იწერება მრავლობითი რიცხვის პირველ პირში, რაც ადრესანტსა და ადრესატს შორის უფრო მეტი სიახლოვის მაჩვენებელია.

15. ოფიციალურ ინგლისურ საქორწილო მიპატიუებაში, პატარძლის მშობლები, როგორც წესი, სიძეს რეფერენტული ფორმით 'Mr' + სახელი, გვარი მიმართავენ. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ამ საქორწილო მიპატიუებაში „უარყოფითი თავაზიანობის“ („დამოუკიდებლობის“) სტრატეგიის გამოყენებას. ქართულ ოფიციალურ საქორწილო მიპატიუებაში კი, სიძისა თუ პატარძლის მშობლები ოჯახის ახალ წევრს ხშირად „შვილს“ უწოდებენ, რაც ამ ადამიანებს შორის არსებულ სიახლოვეზე მიუთითებს და აქ „დადებითი თავაზიანობის“ („ჩართვის“) სტრატეგია გამოიყენება.
16. „სახის შეღახვის“ საშიშროების თავიდან ასაცილებლად სტუმარიც და მასპინძელიც პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ ბავშვების საკითხს. ქორწილში ბავშვების მიწვევის შემთხვევაში, ინგლისურ საქორწილო მიპატიუებაში ყოველთვის მოცემულია მიწვეული ბავშვების სახელები. ქართულ საქორწილო მიპატიუებებშიც მკაფიოდ არის მითითებული, თუ ვინ არის დაპატიუებული საქორწილო სუფრაზე. თუ მიწვევაში სიტყვა „ოჯახით“ არის მოცემული, ეს ნიშნავს იმას, რომ სუფრაზე ოჯახის ყველა წევრია დაპატიუებული. ამავე დროს, ინგლისური ყოფისაგან განსხვავებით, ქართულ ყოფაში მისაღებია ქორწილში მხოლოდ ერთი მეუღლის მიწვევა, რაც ხშირია თანამშრომლების მიწვევის შემთხვევაში. ასეთ დროს საქორწილო მიწვევა მხოლოდ იმ ადამიანის სახელზე იქნება გაგზავნილი, რომელიც მიწვეულია საქორწილო ღონისძიებაზე.
17. ოფიციალური ინგლისური საქორწილო მიპატიუებისათვის დამახასიათებელია RSVP აბრევიატურის გამოყენება, რომელიც პასუხს ითხოვს სტუმრისაგან შეძლებს თუ არა იგი ქორწილზე დასწრებას. ტრადიციულად პასუხი უნდა გაიგზავნოს, როგორც დადებითი ისევე უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, მაგრამ დღეს ბევრი მასპინძელი მხოლოდ უარყოფით პასუხსაც სჯერდება. ქართულ ყოფაში საქორწილო მიპატიუებაზე პასუხი ყოველთვის ზეპირი ხასიათისაა.

18. როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ყოფაში ხდება ქორწილის სხვადასხვა მიზეზით გაუქმება. მაგალითად, მასპინძლის ოჯახში ახლო ნათესავის უცარი გარდაცვალების შემთხვევაში, სტუმარს ატყობინებენ ქორწილის გაუქმების შესახებ. ნიშნობის ჩაშლის გამო საქორწილო ღონისძიების გაუქმების შემთხვევაში, მიზეზი არ სახელდება, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს ადრესანტის „სახის შეღახვა“.
19. ინგლისში ქორწილის გამართვის მეორე დღეს, მასპინძლებმა შესაძლოა „საქორწილო განცხადება“ (Wedding Announcement) გამოაქვეყნონ პრესაში, სადაც ატყობინებენ მკითხველს მათი შვილის გაბედნიერების შესახებ. ამგვარი საქორწილო განცხადებები ქართულ პრესაში არ გვხვდება, თუმცა ხშირია მილოცვები, როგორც ქორწილის, ასევე შვილის გაჩენისა და დაბადების დღის აღსანიშნავად.
20. საქორწილო მიპატიუებაზე შესაფერისი პასუხის გაცემა ძალზე მნიშვნელოვანია ადამიანთა შორის კეთილგანწყობილი ურთიერთობის შენარჩუნებისათვის, განსაკუთრებით მიწვევაზე უარყოფითი პასუხის გაცემისას. თავაზიანობის ნორმების ცოდნა აუცილებელია იმისათვის, რომ სტუმარმა მისაღები ფორმით მიაწოდოს თავისი პასუხი მასპინძელს და არ გამოიწვიოს მისი განაწყენება არასათანადოდ დასაბუთებული უარყოფითი პასუხით.
21. საქორწილო მიპატიუებები „მეზობლური წყვილის“ მაგალითს წარმოადგენენ და მოიცავენ:
- ა. დადებით პასუხს, რომელსაც აგრეთვე „სასურველ პასუხს“ და „დადებით საპასუხო აქტს“ უწოდებენ, ან
  - ბ. უარყოფით პასუხს, რომელიც შესაბამისად, „არარსასურველი პასუხი“ და „უარყოფითი საპასუხო აქტია“.
22. ოფიციალურ თუ არაოფიციალურ საქორწილო მიპატიუებაზე პასუხის გაცემისას ყურადღება აუცილებლად უნდა მიექცეს იმ სტილს, რომელშიც თვით მიპატიუებაა მოცემული, რადგან შეუფერებელი

სტილის გამოყენება აგრეთვე თავაზიანობის ნორმების უხეშ დარღვევად მიიჩნევა. ოფიციალურ ინგლისურ საქორწილო მიპატიუებაზე დადებითი თუ უარყოფითი პასუხი ყოველთვის წერილობითი ფორმისაა, ხოლო ქართულ საქორწილო მიპატიუებებს ყოველთვის ზეპირი პასუხი მოსდევს, მიუხედავად იმისა, ოფიციალური იყო მიღებული მიწვევა თუ არაოფიციალური. ოფიციალურ ინგლისურ საქორწილო მიპატიუებაზე ოფიციალური დადებითი თუ უარყოფითი პასუხი იწერება მრავლობითი რიცხვის მესამე პირში. ხანდახან მიპატიუება შეიძლება ვნებით გვარშიც იყოს დაწერილი. დადებითი პასუხის შემთხვევაში მოცემულია ყველა იმ ადამიანის სახელი, ვინც წვეულებაზე მოსვლის თანხმობას აცხადებს.

23. „მოკრძალებულ ქორწილზე“ მიღებულ არაოფიციალურ მოწვევაზე პასუხს ადრესატი პირველ პირშივე წერს. ხოლო ზეპირად წარმოთქმულ საქორწილო მიპატიუებაზე მსმენელი ასევე ზეპირ პასუხს იძლევა.
24. ეტიკეტი ითვალისწინებს, რომ მიპატიუებაზე უარყოფითი პასუხის გაცემისას ყოველთვის სჯობს მოპასუხემ გარკვეული, თუნდაც არადადამაჯერებელი მიზეზი მოიყვანოს იმისა, თუ რატომ არ შეუძლია დაესწროს წვეულებას. დღეს ინგლისში ძალიან გავრცელებულია „საპასუხო ბარათების“ (Reply Cards) გამოყენება. ამ ბარათებს მასპინძელი დაურთავს საქორწილო მიპატიუებებს, რათა სტუმარმა მაქსიმალურად მოკლე პერიოდში შეატყობინოს მასპინძელს თავისი პასუხი. მიპატიუებაზე თანხმობის განცხადებას მივიჩნევ დაპირებად, ხოლო იმისათვის, რომ დაპირების აქტი წარმატებული იყოს, აუცილებელია რომ ის აკმაყოფილებდეს „იბღლიანობის პირობებს“.
25. სადღეგრძელოს წარმოთქმის დროს გამომსვლელი გამოხატავს თავის გრძნობებსა და ფიქრებს ადრესატის მიმართ. სადღეგრძელო მიეკუთვნება მეორადი (რთული) სამეტყველო ჟანრის ჯგუფს. თითოეული სადღეგრძელო ინდივიდუალურ სტილში წარმოითქმის, მაგრამ სტილის შერჩევა დიდად დამოკიდებულია გარემოებებსა და მონაწილეებზე.

26. ინგლისურ საქორწილო სუფრაზე წარმოთქმის სამი ტრადიციული სადღეგრძელო, რომელსაც პატარძლის მამა, ნეფე და ნეფის მეჯვარე წარმოთქვამენ. ქართულ საქორწილო სუფრაზე კი სადღეგრძელოებს თამადა ამბობს და სადღეგრძელოთა რაოდენობა გაცილებით მეტია. ამავე დროს, ინგლისურ ყოფაში „სუფრის წამყვანი“ (Toastmaster, რომელსაც ასევე Master of Ceremonies უწოდებენ), განსაზღვრავს იმას თუ ვინ წარმოთქვამს სადღეგრძელოს და დაკავებულია სუფრის ორგანიზაციული საკითხებით. ეს ადამიანი სადღეგრძელოებს არ ამბობს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ როლს ნეფის მეჯვარე ითავსებს. ინგლისური სადღეგრძელოს წარმოთქმის წესი გარკვეულწილად გრასის კოოპერაციის პრინციპის მაქსიმებს გვაგონებს, რადგან მოითხოვს მოლაპარაკისაგან ილაპარაკოს მოკლედ და თანმიმდევრულად.
27. ინგლისურ საქორწილო სუფრაზე პატარძლის მამა პირველი წარმოთქვამს სადღეგრძელოს, რომელშიც ის ესალმება სტუმრებს, ნეფის მშობლებს და საკუთარ ქალიშვილზე და სიძეზე ამბობს რამდენიმე თბილ სიტყვას. ინგლისურ სადღეგრძელოში ხშირად შევხვდებით პერფორმატულ ზმნებს ‘toast’, ‘thank’, ‘wish’ და ‘welcome’. პატარძლის მშობელი, როგორც წესი, უზიარებს სიძესა და სტუმრებს თავისი ქალიშვილის „საიდუმლოებებს“ და ამას ხუმრობის ფორმით აკეთებს. დაუშვებელია ხუმრობა ბოროტი იყოს, რადგან ეს უარყოფით შეფასებას გამოიწვევს დამსწრე საზოგადოებაში, რაც გამომსვლელის „სახის შელახვის“ საშიშროებას შექმნის. პატარძლის მამა ხშირად ეუბნება ქათინაურებს სიძეს და მიუთითებს, რომ კმაყოფილია მისი ქალიშვილის არჩევანით.
28. სადღეგრძელოები და მათზე მიღებული პასუხები „მეზობლური წყვილის“ მაგალითებია. სადღეგრძელოს შესმის მოწოდებისას გამომსვლელი ხშირად სიტყვას ‘please’ მიმართავს, რითაც ის უფრო დიდ თავაზიანობას გამოხატავს მსმენელის მიმართ და არბილებს თხოვნას.

29. მეორე ტრადიციულ სადღეგრძელოს ინგლისურ საქორწილო სუფრაზე ნეფე წარმოთქვამს. ის მადლობას უხდის თავის მშობლებს მხარდაჭერისა და რჩევებისათვის, პატარძლის მშობლებს ასეთი კარგი ქალიშვილის აღზრდისათვის და აგრეთვე პატარძლის მეჯვარეებს ადღეგრძელებს. ნეფემ ასევე შეიძლება მადლობა გადაუხადოს თავის მეჯვარეს ამ როლზე დათანხმებისათვის. ინგლისური საქორწილო სადღეგრძელოებისთვის დამახასიათებელია „გამყოფი კითხვები“, რომლებიც გამოიყენება მოლაპარაკის განცხადებაზე რეაქციის მისაღებად, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ სადღეგრძელო არა მონოლოგის, არამედ დიალოგის ფორმას ატარებს.
